

თინათინ შაუხჩიშვილი

**ბერძენი მწერლების ცნობები
საქართველოს შესახებ**

I

(სპილას კარიანდელი. სკიფოს შიოსელი,
ჰიონისიოს აჰრინებები)

გამომცემლობა „მცნობა“

თბილისი

1967

ნაწრომნი განხილულია სანი ბერძენი მწერლის (ე. წ. სკილაქს კარიანდელის, ე. წ. სკიმნოს ქიოსელისა და დიონისიოს პერიეგეტის) ცნობები საქართველოს შესახებ.

ამ ავტორთა ნაწრომებში, რომლებიც ძირითადად გეოგრაფიული ხასიათისაა, არის საინტერესო მასალა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის. კერძოდ ახლანდელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილის უძველესი ქართული ტომების შესახებ და სხვა.

ნაწრომი „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, 1, ნაგარაუდევია როგორც წყარო საქართველოს ძველი ისტორიის შემსწავლელთათვის.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი (ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I) აერთიანებს სამ ბერძენ მწერალს: სკილაქს კარიანდელს, სკიმნოს ქიოსელს და დიონისიოს პერიეგეტს — ქრონოლოგიურად საკმაოდ დაცილებულთ ერთმანეთისგან.

ეს გაერთიანება შემთხვევითი და მექანიკური არ არის: აქ არის წარმოდგენილი ძველი ბერძნული საგეოგრაფიო მწერლობის ძანრები — პერიპლუსი და პერიეგესისი (ე. ი. ზღვით მოგზაურობის აღწერილობა და ხმელეთის აღწერილობა).

ბერძენი ავტორები, ვისაც ამ ძანრის თხზულებები უწერიათ, სხვადასხვა ბევრია, მაგრამ საქართველოს შესახებ ცნობები ძირითადად მოეპოვება ამ სამ მწერალს და მათ გარდა არიანესა და ანონიმს, რომელთა ნაშრომებიც უკვე გამოქვეყნებულია (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეკელაძისა, თბილისი, 1961. გეორგიკა, II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1965 წ., ანონიმი V ს-ისა, 1—29 გვ.).

დიონისიოს პერიეგეტის თხზულებასთან ერთად დამუშავებულია ევსტათის კომენტარები, რომლებიც დიონისიოსის ნაწარმოების გამო არის დაწერილი და რომელსაც თავისთავად დიდი ღირებულება აქვს.

ზემოთ ხსენებულ პერიპლუსებსა და პერიეგესისებში, მათ პარაფრასებსა და კომენტარებში არის ბევრი ცნობა ქართველი ტომების, მათი საცხოვრისის, მათი მეზობლების, ქალაქების, ნავსადგურების, მდინარეებისა და სხვათა შესახებ, რომელთა გამოყენება აუცილებელია ძველი საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

გამოსაცემად მზად არის „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, II, რომელშიც შეტანილია ასევე სამი ავტორი — არისტოტელე, ნიკოლოზ დამასკელი და კლავდიუს ელიანუსი, გაერთიანებული იმ ნიშნით, რომ ძველ ბერძენ მწერალთა შორის ამათ თხზულებებში მოიპოვება სხვებზე მეტი ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ხასიათის მასალა.

ნაშრომი „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, I და II შესრულებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გეგმის მიხედვით წლების მანძილზე და ის იმავე რიგის ნაშრომია, როგორცაა ჩემს მიერვე ამაზე უწინ გამოქვეყნებული: „სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ“, 1957 წ., „აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია“, 1959 წ., „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ“, 1960 წ., „მემნონის ჰერაკლეს ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ“, 1962 წ., „ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“, 1965 წ.

თ. ყაუხჩიშვილი

სკილაქს კარინდელი

შესავალი

ქანრი

ელინისტურ ხანაში მსოფლიო გეოგრაფიის გვერდით განვითარდა ერთი ქანრი, რომელსაც ბერძნულად ეწოდება Περπέλαჯ < Περπέλαჯ და რადგანაც სხვა ენებზე ამ სიტყვის ერთი სიტყვითვე თარგმანი არ მოხერხდა, ამიტომ ჩვეულებრივ მას უთარგმნელად სტოვებენ ხოლმე. რუსები ხმარობენ Перпел.-ს. გერმანელები Perip-lus-ს და სხვ. ქართულადაც მას „პერიპლუსს“ ვუწოდებთ.

Περπέλαჯ ნიშნავს: 1. რომელიმე ადგილის ცურვით (ბონალდით) გარშემოვლას. 2. ხლვის ნაპირის გასწვრივ ცურვას (ბონალდით)¹.

ეს სიტყვა ჰომეროსმა ჯერ არ იცის. ნისი გაჩენა და დამკვიდრება ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობას უკავშირდება.

დღემდე მოღწეულ წერილობით ძეგლთა შორის პირველი აეროდოტეს „ისტორია“, სადაც ეს სიტყვა იხმარება მისი პირველი მნიშვნელობით (რომელიმე ადგილის ცურვით გარშემოვლა): „(სპარსელებს) განსაკუთრებით ეშინოდათ ათონის ირგვლივ წემოვლის“ Περπέλαჯ (V, 95).

შემდეგი დროის ავტორებთან (თუკიდრე, ქსენოფონტი. ლუკიანე...) სულ უფრო ხშირად გვხვდება ეს სიტყვა (Περπέλαჯ და Περπέლ.)

Περπέლაჯ, როგორც ტერმინი, დამკვიდრდა იმ ლიტერატურული ქანრისათვის, რომელიც აგვიწერდა გარკვეული ხმელეთის გასწვრივ ბონალდით მოგზაურობის დროს ნანახს (ნავსადგურებს, ქალაქებს, მდინარეებს, იქ მცხოვრებ შაუი-ს etc). ჩვეულებრივ ამ აღწერილობას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა სხვა მოგზაურთათვის. კერძოდ სავაჭრო გზების მაძიებელთათვის. ე. ი. პერიპლუსი იხმარე-

¹ გვხვდება ტერმინი Περπέλαჯ < Περπέლაჯ, რაც ნიშნავს „გვერდით ჩავლას ცურვით“. ჩვეულებრივ რომელიმე სანაპიროს გასწვრივ. ანდნაჲ Περπέლაჯ ნაწილია Περπέლაჯ-ის.

ბოდა გეოგრაფიული შრომების მიმართ, რომლებშიაც ზღვით მოვლილი ქვეყნები იყო აღწერილი.

მოკზაურობის აღმწერი ლიტერატურა (Περὶ πλῆθους καὶ περὶ ἰσθμῶν — მხელეთზე მოგზაურობის აღწერა) ჯერ კიდევ ძველ იონიაში უნდა ყოფილიყო; ვ. კრისტის აზრით, პომპროსის ხომალდთა კატალოგს უნდა აჩნდეს კიდევ კვალი ასეთი თხზულებებისა².

პერიპლუსები ორგვარი იყო: ერთი, რომელიც აგვიწერდა ე. წ. შიგნითა საზღვაო სანაპირო ხაზს, და მეორე, რომელიც ეხებოდა ე. წ. გარეთა სანაპიროს. ამავე დროს შესაძლებელია ეს აღწერილობა ყოფილიყო მთლიანი (მაგ., მთელი ხმელთაშუაზღვის სანაპიროსი) ანდა ნაწილობრივი (მისი რომელიმე მონაკვეთისა).

ამრიგად, პერიპლუსი გეოგრაფიის დარგია.

ჩვენანდე მთლიანად არცერთი პერიპლუსი არაა მოღწეული, არის ზოგი შედარებით სრულად დაცული, ხოლო ფრაგმენტები — ბევრია. შავი ზღვის აღმწერელთა ანდა ხმელთაშუაზღვისა და მასთან ერთად შავი ზღვის აღმწერელთა ფრაგმენტების ავტორები არიან: სკილაქს კარიანდელი, ფილემას ათენელი, ე. წ. ფსევდო-სკილაქსი. კალისტენე ოლინთელი, ევდოქსოს როდოსელი, ნიმფოდოროს სირაკუზელი, მნასეას პატარელი, არტემიდოროს ეფესელი და სხვ.

ხმელთაშუაზღვის ნაწილების, ევქსინის პონტოსა და პროპონტიდის შესახებ ცნობილი იყო პერიპლუსები: ანდრონ ტეოსელის, აგათონის, ალექსანდრე მილეტელის, არიანესი, ანონიმი ავტორის, ნიმფის პერაკლეელისა და სხვ.

ზრეველესი პერიპლუსების მიმართ უნდა შეინიშნოს, რომ იქ მანძილების გაზომვა სხვადასხვა პუნქტებს შორის ხდება დროის (დღეების, ან დღე-ღამის) მიხედვით, ხოლო უფრო მოგვიანო პერიპლუსებში მანძილები იზომება სტადიონობით³.

ანგანად გვიანტერესებს ერთი პერიპლუსი, რომელსაც სპეციალისტები ევ. წ. IV ს-ით ათარილებენ და რომელსაც ჩვეულებრივ უკავშირებენ ხოლმე სკილაქს კარიანდელის სახელს. დღესდღეობით უშუალოდ დადასტურებულია ის გარემოება, რომ ამ პერიპლუსს VI ს-ის

¹ W. Christ's, Geschichte der griechischen Litteratur, VI Auflage, I Teil. München, 1912, გვ. 538.

² აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე. წ. ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსში ორივე სტრონი გვევლება: შორეული მხარეებისათვის მანძილი გაზომილია დროის მიხედვით, ხოლო საბერძნეთთან უფრო ახლოს მდებარე ადგილები — სტადიონების ნიშნულით. სტატია Periplus. R. E. 37. Halbband, Stuttgart, 1937, გვ. 841—850. ავტორი F. Gisinger.

მოღვაწესთან, სკილაქს კარიანდელთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ტრადიციის ძალა ისეთია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მას უცნობი ავტორის პერიკლუსის გვერდით მაინც ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიკლუსი ეწოდება. ამდენად, ვიდრე ჩვენს ხელთ არსებულ ნაწარმოებზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით მაინც შევეხოთ თვით სკილაქს კარიანდელს.

სკილაქს კარიანდელი

სკილაქს კარიანდელს პირველად ასახელებს ჰეროდოტე (ისტორია, IV; 44): „(დარიოსს) უნდოდა შეეტყო, მდინარე ინდოსი... სად ერთვის ზღვას; (ამიტომ) მან გაგზავნა ნავებით (კაცები); ვისაც ენდობოდა, რომ სიმართლეს მოუტანდნენ და მათ შორის სკილაქს კარიანდელი. ისინი გამოვიდნენ ქალაქ კასპატროსიდან, პაქტიკეს მიწაწყლიდან და დაჰყენნენ მდინარეს დაღმა, ზღვისაკენ, მზის აღმოსავლის მიმართულებით. ზღვა გადასცურეს დასავლეთისაკენ და ოცდამეათე თვეს მიაღწიეს იმ ადგილს, საიდანაც ეგვიპტელთა მეფემ გაგზავნა ფინიკიელები ლიბიის გარშემოსაველად“, (ე. ი. სუეცის არხამდე, იხ. „ისტ.- IV“, 42. თ. ყ.). ამათი მოგზაურობის მერე დარიოსმა დაიპყრო ინდები და ამ ზღვითაც სარგებლობდა“. ამრიგად, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, დარიოს I-მა (521—485 წწ.) გაგზავნა სკილაქსი (სხვებთან ერთად) მდინარე ინდოსის, ინდოეთის ოკეანისა და მეწამული ზღვის მოსაველად, მდინარე ინდოსის შესართავიდან სუეცის ყელამდე. როდის შედგა ეს მოგზაურობა, ზუსტად არ არის დადგენილი. სხვადასხვა ავტორები ვარაუდობენ სხვადასხვა წელს 519-დან 509-მდე. F. Gisinger-ის აზრით, მაგ., მოგზაურობა მოხდა 516—512 წლებს შორის, ვიდრე მეფე (დარიოს I) ევროპის სკვითებზე წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ეს იყო პირველი ბერძნული ცნობა ინდოეთის შესახებ.

სკილაქს კარიანდელის (ე. ი. კარიის ქალაქის, კარიანდის მცხოვრების) ბიოგრაფიიდან ეს ერთი ფაქტი ვიციტ უცილობლად. ის, ვინც სამოგზაუროდ ძვ. წ. 500 წელზე ადრე იყო წასული, მკვლევართა აზრით, მომსწრე იქნებოდა საერთოდ კიროს I-ისა და კანბიზესიც. ხოლო რაც შეეხება მისი ცხოვრების დასასრულს, ის დაახლოებით 480 წლის მერე ივარაუდება, იმის მიხედვით, რომ სკილაქსის ერთერთ ნაწარმოებში კარიელი გმირის, ჰერაკლიდეს მონაწილეობა ჩანს არტემისიონის ბრძოლაში. ამრიგად, სკილაქს კარიანდელი VI—V სს-ის მიჯნაზე ცხოვრობდა.

სკილაქსს იმოწმებს არისტოტელე („პოლიტიკა“, VIII, 13, 2): „როგორც ამბობს სკილაქსი ინდების შესახებ დაწერილ წიგნში“;

მას სტრაბონი სამჯერ ახსენებს: ერთხელ კარიანდასთან დაკავშირებით და უწოდებს *παλαιὰς σαγγραφάς*-ს („ძველ ისტორიკოსს“) XVI. 2, 20, ორჯერ კი იმოწმებს როგორც წყაროს ფრიგიელებისა და მიზიელებისათვის (XII, 4, 8) და ტროის ლოკალიზაციისას (XIII, 1, 4).

სკილაქსს იცნობენ სხვა ავტორებიც: სტეფანე ბიზანტიონელი (რომელიც, შესაძლოა, სტრაბონის მიხედვით, მას *παλαιὰς λιογγραφάς*-ს, ე. ი. ძველ ლოგოგრაფოსს, უწოდებს), ავიენუსი, მარკიანე ჰერაკლეელი, ცეცე და სხვ.

სკილაქსის შესახებ სვიდას ლექსიკონში ასეთი სტატიაა: „Σκιάλαξ Καραυθός (πάλαι δὲ ἔστι τῆς Καραίας πλησίον Ἀλιζαρυσσῶν τῆς Καραυθῶ), μαθηματικός καὶ μουσικός, περὶ πλοῦν τῶν Ἡρακλείδων πηλῶν, τὰ κατὰ τὸν Ἡρακλείδην τὸν Μυλασσῶν βασιλέα, γῆς περὶ ἰθύν, ἀντιγραφῆν ἄρξας τῆν Πολυπίου Ἰσθარίαν“ [სკილაქს კარიანდელი (კარიის ქალაქია კარიანდა, ჰალიკარნასის მახლობლად), მათემატიკოსი და მუსიკოსი. (დასწერა) ჰერაკლეს სტეფანის გარემოვლა, მილასელთა მეფის, ჰერაკლიდეს შესახებ, დედამიწის აღწერილობა და ის, რაც უპირისპირდებოდა პოლიბიოსის ისტორიას]*.

ამრიგად, სკილაქს კარიანდელი პირველ რიგში განთქმული იყო თავისი *περί πλοῦς*-ით, რომელმაც ინდოეთი და არაბეთის უბე გააცნო ბერძნულ საზოგადოებას და შემდეგ — ისტორიული ხასიათის თხზულებით ჰერაკლიდეს შესახებ. მას, ჩანს, სხვა გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებიც ჰქონდა, მაგრამ ისინი ასე პოპულარულები არ ყოფილან. სკილაქს კარიანდელი დღესდღეობით ერთ-ერთ უძველეს ლოგოგრაფოსად არის აღიარებული.

სკილაქს კარიანდელის შრომათაგან მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. ერთი ჯგუფი ამ ფრაგმენტებისა ეხება ინდოეთს, ხოლო მეორე ჯგუფი აზიასა და ევროპას. მაგ., fig. 7 ეხება ტროის ლოკალიზაციას, 8-9 — მიზიას, 10 — არმენიას (დაცულია კონსტანტინე პორფიროგენეტთან De them. I, 2: „τὸ ἔθνος τὸ καλεῖσθαι Ἀρμενίαν οὐ κέρειν ἔχει τὸ ἔθνος... οὐδὲ ἀρχαία τῆς ἔστιν ἡ τῶν αὐτῶν περὶ ἰθύν, ἀλλὰ ἄπὸ τῶν ἑμορῶν τῶν καὶ συνκαλεῖσθαι Ἀρμενίαν τῆν περὶ ἰθύν ἐκλήσαστο... οὐτὲ γὰρ Ὑπερβῶν ἢ γαγγραφάς τῆς τοιαύτης ἰστορίας ἐμνήσθη... οὐτὲ μὴν Σκιάλαξ Καραυθός...“ „ეგრეთწოდებული არმენიაკის თემი

* ეს უკანასკნელი სტრავოსისთანავე ახრთ, საერთოდ არც ვკუთვნიდა სკილაქს კარიანდელს (RE, II Reihe, 5. Halbband, S. 624).

საკუთარ სახელს კი არ ატარებს, არც ძველია ეს მისი სახელწოდება, მან ეს სახელი შეიძინა მოსაზღვრე და მეზობელ არმენიელთაგან... ვინაიდან არც გეოგრაფოსი სტრაბონი იხსენიებს მის ასეთ სახელწოდებას... არც სკილაქს კარიანდელი“...), frg. 11 ეხება ილირიას, frg. 12—ბოსფორს და სხვ. სკილაქსის ფრაგმენტების ენა არის იონიური დიალექტი. ხოლო მანძილების აღნიშვნისას ავტორი სტადიონებს არ მიმართავს, დროით ზომავს მანძილს.

სკილაქს კარიანდელის ფრაგმენტების ჩვენთვის ცნობილი უახლესი და საუკეთესო გამოცემა ეკუთვნის Felix Jacoby-ს: Die Fragmente der griechischen Historiker, T. 3, Geschichte von Staaten und Völkern, Bd. 2, 1958. აქ 587—592 გვერდებზე 709 ნომრად არის Skylax von Karyanda და მისი ცნობები ინდოეთის შესახებ, რასაც წინ უძღვის მასალა სვიდასი, სტრაბონის, ჰეროდოტის, ფსევდო-სკილაქსის სქოლიასტის, ავიენუსის და მარკიანესი.

უფრო ადრინდელი გამოცემაა C. Müller-ისა (Geographi graeci minores, vol. I, Paris, 1852), რომელსაც ამ ნაშრომის შესავალში, გვ. XXXIII—LI სკილაქს კარიანდელზე აქვს სტატია და შიგ აქვს ჩართული ფრაგმენტები სრულად (გვ. XXXIV—XXXV). საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის ამ ფრაგმენტებში საგანგებოდ მნიშვნელოვანი არაფერია. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სკილაქსი ასეთი სახელმძღვანელო ავტორი ყოფილა (მის ავტორიტეტს მიმართავენ ჰეროდოტე. არისტოტელე და სხვები) და მისი თხზულებებიდან ასე ცოტა რამ არის ჩვენამდე მოღწეული. ეს უთუოდ უნდა აიხსნას იმით (და ამის შესახებ ლიტერატურაში არაერთგან არის აზრი გამოთქმული), რომ მის შემდეგ მალე განოჩნდა ჰეკატაეოსი ნილეტელი, რომლის თხზულებამ, Περσικῶν-ნა დაჩრდილა სკილაქსის პერიპლუსი და რომელშიაც შევიდა სკილაქსის შრომის დიდი ნაწილი⁵. შესაძლოა სკილაქსს ჰეკატაეოსის შრომის მეშვეობით იცნობდნენ ჰეროდოტე და არისტოტელე; ხოლო რაც შეეხება სხვა ავტორებს (სტრაბონი, ათენაეოსი, არგონავტიკის სქოლიასტი და სხვ.), რა წყარო ჰქონდათ მათ მის გასაცნობად, ეს ჯერჯერობით გამორკვეული არ არის.

შსაქლო-სკილაქსი

ჩვენამდე მოღწეულია ერთი პერიპლუსი, რომელსაც მოკლედ ეწოდება „Περσικὸς οἰκουμένης“ („მსოფლიოს გარშემოვლა“), ხოლო

⁵ F. Gisinger. Skylax: RE. II Reihe, 5. Halbband, Stuttgart, 1927, გვ. 619—635; W. Christ... დასახ. ნაშრომი. გვ. 453, 536—541; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია. I. 1950, გვ. 453—454.

მთლიანად: „Περὶ πλοῦς τῆς Μελιχίου τῆς οὐχιαυμένης Ἐβραῶν καὶ Ἀσῶν καὶ Ἀῖθῆς“ („დასახლებული ევროპის, აზიის და ლიბიის ზღვის გარშემოვლა“), რომლის ავტორად ხელნაწერებში გამოცხადებულია სკილაქს კარიანდელი. ძვ. წ. VI ს-ის ავტორი, სკილაქს კარიანდელი რომ ვერ იქნებოდა ამ პერიპლუსის ავტორი, ეს კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ იმისი მიზეზი არ ვიცით, თუ რატომ მიეწერა ეს ნაწარმოები მაინცდამაინც სკილაქსს — შეცდომით, თუ განზრახ. შესაძლოა იმიტომ, რომ პერიპლუსის ავტორად მანამდე არსებულთა შორის ყველაზე პოპულარული სკილაქს კარიანდელი იყო, ან იმიტომ, რომ ამ პერიპლუსში იყო იმდაგვარივე ცნობები, როგორც ჰქონდა სკილაქსს, ანდა სკილაქსი ერთი კი არა, ორი იყო, ერთი VI ს-ში და მეორე შემდეგ, ან კიდევ სხვა რაიმე; შესაძლოა სულაც ხელნაწერის შეცდომა იყოს სკილაქს კარიანდელისათვის ამ პერიპლუსის მიწერა.

ჩვენს ხელთ არსებული პერიპლუსის შესწავლის შედეგად მისი ავტორის შესახებ ასეთი აზრი არსებობს: ის ცხოვრობდა ძვ. წ. IV ს-ში, ბევრი შრომა არსებობს მისი თხზულების დამათარილებლად⁶ და მათ შორის ერთი ყველაზე გავრცელებული არის კ. მაულერისა, რომელიც ამბობს, რომ პერიპლუსი დაწერილია 338—335 წლებში, რასაც სხვადასხვა ისტორიული მონაცემებით ასაბუთებს (მაგ., პერიპლუსში ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაფუძნებული ქალაქები არ იხსენიება, თუნდაც ალექსანდრია)⁷. როგორც უკანასკნელი ხანის შემაჯამებელი ნაშრომების მიხედვით ირკვევა, ეს პერიპლუსი IV ს-ის მეორე ნახევარში კი არის შექმნილი, მაგრამ იმისი სხვადასხვა ნაწილი შესაძლოა სხვადასხვა დროს დაიწერა (ამ დროის ფარგლებში) და შემდეგ შეივსო უფრო გვიანდელი ჩანართებით⁸.

პერიპლუსის ავტორი იყო ათენელი, ანდა პერიპლუსი დაიწერა ათენელთა საჭიროებისათვის. Müllenhoff-ის აზრით, ეს ავტორი იყო ათენელი გეოგრაფოსი ფილეასი, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ფილეასის ნაშრომიდან წარმოსდგა ჩვენი პერიპლუსი⁹. ავტორის სადაურობის შესახებ ყველაზე საბუთიანად წერს მ. როსტოვეცივი¹⁰. ის აღნიშნავს იმ სხვაობას, რომელიც არის საკითხისადმი მიდგომაში ერთი და იმავე მხარის აღწერისას: ერთის მხრივ არიან

⁶ ანის შესახებ დაწვრილებით იხ. RE, II Reihe, 5. Halbband, ... გვ. 640—644. GGM I, გვ. XLIV და შშდ.

⁷ RE, II Reihe, 5. Halbband... იქვე. ВДП, 1947. № 3, გვ. 240.

⁸ Karl Müllenhoff, Deutsche Altertumskunde, 3 Band, Berlin, 1892, გვ. 32—34.

¹⁰ Скифия и Боспор, 1925, გვ. 23—26.

ჰეროდოტეს ისტორია და ჰიპოკრატეს პერიპლუსი და ნეოკოს ნხრიც — ჩვენი ავტორის: იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი პერიპლუსის ავტორს შავი ზღვის დასავლეთი სანაპირო სულ არ აინტერესებს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს ისეთი პუნქტების მიმართ ანაზღილებს ყურადღებას, რაც ჰეროდოტესთან ნაკლებად არის წარმოდგენილი და პირიქით — აეროდოტესთვის მნიშვნელოვან ადგილებს ე. წ. ფსევდო-სკილაქსი სულაც არ ახსენებს. და შემდეგ ასკვნის: «Устами Геродота и Перипла Плинократа, очевидно, говорят с нами поныне (რომელთაც გარკვეული ადგილების მიმართ ჰქონდათ ინტერესი. — თ. ყ.), в лице псевдо-Скилаксы мы имеем дело с афинским писателем и купцом, торговые интересы которого... с конца V в. почти игнорировали Ольвию (რაც ასე აინტერესებდა ჰეროდოტეს. — თ. ყ.) и всецело вливались к Крыму, Сидикие и Кавказскому побережью... Гораздо естественнее объяснить это число афинской ориентировкой автора первой половины IV в., той самой эпохи, когда аттические ораторы так много говорят вам о Босфорском царстве в торговых сношениях с Пантикаеем и Сидикией» (გვ. 25).

ნაწარმოები დაწერილია ატიკურ დიალექტზე. ენა არცს საქმიანი, წინადადებები მოკლეა და აშკარად ჩანს. რომ ნაწარმის დაახლოებით გზამკვლევის დანიშნულება აქვს: თხრობა იწყება პირველი პირით («ვიწყებ ჰერაკლეს სტელებიდან, რომლებიც არიან ევროპაში, ვიდრე ჰერაკლეს სტელებამდე. რომლებიც არიან ლიბიაში და ვიდრე ეთიოპებამდე...»), აღწერილია ჯერ ევროპა, შემდეგ აზია და ზოლოს ლიბია. სულ ხშირად გვხვდება გამოთქმები: მარჯენივ, მარცხნივ, აქედან etc, ე. ი. არის მითითებული ნიუზაურთა და მეზღვაურთათვის. ნაწარმოების სტილსა და სხვა მხატვრულ ღირსებებზე ლაპარაკი არ გვიხდება. მისი მნიშვნელობა ჩვენთვის წმინდა მეცნიერულია — რა ცნობები შემოგვინახა მან საერთოდ და კერძოდ საქართველოს ისტორიისათვის, რა ღირებულება აქვთ ამ ცნობებს და სხვ. ამის შესახებ ქვემოთ.

ე. წ. ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ავტორის მოღწეულია შემდეგი ხელნაწერებით: Codex Parisinus № 443, პერგამენტზე ნაწერი, XII საუკუნის ხელნაწერი, გვ. 62—107, აქედან არის გადაწერილი Cod. Vaticanus Palatinus № 142, ქალაქზე ნაწერი, XV ს-ის ხელნაწერი, გვ. 216—236. აქ არის ტექსტები: მარკიანოს ჰერაკლეელისა, ფსევდო-სკილაქსისა, ისიდორესი, დიონისიოს კალიფონტეს ძისა, დიკაძარქოსის და ფსევდო-სკიმნოს ქიოსელისა.

ამას გარდა, ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსის ნაწილი არის XVI ს-ის ქალაქზე ნაწერ ხელნაწერში, C. Hervortianus sive Monacensis. № 556, გვ. 34—59. სკილაქსის პერიპლუსის ფრაგმენტები დაცულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ერთ-ერთ ფონდში (ფილონის, იპოლიტე რომაელისა და ფილოსტრატოსის ფრაგმენტებთან ერთად). Byzantion, XX, 1950, გვ. 25: Concasty M. L., Le fonds supplément grec du Département des Manuscrits de la Bibliothèque Nationale (გვ. 21—26).

ამრიგად, უძველესი ხელნაწერი არის მხოლოდ XII ს-სა.

ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიპლუსის შემდეგი გამოცემებია ცნობილი: 1. Dav. Hoescheliუს-ისა, 1600 წ. წიგნში Geographica (გვ. 109—161), სხვა ავტორებთან (მაგ., მარკიანე ჰერაკლეელთან) ერთად. 2. Is. Vossius-ისა, 1639, ამსტერდამი (ანონიმურ პერიპლუსთან ერთად). 3. Jac. Gronovius-ისა, 1697, (Geogr. antiq.) Lugd. Batav. და განმეორებით 1700. 4. Hudson-ისა, 1798, ოქსფორდი, Geogr. veter. script. gr. minor. tom I. 5. Joan. Franc. Gailius-ისა, Paris, 1826, Geogr. gr. min. t. I. 6. R. H. Klausen-ისა, Berlin, 1831, (ჰეკატაეოს მილეტელის ფრაგმენტებთან ერთად). 7. Fabricius-ისა, დრეზდენი, 1848 წ. და ლაფეციგი 1878, (მხოლოდ სკილაქსის ტექსტია მის გამოცემაში). 8. კითხვა-სხვაობანი, რომელიც პარიზის ხელნაწერებშია, პირველად გამოსცა E. Miller-მა, Supplément aux dernières éditions des petits géogr., Paris, 1839, გვ. 195—244. 9. C. Müller-ის Geographi graeci minores, vol. I, Paris, 1855 (შემდეგი გამოცემა 1882), გვ. 15—96 (სხვა მრავალ ავტორთან ერთად).

აქედანვეა გადმობეჭდილი ნაწყვეტები სკვითიისა და კავკასიის შესახებ ვ. ლატიშევის ცნობილ ნაშრომში «Сведения греческих и римских писателей о Скифии и Кавказе», т. I.

ე. წ. ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსის“ ნაწილი (fig. 70—88) თავისი ქართული თარგმანითურთ გამოქვეყნებულია ნ. ლომოურის ნაშრომში „ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ“: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბილისი, 1963, გვ. 33—34.

ამავე ნაშრომის წინასიტყვაობაში სხვა ლოგოგრაფოსთა (ჰეკატე მილეტელი, აკუსილაე არგოსელი, ფერეკიდე ლეროსელი, ჰეროდორე, ჰელანიკე) ცნობათა გვერდით მიმოხილულია ფსევდო-სკილაქსის ცნობებიც.

გამოცემების დიდ ნაწილს ახლავს ლათინური თარგმანი (მაგ., Vossius-ისას, Gronovius-ისას, Hudson-ისას, Müller-ისას, Klau-

sen-ისას). ვ. ლატიშევის გამოცემას აქვს რუსული თარგმანი, რაც უცვლელად გადაბეჭდა БИИ-მ (ბერძნული ტექსტის გარეშე).

ფსევდო-სკილაქსის შრომის გამოცემით მჟღერისა და ფაბრიციუსის შემდეგ დიდ ხანს არავინ დაინტერესებულა, ხოლო ამ ბოლო ხანებში, პარიზში გამოუცია ის ვინმე ა. ბაშმაკოვს (A. Baschmakoff, La synthèse des périple pontiques: Paris, 1948—texte grec et traduction française des périple de Scylax et d' Arrien suivis du périple d' un auteur anonyme et de sa continuation selon le codex Londiniensis, avec une étude critique et des cartes; 184 p. 8 cartes). სამწუხაროდ, ეს გამოცემა ვერსად ვნახე, მის შესახებ ვიცი მხოლოდ მარუზოს ცნობარის მიხედვით (1952 წ. XXI ტ.).

ლიბერაგურა

საკუთრივ სკილაქსის და ფსევდო-სკილაქსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა არცთუ ისე მცირეა, ხოლო პერიალუსის გამოყენება სხვადასხვა მკვლევართა მიერ კიდევ უფრო ხშირია.

ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი სკილაქსისა და ფსევდო-სკილაქსის შესახებ F. Gisinger-ისა არის: RF, II Reihe, 5. Halbband, Stuttgart, 1927, გვ. 619—646.

ამ ნაშრომში თავმოყრილია ყოველივე ის, რაც მის გამოსვლამდე გაკეთებულა ამ საკითხის ირგვლივ და როგორც ამ ენციკლოპედიისათვის არის დამახასიათებელი, ამომწურავი ცნობებია მოკლემული ავტორის პიროვნების, თხზულების და სხვ. შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით უფრო ვრცლად და უკეთ სკილაქსის შესახებ არაფერი დაწერილა.

მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს წამმდგარებული ფსევდო-სკილაქსის „პერიალუსს“ კ. მჟღერის გამოცემაში (Geographi graeci minores, vol. I, 1882 წ., გვ. XXXIII—LI). მართალია, ამ გამოკვლევის გამოსვლის შემდეგ დიდი ხანია უკვე გასული, მაგრამ ის დღესაც, Gisinger-ის სტატიასთან ერთად, სკილაქსის საკითხზე ყველაზე უფრო საყურადღებო ნაშრომია.

მოკლე, ზოგადი ხასიათის თავები (პარაგრაფები) სკილაქსის შესახებ არის ლიტერატურის ისტორიებში. მაგ., ვ. კრისტის ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში (W. Christs, Geschichte der griechischen Litteratur⁶, I Teil, München, 1912, გვ. 539). ს. ყაუზ-ჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ (I, 1950, გვ. 453—454) და სხვ.

ფსევდო-სკილაქსსა და მის ნაშრომს საკმაო ადგილი აქვს დათმობილი Karl Müllenhoff-ის შრომაში (Deutsche Altertumskunde, III. Berlin, 1892, გვ. 32—35, 66 და სხვ.), სადაც განხილულია ამ ავტორის ვინაობის საკითხი და მისი ცნობები ზოგიერთი ტომების შესახებ სხვა ავტორთა (მაგ., ჰეროდოტეს) ცნობებთან მიმართებაში. მასვე აქვს გამოანგარიშებული სკილაქსის მონაცემების მიხედვით შავი ზღვის პერიმეტრი მთლიანად და ცალკეულ ადგილთა შორის მანძილები და ეს შედარებული აქვს ვარონისეულ გამოანგარიშებასთან. მ. როსტოვეცი თავისი ცნობილი ნაშრომის «Скитыя и Боспор» (1925 წ.) III თავში (Перишлы и перигесы, IV—I нн. 10 р. х.) ცალკე მსჯელობს საკუთრივ სკილაქსზე, იზიარებს Schmidt-ის აზრს მისი ვინაობის შესახებ, ავრცელებს მას და არკვევს ამ ავტორის მნიშვნელობას სკვითიის ისტორიის შესწავლისათვის (გვ. 23—26).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მ. როსტოვეცი წერს, რომ ფსევდო-სკილაქსი არის ათენელი ავტორი, ვაჭარი, რომელსაც გარკვეულად აინტერესებს ყირიმი, სინდიკა და შავი ზღვის კავკასიის სანაპირო და რომ იგი ცხოვრობდა ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში.

ლ. ელნიცკი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში¹¹ მთელ თავს უძღვნის ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსს. ავტორის ვინაობის მიმართ ის ჩვენი საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრისაა, ხოლო რაც შეეხება მის ცნობებს, ლ. ელნიცკი ნათ განიხილავს ჰეკატაეოს მილეტელისა და ჰეროდოტეს ცნობებთან მიმართებაში.

ის ავტორები, რომელთაც სკილაქსთან დაკავშირებით ცალკეული საკითხების შესახებ გამოთქვეს აზრი, მოხსენიებული არიან F. Gisiinger-ის ჩვენ მიერ არაერთხელ დამოწმებულ საენციკლოპედია სტატიაში (გვ. 635—646), მათ ჩამოთვლას აღარ შევუდგები, აღვნიშნავ მხოლოდ მათ, რომელთა წერილებიც ამ ბოლო წლების ჟურნალებში გვხვდება. ასეთებია: D. B. Harden, The Phoenicians on the West Coast of Africa (Antiquity, 1948, გვ. 141—150), სადაც აღნიშნულია ის ამბავი, რომ ჰეროდოტესა და ფსევდო-სკილაქსის ცნობები—ფინიციელთა აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე ყოფნის შესახებ — დადასტურებულია არქეოლოგიური ძიების შედეგად. H. Treidler, Eine alte ionische Kolonisation im

¹¹ Л. А. Ельницкий, Знания древних о северных странах, М., 1961, стр. 18—73.

Numidischen Afrika (Historia, VIII, 1959, გვ. 257—283), სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კართაგენის აღმოსავლეთით 700—550 წლებში იყო იონიელთა კოლონია, რის შესახებაც პქონდათ ცნობა ჰეკატაეოს მილეტელს და ფსევდო-სკილაქსს. Compernelle, R. van, La vitesse des voiliers grecs (Bulletin de l'Institut historique belge de Rome. Bruxelles, Palais des Académies, XXX, 1957, გვ. 5—30) ბერძნული აფრიანი ხომალდების სისწრაფის გამო-სარკვევად (საშუალოდ 150—200 კმ-ს ვადის 24 საათის განმავლობაში) იმოწმებს სხვადასხვა ავტორებს (ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, ფსევდო-სკილაქსს და სხვ.).

არის უფრო კონკრეტული ხასიათის წერილიც: Suid M. De situ magni lacus Naroniani in Anonymi [vulgo Scylacis] Periplo; Bull. du Musée de la Rép. pop. de Bosnie & Herzégovine à Sarajevo. N. S. VIII, 1953, გვ. 111—129. არის წერილები სკილაქს კარიანდელის შესახებ, მაგ., ასეთი: Lamotte, E. Les premières relations entre l'Inde et l'Occident, NCllo, V. 1953, გვ. 83—118. Bengston, H. Scylax von Karyandina und Herakleides von Mylasa, Historia, III, 1955, გვ. 301—307.

მაგრამ, რადგან ამჯერად ამ ავტორის კვლევა ჩვენს სპეციალურ მიზანს არ წარმოადგენს, ამ კერძო ნაშრომებზე აღარ შევჩერდებით.

ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობები მრავალმა ისტორიკოსმა გამოიყენა; არ შევებები უცხოელებს, რომელთაც ეს ავტორი აინტერესებთ იმდენად, რამდენადაც, ვთქვათ, მას არ იცნობს ჰეროდოტე და იცნობს არისტოტელე (Ed. Meyer, Gesch. des Altertums, III, 1915, გვ. 100—101); მოვიხსენიებ იმ მკვლევრებს, რომელთაც ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსი“ გამოიყენეს საქართველოს ისტორიის წყაროდ. მ. მაქსიმოვა¹² ფსევდო-სკილაქსის შესახებ იმავე აზრისაა, როგორისაც მ. როსტოცევი (გვ. 146) და ხალიბთა ტომზე მსჯელობისას ლოკალიზაციისათვის იყენებს ფსევდო-სკილაქსის ცნობებსაც (გვ. 25 და შმდ.). (შავი ზღვის ნაპირას, კერძოდ თერმოდონტსა და კერასუნტს შორის მცხოვრები ხალიბები მკვლევარს მიაჩნია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ერთ-ერთ თავდაპირველად მოსახლე ტომად).

ლ. ელნიცკი ზემოთ უკვე განხილულ შრომაში იმ აზრისაა, რომ ფსევდო-სკილაქსი მოსინიკებისა და ხალიბების ხსენებისას ასახელებს იმავე პუნქტებს, რაც აქვს ჰეკატაეოს მილეტელს, ხოლო

¹² М. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.—Л., 1956.

კოლხიდის აღწერისას (პრავალი უმნიშვნელო მდინარის ჩამოთვლი-
სას) ის ემყარება კლასიკური ხანის იმ პერიბლუსს, რომელიც საფუძე-
ლად დაედო არიანეს ცნობილ ნაშრომს¹³.

ს. ჯანაშია თავის შრომებში იყენებს ფსევდო-სკილაქსის პერიბ-
ლუსის ცნობებს. მაგ., მისი განსაზღვრით "Αψαρδος ποταμός არის
კორონი¹⁴, ხოლო Ρίς — რიონი¹⁵.

ქართველ ტომთა სახელწოდების ანალიზისას ს. ჯანაშია ფსევ-
დო-სკილაქსის მიერ ხსენებულ მოსსუნ-ებს სრულიად სამართლიანად
აიგივებს ქსენოფონტის „მოსსუნიკებთან“, ხოლო თვით სახელს ასე
წლის: მო — პრეფიქსი, ძირი — სსუნ, ორი ს გადმოსცემს ბერძნუ-
ლისათვის უცხო სპირანტს ან აფრიკატს, მხოლოდ ჰ არის აუხსენ-
ელი¹⁶. ფსევდო-სკილაქსის შრომის იმავე ადგილს იყენებს ავტორი
ტიბარენ-ის ანალიზისას (მოყვანილია ამ სახელის სხვადასხვა ფორ-
მები, რაც გვხვდება ძველ ბერძნულ წყაროებში)¹⁷.

პ. ინგოროყვა „გიორგი მერჩულეს“ სხვადასხვა ადგილას ხში-
რად მიმართავს ბერძენ ავტორთა ცნობებს, მათ შორის — ფსევდო-
სკილაქსის პერიბლუსის მასალასაც. მაგ., დიოსკურიის ხსენება პირ-

¹³ Л. Ельницкий, Знания древних о северных странах, гл. 70—71.
აქვე ნიხდა შენიშვნა: л. ელნიკი გამოთქვამს მოსაზრებას, «Самое имя Кол-
хиды на Кавказе произошло, вероятно, из столкновения греческого *χαλ-*
κός — медь (ср. *Χαλκίς* — Халкида, *Χαλκιδική* — Халкидика) აქვე შენიშვნაშია:
Халкедон — Калхедон с засвидетельствованным уже колов (*κάλκοι*) и
колхов (кулха древне-урартских текстов), а также и самих урартов-халдов
(калду. *Καλδαίσι* у Стефана Византийского, помсцающего их близ Колхиды).

Халкида — Халкидика — Халкитида — Халкедон вот тот вероятный путь,
который предшествовал проникновению этого имени на Кавказ. Оно
возникло там, где наличествовал соответствующий металл... Легкость
перетождования Халкиды в Колхиду подтверждается наличием параллель-
ных форм Халкедон-Калхедон на северном берегу Малой Азии. (გვ. 12—13).

Κάλχος || *Χολχος* || *Χολκίς* ბერძნულ ეპიგრაფიკაში დადასტურებული ფორ-
მეზია გამართლებული ფონეტიკურად (CIG, IV, 8239, VI ს-ის მეორე ნახევრის
წარწერა ჰიდრიახე: Б. Н. Греков, Материалы по истории Скифии, ВДИ,
1939. 3. გვ. 308; ათენის საფლავის წარწერა კლასიკური ხანის), ამისათვის Хал-
кедон-Калхедон-ის მოშვლიება არ გვეკირდება. რაც შეეხება *Κάλχος*-ის კავშირს
Χελκός-თან. ეს საეკვოდ გვეჩვენება. *Χελκός*-ის ეტიმოლოგია ე. ბუახაის აზრით
უცნობა. პ. კრეზმერი მას აკავშირებს *Κάλχη* — *χάλχη* — *Χάλχη*-თან (=ძოწველი).
ინავე ძირისაა *Κάλχας*-იც.

¹⁴ ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, სტატია „ფასიდი“, გვ. 271.

¹⁵ იქვე, გვ. 275.

¹⁶ ს. ჯანაშია, შრომები, III, 1959, სტატია „ოთხბალ-თაბალი, ტიბარენი,
იბერა“. გვ. 31.

¹⁷ იქვე, გვ. 30.

ველად სკილაქსთან გვხვდება¹⁸. *Βασιλειαν*, რომელთაც იხსენიებენ ჰეკატე, ფსევდო-სკილაქსი, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, პლინიუსი არიან ბიწერები¹⁹. სკილაქსის ეკეხეარნი, resp. ეგეარნი— ეს იგივეა, რაც ჰეკატეს ხოელნი, ლიორნი და მათი მხარე იყო ხოა²⁰. ბეხირებს იცნობენ ჰეკატე, სკილაქსი, აპოლონიოს როდოსელი, პლინიუსი²¹ (ალარაფერს ვიტყვით კოლხების, ტაობების, ნაკრონებისა და ხალიბების შესახებ, რომელთაც ხშირად ახსენებს პ. ინგოროყვა და იმოწმებს ფსევდო-სკილაქსს).

ჯიქებზე მსჯელობისას პ. ინგოროყვა წერს: „ანტიკური ხანის ავტორები VI ს.-დან ვიდრე I ს.-მდე (...სკილაქსი...) შავი ზღვის სანაპიროზე არ იცნობენ ჯიქებს და უშუალო მეზობლად კენიოხებისა მოხსენებული არიან ასაველნი. მხოლოდ სტრაბონი... პირველად მოიხსენიებს ჯიქებს, რომლებიც ჩამოსახლებულან ასაველთა და კენიოხთა შუა“²².

ათინას ჩრდილოეთით არსებული მდინარე ფურტუნა არის ფსევდო-სკილაქსის *Πρηναις* და არიანეს *Πρηναις*²³. კოლხეთისა და ლაზეთის სამეფოს საზღვარზე მსჯელობისას პ. ინგოროყვა წერს: „აფსარი, როგორც საზღვარი შიდა-კოლხეთისა (შემდგომი ხანის ლაზეთის სამეფოსი) აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ფს.-სკილაქსს. ესევე საზღვარის ხაზი ლაზეთის სამეფოსი ნაჩვენები აქვს ევ-5 ს-ის ანონიმ გეოგრაფოსს“²⁴.

გ. მელიქიშვილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ტომთა ჩამოთვლისას იმოწმებს ბერძენ ავტორებს, რომელთა შორის ფსევდო-სკილაქსის სახელი არც თუ იშვიათად გვხვდება²⁵. ამ ავტორის ცნობას გ. მელიქიშვილი, ეტყობა, ანგარიშს უწევს, როდესაც ამბობს: «*Может быть она (ბიკვინტა, ბერძნული კოლონია. — თ. ყ.) возникла позже IV в. до н. э., так как упоминается о ней отсутствует у Скилака Кариянского*»²⁶. ნ. ლომოური ძველი კოლხიდის გეოგრაფიის საკითხების განხილვისას ახსენებს

¹⁸ პ. ინგოროყვა, გიორგი მერაბულა, 1954, გვ. 146.

¹⁹ იქვე, გვ. 202.

²⁰ იქვე, გვ. 202.

²¹ იქვე, გვ. 203.

²² იქვე, გვ. 125.

²³ იქვე, გვ. 235.

²⁴ იქვე, გვ. 204.

²⁵ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, 33, 63, 65, 79, 87, 243, 245.

²⁶ იქვე, გვ. 243.

ფსევდო-სკილაქს და მის მიერ აღნიშნულ ქალაქსა და მდინარე — გვენოსს. მისი განმარტებით ფსევდო-სკილაქსის გვიენოსი არის პტოლემეაოსის კვანეოსი, არიანეს ტარსურა და თანამედროვე მოქვი²⁷.

კორაქსების ტომი, ნ. ლომოურის აზრით, ფსევდო-სკილაქსს დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით ჰყავს მოხსენებული²⁸.

იგივე ავტორი კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის საკითხების გარკვევისას ეხება ფსევდო-სკილაქსის ცნობებს იმდენად, რამდენადაც „პერიპლუსში“ ჩამოთვლილია ქალაქები (ელინური და არაელინური) და აკეთებს გარკვეულ დასკვნებს მათი მიმართების შესახებ ელინურ პოლისებთან²⁹. იგი წერს, რომ გვენოსს ასახელებს მხოლოდ ფსევდო-სკილაქსი. ესეც, ალბათ, მიღებულია დაარსებული კოლონია იყო, მაგრამ ის უთუოდ მეორეხარისხოვან დასახლებას წარმოადგენდა და ამიტომ მან მალე დაჰკარგა მნიშვნელობა³⁰. ბ. კუფტინის მოსაზრების გაზიარებით ნ. ლომოური გვენოსს თანამედროვე ოჩამჩირეს მიდამოში წარმოიდგენს³¹.

მ. ინაძესაც ფსევდო-სკილაქსი კოლხიდის ზღვისპირა ქალაქებთან დაკავშირებით აინტერესებს (გვიენოსი, ფაზისი, ოდენიოსი, ბეპერია...) ³². ნ. ლომოურიცა და მ. ინაძეც იმ აზრისა არიან, რომ ფსევდო-სკილაქსის მიერ უეპითეტოდ მოხსენიებული „დიოსკურია“ (ე. ი. არა „ელინური ქალაქი დიოსკურია“, არამედ მხოლოდ „დიოსკურია“), მხოლოდ შემთხვევის ამბავია, რატომღაც ავტორს გამორჩენია ამ ქალაქის მიმართ ეპითეტი — ელინური³³. მ. ინაძე იყენებს ფსევდო-სკილაქსის ცნობებს, როდესაც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა საკითხს იკვლევს³⁴. იგი საგან-

²⁷ Н. Ю. Ломоурн, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, стр. 102.

²⁸ იქვე გვ. 106.

²⁹ ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, 1962, გვ. 35, 36, 43.

³⁰ იქვე გვ. 36.

³¹ იქვე გვ. 47.

³² მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების თვითმმართველობის საკითხისათვის, საქართველოს სსრ ჯეოგრაფიკულ-სტატისტიკულ-ეკონომიკურმა და მკვლევარმა ინსტიტუტმა, ტ. XXI, № 2, 1958, გვ. 241—247.

³³ ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 35; მ. ინაძე, დასახ. ნაწროში, გვ. 241.

³⁴ მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა ისტორიისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. II, თბილისი, 1954, გვ. 81—87.

გებოდ ჩერდება ფსევდო-სკილაქსის ერთ ცნობაზე, სადაც ნათქვამია, რომ ფასისის ნაპირას არსებობდა „ბარბაროსული“ დიდი ქალაქი, მედეას სამშობლო; მ. ინაძის აზრით, ეს ქალაქი უნდა იყოს კუტაია (ე. ი. ქუთაისი)³⁵.

ფსევდო-სკილაქსი ამბობს, რომ შესართავიდან ეს ქალაქი დაშორებულია 180 სტადიონით. ეს უდრის დაახლოებით 36 კმ-ს, ხოლო ქუთაისი ვაცილებით უფრო შორსაა ზღვიდან (ვიდრე 36 კმ-ია). დაახლოებით ამ მანძილზე არის ნოქალაქევი (ძვ. არქეოპოლისი), რომელიც, მართალია, რიონის ნაპირას არაა, მაგრამ არც თუ ძალიან არის მას დაშორებული. ამ საკითხს გადაჭრის მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

წყაროები

ისტორიკოსის (თუ გეოგრაფოსის) თხზულების შესწავლისას ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მისი წყაროების დადგენა. ფსევდო-სკილაქსს, რომელსაც ბევრი საინტერესო (და ზოგჯერ უნიკალური) ცნობა აქვს, ცხადია, თავისი წყაროები ექნებოდა. მის ყველაზე ძველ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ჰეკატაეოს მილეტელი, ძვ. წ. VI ს-ის ისტორიკოსი და გეოგრაფოსი, რომლის თხზულებაც—*Ἱστ. ἡπειρωτικῆς* დიდი პოპულარობით სარგებლობდა და რომლის ფრაგმენტები ჩვენამდე არის მოღწეული (თვით ჰეკატაეოსი სარგებლობდა ნამდვილი სკილაქს კარიანდელის ნაშრომით). ტექსტზე მუშაობისას შეიმჩნევა ადგილები, რომლებიც საერთოა ჰეროდოტესთან (მაგ., ფსევდო-სკილაქსი, პერიპლუსი, § 70 და ჰეროდოტე, ისტორია, IV, 110), მაგრამ ეს, ჩანს, გააზრებულია ისე, რომ ორივე ავტორს, ჰეროდოტესა და ფსევდო-სკილაქსს ერთი საერთო წყარო (მაგ., ჰეკატაეოსი) ჰყავდათ და არა ისე, რომ ჰეროდოტეს „ისტორიით“ უშუალოდ იელმძღვანელობდა ფსევდო-სკილაქსი. ჰეკატაეოსს გარდა ფსევდო-სკილაქსის წყაროებად ასახელებენ ძვ. წ. IV ს-ის ისტორიკოსებს — თეოპომპეს, ეფორეს და ამავე დროის ათენელ გეოგრაფოსს — ფილეასს³⁶.

თეოპომპე იყო ავტორი ორი სახელგანთქმული შრომისა, ერთი იყო *Ἐλληνιστῶν*, 12 წიგნად და მეორე — *Περσιστῶν* — 58 წიგნად. ამ შრომათა მხოლოდ ფრაგმენტებია დღემდე მოღწეული. რაც შეეხება ეფორეს, მისი *Ἱστορικῶν* *ἡπειρωτικῶν* *ἑξήκοντα* 30 წიგნისაგან შედგებოდა, და ესეც ფრაგმენტულადაა დაცული. ამ ფრაგმენტების

³⁵ მ. ინაძე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. კ.-კ. ისტორიულ-აღმოსავლური კრებულები, II. თბილისი, 1962, გვ. 93.

³⁶ F. Gisinger, დასახ. სტატია, გვ. 643—646.

უბალესი და საუკეთესო გამოცემა არის F. Jacoby-ს შრომაში: Die Fragmente der griechischen Historiker II, A, გვ. 37—106, Berlin. 1926.

მწიგნობი საქართველოს შესახებ

ჩვენი „პერიპლუსის“ ავტორი შავი ზღვის სანაპიროს აღწერას იწყებს ჩრდილოეთიდან და მოდის თანდათანობით სამხრეთისაკენ. აღწერისას ჩამოთვლის რიგ-რიგობით ტომებს, რომლებიც მას ხვდებიან, მდინარეებს, რომლებიც ერთვიან ზღვას, ნავსადგურებს, რომლებიც ზღვის ნაპირასაა და იშვიათ შემთხვევაში სხვა ქალაქებსაც, თუკი რამეთი არიან ისინი შესანიშნავი.

არ გავიგეოვრებ ყველა იმ ცნობას, რაც მაქვს ტექსტში, გამოვყოფ მათგან მხოლოდ იმათ, რაც უშუალოდ ეხება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას.

ტომთა შორის ის ჩამოთვლის (ვიგეორებ იმავე რიგს, რაც აქვს ფსევდო-სკილაქსს): სავრომატებს, მაოტებს, სინდებს, კერკეტებს, ტორეტებს, აქაებს, ჰენიოკებს, კორაქსებს, კოლებს, მელანქლანებს, გელონებს, კოლხებს, ბიძერებს, ეკექეარიებს, ბექეარებს, მაკროკეფალებს, მოსკნოაქებს, ტიბარენებს, ხალიბებს. ეს არის შავი ზღვის სანაპირო დაწყებული მდინარე ტანაისიდან (ე. ი. დონიდან) წდ. თერმოდონტამდე (ე. ი. თერმე-ჩაიმდე).

ზოგი ტომის ხსენებისას ავტორი ასახელებს ქალაქებსაც, რომლებიც ამ ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზეა. მათ შორის ზოგი ქალაქი ელინურია, ზოგი ბარბაროსული და ზოგის შესახებ სწერია მხოლოდ „ქალაქი“, ავტორს არა აქვს განსაზღვრული — ის ელინურია თუ არა. მაგ., სინდების ელინური ქალაქებია: ფანავორა, კეპო, სინდის ნავსადგური, ტორეტების ელინური ქალაქია (და ნავსადგური) ტორიკოსი — (ან ტორების ქალაქი) — კოლების ელინური ქალაქებია: გვენოსი, ფასისი; მათი ქალაქია — დიოსკუროსი. მათი დიდი ბარბაროსული ქალაქია მდ. ფასისის ნაპირას, შესართავიდან 180 სტადიონის დაშორებით, საიდანაც იყო მელეა (ქალაქის სახელი არაა). ეკექეარიების ელინური ქალაქია ოდენიოსი. ძოლო ქალაქია — ლიმნე. ბექეარების ელინური ქალაქია ბექეარიასი (ეტყობა, იგივე არის ბექეარების ნავსადგურიც). მაკროკეფალების ელინური ქალაქია ტრაპეზუნტი, მათი ნავსადგურია ფსორონი. მოსინოაქების ელინური ქალაქია ქოჯრადესი, მათი ნავსადგურია ცეფირიოსი. ხალიბების ელინური ქალაქია სტამენეა, ელინური

აკროპოლისია — იასონია, ხოლო დახურული ნავსადგურია — გენეტესი.

ზემოთ მოხსენიებულ ტომთა შორის ბევრია ისეთი, რომელთა ქალაქებსაც არ ასახელებს ავტორი; მიზეზი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ ამ ტომებს ქალაქები (ან მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები) არ ჰქონდათ, მითუმეტეს, რომ ზოგ ამ ტომს სხვა ავტორები ჩამორჩენილსა და ველურს უწოდებენ; ისინი მეკობრულსა და მომთაბარულ ცხოვრებას ეწოდნენ. ასეთი ტომებია: კერკეტები, აქაეები, ჰენიოქები, კორაქსები, კოლები, მელანქლაანები, გელონები, ზიძერები, ტიბარენები.

ფსევდო სკილაქსის მიერ ჩამოთვლილი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე მოედინებიან მდინარეები, რომელთა აღნიშვნა მას საჭიროდ მიუჩნევია²⁷. მელანქლაანების ქვეყანაში არის მდინარეები: მეტასორისი და აგვიპოსი. კოლებების მიწაწყალზე ნოედიანება: მდ. მდ. გვენოსი, კერობოსი, ქორსოსი, არიოსი, ფასისი, რისი, ისისი; „უაჩალთა მდინარე“ და აფსაროსი.

ბიძერების მხარეში არის მდ. მდ. დარაანონი და არიონი. ეკექერეების ქვეყანაში არის მდ. მდ. პორდანისი და არაბისი.

ზოგიერთი ტომით დასახლებული კუთხის მდინარეები სულ არაა ნახსენები. ეს ტომებია: კერკეტები, ტორეტები, აქაეები, ჰენიოქები, კორაქსები, კოლები, გელონები, ტიბარენები. ეტყობა, ავტორს (ან მის წყაროს) იქ დიდი მდინარეები არ შეუმჩნევია.

ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ ტომთა მხოლოდ ჩამოთვლაა. მათი დახასიათება, შეიძლება ითქვას, რომ სულ არ გვაქვს. გამონაკლისს წარმოადგენენ სავრომატები, რომელთა შესახებ გარდა იმისა, რომ სწერია. საღ ცხოვრობენ ისინი, სხვა რიგის ცნობაც არის.

„§ 70: მდინარე ტანაისიდან იწყება აზია და მისი პირველი ტომი პონტოსთან არის სავრომატები. ხოლო სავრომატთა ტომი არის ქალთა მიერ მართული (γυαυαυαυαυαυαυαυαυα)“.

ამ ცნობასთან გაცნობისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ ძვ. წ. II ს-ის უცნობი ავტორის (ე. წ. ფსევდო-სკიმნოსის) „პერიეგესისი“, სადაც უკვე გასაგებია, თუ რატომ არიან სავრომატები ქალთა მიერ მართულები: „ბჰჰ. ამ სავრომატებს, ამბობენ, რომ შეუუღლდნენ ამადონები. რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ თერმოლონტთან

²⁷ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნთების დასახლება არსაღაა.

ნომინალური ბრძოლის შემდეგ. ამის გამო იყო, რომ ეწოდათ მათ ქალთა მიერ მართულები (γυναίκαρχαρισμῶν) ²⁶.

ფსევდო-სკიმნოსისავე განცხადებით სავრომატების შესახებ ცნობები მას ეფორესაგან აქვს აღებული. ისე, რომ ამ ორი ავტორის წყარო ამ საკითხისათვის ეფორე უნდა იყოს.

იგივე ამბავი, მხოლოდ უფრო ვრცლად, მოთხრობილი აქვს ჰეროდოტეს, რომლის აზრითაც სკვიუებისა და ამადონების შეუღლებამ წარმოშვა სავრომატები („ისტორია“, IV, 110—117). მაგრამ ტექსტობრივი შეხვედრა ჰეროდოტესა და ზემოხსენებულ ავტორებს შორის არ არის.

სავრომატების სადაურობაზე და მათ კავშირზე ამადონებთან ფსევდო-სკიმნოსის მსგავსად ლაპარაკობს ახ. წ. II ს-ის ავტორი დიონისიოს პერიეგეტიც (652—662 ტეპები). მაგრამ ეს არ უწოდებს სავრომატებს „ქალთა მიერ მართულებს“. პლინიუსი (NH, IV, 7) და პომპონიუს მელა (De geographia I, 116) მეოტებს (ერთ-ერთ სავრომატულ ტომს) უწოდებენ Gynaecocratumenose (პლინიუსთან ვარიანტში არის Cinacogratu eneti, R—ხელნაწერში), ე. ი. დატოვებულია ბერძნული სიტყვა ლათინურ ტექსტში, ის თითქოს არსებით სახელადაც კი არის გაგებული.

მოსუნჯებზე თხრობისას ფსევდო-სკილაქსი ამბობს იმას, რომ ისინი ცხოვრობენ მთებში (§ მნ). ეს ცნობა საგანგებოდ აღსანიშნავი იმიტომ გახდა, რომ ყველა სხვა შემთხვევაში ავტორი მხოლოდ ჩამოთვლის ერთიმეორის მიყოლებით ტომებს (ქალაქებსა და მდინარეებს), მათ საცხოვრისს არავითარნაირად არ ახასიათებს.

აღარ გავაგრძელებ სიტყვას ისეთ ტომთა შესახებ, რომლებიც ბევრ სავა წყაროშიც იხსენიებიან და მოხსენიების გარდა კარგად თუ არა, ვრცლად არიან დახასიათებულნი. ასეთები არიან: კოლხები, ტიბარენები, ხალიბები...

პირველ რიგში მინდა შევჩერდე ორ ტომზე, რომელთაც შავი ზღვის სანაპიროზე ქართველურ ტომთა შორის ბერძენ ავტორთაგან იწვიათად თუ ვინმე ასახელებს და მათ შორის უძველესია ფსევდო-სკილაქსი. ესენი არიან მელანქლაძენები და გელონები. მათი უშუალო მეზობლები ჩანან — სანაპიროზე ჩრდილოეთით კოლები (ასეთია რიგი ჩრდ-დან სამხრეთისაკენ: აქაძეები, პენიოქები, კორაქსები, კოლები) ხოლო სამხრეთით — კოლები.

²⁶ γυναικαρχαρισμοί არტუთ ისე ხშირად ხმარებული ფორმაა. გარდა ამ ორი შემთხვევისა, ის დადასტურებულია კიდევ არისტოტელესთან (პოლიტია 1269 b. 24) და დიოდორე სცილიელთან (4, 45). არაფერს ვამბობ ლათინ ავტორთა შესახებ, რომლებიც ასევე ხმარობენ ამ სიტყვას.

მელანქლაძეებს ფსევდო-სკილაქსამდე აღტოროთა შორის იცნობენ ჰეკატაეოს მილეტელი (ფრ. 154) და ჰეროდოტე (ისტორია, IV, 101, 107 და ა. შ.). ჰეკატაეოსის აზრით, ეს სკვითური ტომია. ფრაგმენტი სტეფანე ბიზანტიონელს აქვს დაცული და სხვა ცნობები ამ ტომის შესახებ არ მოგვეპოვება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტომის შესახებ ჰეკატაეოსი ლაპარაკობდა ევროპის აღწერილობაში. მაშინ, როდესაც ფანაგორია, კორაქსები, კოლები, მოსხები იქ იხსენიებიან აზიის აღწერილობაში. ჰეროდოტე კი მას სკვითების ჩრდილოეთით ათავსებს, ზღვიდან 20 დღის სავალზე (ე. ი. 4000 სტადიონის დაშორებით, ზოგი მკვლევარის აზრით ეს თითქმის მოსკოვთანაა, Б.И.И.-ს შენიშენის მიხედვით კი ხარკოვის ოლქში). ლაპარაკობს მათ შავ ტანსაცმელზე და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ისინი სკვითურ ჩეულებებს მისდევდნენ (სკვითები კი არ არიან, თუმცა ეს უკანასკნელი პირდაპირ არაა ნათქვამი). შემდეგი ხანის ავტორები (დიონისიოს პერიეგეტი, კლავდიოს პტოლემეაოსი) ყველანი ჰეროდოტეს ვერსიას იზიარებენ, დიონისიოს პერიეგეტის დაწესებით მელანქლაძეები მდ. ბორისთენესთან ცხოვრობენ (309). მათ შორის გამოიჩინა ანონიმის „პერიპლუსი“, სადაც მელანქლაძეები კოლიების ტომთან ერთად იხსენიებიან (§ 3).

რომაელი ავტორების, პლინიუსის, პომპონიუს მელას და ამიანე მარცელინუსის ცნობები განსხვავდებიან ჰეროდოტეს ვერსიისაგან. პლინიუსი წერს: დანარჩენი სანაპირო უპირავთ ველურ ტომებს, მელანქლენებს და კორაქსებს. კოლხური ქალაქით, დიოსკურიადით, რომელიც მდებარეობს მდ. ანთემუნტთან (NH, VI, 15).

პომპონიუს მელა ჩამოთვლის შავი ზღვის სანაპიროს ერთი ნონაკვეთის მცხოვრებლებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ესენი არიან ველური და განუსწავლელი ტომები, Melanchlaeua, ტორეტიკა, ექსი კოლიკა, კორაქსიკები, ფთჯროფაგები, ჰენიოხები, აქეები, კერკეტები და მეოტიდის საზღვართან—სინდონები (I, 110). (მისი მეორე ცნობა, II, 14 უფრო ჰავს ჰეროდოტესას).

ამიანე მარცელინუსის თხზულების ერთ ადგილას (22, 31) ერთი ჯგუფი ტომებისა არის მეოტიდაში და აქვე არიან სხვა ტომებთან ერთად მელანქლენები და პალანები (=ალანები).

ამ ავტორთა ცნობები თუ მოლიანად არ ემთხვევა ფსევდო-სკილაქსის ცნობებს, ძალიან ახლოს არიან მათთან (და ამდენად შორს ჰეროდოტესეული ლოკალიზაციისაგან).

ფსევდო-სკილაქსი მელანქლაძეების ტერიტორიაზე ორ მდინარეს ასახელებს: მეტასორისს და აფგიპიოსს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელწოდების მდინარეებს მხოლოდ ეს ავტორი იცნობს.

Pape თავის ლექსიკონში წერს, რომ შესაძლოა მეტასორისი ჰტოლემეაოსის (Μετσαυαίος-ი არის (V, 8, 10), ხოლო ახლანდელი Kamisiliar-ი; ხოლო რაც შეეხება ადგიბიოსს, ის უნდა იყოს თანამედროვე Kentchili. კ. მჯუღერის შენიშვნის თანახმად ეს ჰტოლემეაოსის კორაქსი უნდა იყოს, ხოლო კორაქსი ნ. ლომოურის განმარტებით არის მდ. ბზიფი ან ბზიფის სექტორის რომელიმე მდინარე. მეცნიერთა ნაწილს (Mannert, Dubois) ის მიაჩნიათ ედ. კოდორად, ხოლო პ. ინგოროყვას — კელასურად. ნ. კეპლმანცე ბზიფად მიიჩნევს არიანესთან ხსენებულ აბასკოსს, ხოლო კორაქსი (see კორახი) პ. ინგოროყვაზე დაყრდნობით მას თანამედროვე ედ. კელასურად აქვს გამოცხადებული³².

მეც მგონია, რომ ეს მდინარეები ვერ იქნებიან კოდორი ან კელასური, რადგან ფსევდო-სკილაქსის მელანქლაანები სანაპიროს უფრო ჩრდილო ნაწილში არიან სავარაუდებელი. ვიდრე დიოსკურიაა (იხ. § 81 — კოლხები, მათი ქალაქი დიოსკურიისი etc).

Pauly's RE-ში ადგიბიოსის შესახებ ტომაშეკის სტატიაა, რომელშიც მხოლოდ ის სწერია, რომ ესაა მდინარე მელანქლაანების წარამი, პონტოს აღმ. სანაპიროზე და რომ მჯუღერი მას აიგივებს კორაქსთან. იმავე RE-ში მეტასორისზე ჰერმანის სტატიაა, ისიც მხოლოდ იმას წერს, რომ ეს მდინარე მელანქლაანების ტერიტორიაზე ნიედინება, პონტოს აღმ. სანაპიროზე, დიოსკურიასა და ფასისს შორის. ეს შეცდომა იქიდან მომდინარეობს, რომ ის ავტორი თვით მელანქლაანებს დიოსკურიასა და ფასისს შორის ათავსებს. ამის შესახებ ქვემოთ.

გელონებს (Γελωνοί; ან Γέλωνες) ჩვეულებრივ ავითარებენ, მელანქლაანების, ბუდინების, ნევრების etc ჯგუფში იხსენიებენ ხოლმე. მათ იცნობენ: ჰეროდოტე (ისტორია, IV, 108: 110—113), ფსევდო-სკიმნოსი (863), დიონისიოს ჯერიეგეტი (310), არისტოტელე (Mirab. mundi, 29). ყველაზე დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ აქვს ჰეროდოტეს, რომელიც მათ ტერიტორიას ხუსტად არ განსაზღვრავს, მაგრამ ამბობს, რომ ისინი თავდაპირველად იყვნენ ელინები, წამოვიდნენ ზღვისპირა ქალაქებიდან³³ და დასახლ-

ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეისი..., მასალები საქ. და კავკ. რატორიისათვის, ნაკვ. 35. თბ., 1955. გვ. 53: ფლავიუს არიანე, მოგავერობა წავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 78, 100.

³⁰ *ἐξ τῆς ἐλατιώτου* არის ბერძნულ ტექსტში. *τὸ ἐλατιώτου* ნიშნავს სავაპრო ადგილს. ჩვეულებრივ სახელია ვაპროპის საწვობ ადგილს, ე. ი. ქალაქს, რომელიც ზღვის პირას არის და ზღვით ვაპროპის ცენტრია. ასეთებია ჰეროდოტესთანვე — ნავკრატისი (II, 179), სტრაბონთან ფასისი (XI, 2, 17) და სხვ. ჰერო-

დნენ ბუდინებში, რომლებიც ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ (სადაც მელანქლაანების მეზობლად). გელონებს ენა ზოგს სკვითური აქვს და ზოგს ელინური. საქმიანობის მიხედვით ისინი მიწათმოქმედნი არიან, ხოლო რაც შეეხება ბუდინებს, ისინი მომთაბარეები და გირჩისმკამელები (φύλακες) არიან⁴¹.

ფსევდო-სკილაქსი, როგორც ჩვეულებრივ, გელონების შესახებაც ძალიან ძუნწად ლაპარაკობს (80. მელანქლაანების შემდეგ არიან გელონები. 81. ამათ შემდეგ არის ტომი — კოლხები). დიონისიოს პერიეგეტი ამ გჯგუფის ტომების ჩანოთფლისას იქვე მდ. ბორისთენესაც ასახელებს. ასევე პლინიუსიც (NH, IV, 26), მელა (I, 19, 19) და ამიანე მარცელანე (XXII, 31) მათ მეოტიდასთან ახსენებენ.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჰეროდოტესა და ფსევდო-სკილაქსს სხვადასხვა წყაროები ჰქონდათ. გელონების საკითხში ვინ იყო ფსევდო-სკილაქსის წყარო. არ ვიცით, მაგრამ ის გარტყნობა, რომ ჰეროდოტე გელონებს ზღვისპირა ქალაქებიდან წაპოსულებად მიიჩნევს (იმახ არა აქვს ნიშნულობა, რომ ის მათ ელინებს უწოდებს, მომთაბარე, თითქმის ველურ ბუდინებთან შედარებით ცივილიზებული გელონები მას ელინებად ესახება) დღევანდელი შუა რუსეთის ველებზე, ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ მისი წყაროსთვისაც გელონები ოდესღაც ზღვის პირას (სავარაუდოა, წაფი ზღვის პირას) ცხოვრობდნენ (უფრო ზუსტი ლოკალიზაცია აქვს ფსევდო-სკილაქსს — მელანქლაანებსა და კოლხებს შორის), ხოლო შემდეგ გადასახლდნენ ჩრდილოეთით? გელონების მეზობლები, ბუდინები ჰეროდოტესთან ფთეაროტრაგები (σευ ფთეაროფაგები) არიან, ასევე არის კავკასიის ერთი ტომი ფთეაროფაგები. კოლხების მეზობლები (სტრაბონი, IX, 2, 19), ფსევდო-სკილაქსთან კი გელონების მეზობლები არიან კოლხები.

ამდენად, არ შეიძლება ითქვას, რომ ფსევდო-სკილაქსმა მექანიკურად გადაიტანა შავი ზღვის სანაპიროზე ამ ორი, ჩვეულებრივ უფრო ჩრდილოეთით მოხსენიებული, ტომის — მელანქლაანებისა და გელონების სახელები. ნითუმეტეს, რომ მისი პერიპლუსი პრაქტი-

დოტეს ისტორიის ეს ადგილი (IV, 108) რუსულად თარგმნილია — на торговых портах; ინგლისურად from the ports ვ. ი. ინგლისურად მთარგმნელსაც იხევე ენის ἐμπόριοι, როგორც ვე.

⁴¹ ფთეაროფაგებს, ტომს. რომელიც ცხოვრობდა სხვა ტომებთან ერთად კავკასიონის მთებში კოლხების ზემოთ, სვანების მეზობლად, იცნობს სტრაბონი (XI, 2, 19). ამ სიტყვაში ან ტომის საკუთარი სახელი იწალდება, ანდა, ბერძნული ეტიმოლოგიის მიხედვით ეს ტომი — „გირჩის მკამელი“ ან „ტილისმკამელი“ იყო (φύλαξ — ნიშნავს ორივეს).

კულად სახმარი წიგნი იყო და მას მეტად ევალებოდა შემოწმებული ცნობების შეტანა. შესაძლოა, ეს ცნობები უფრო ძველია, ვიდრე ფსევდო-სკილაქსი იყო თვის, მაგრამ ასეთი ცნობები უნდა არსებულებოდა, რასაც მოწმობს პეროდოტეს „ისტორიაც“.

ამ საკითხს უკრძალავს აქცევს K. Müllenhoff-იც და ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფსევდო-სკილაქსის წყარო სხვაა, მაგრამ პეროდოტეს მიერ წარმოდგენილ ტომთა თანმიმდევრობას ისიც იცავს და ამ ტომთა მიმართ სხვა ავტორების (არისტოტელე, თეოფრასტე...) ცნობების გათვალისწინებით ამბობს, რომ პეროდოტეს მიერ წარმოდგენილი სურათი პონტოს ჩრდილოეთისათვის ძირითადად უცვლელია ძვ. წ. IV ს-ისათვისაც⁴².

Herrmann-ი საენციკლოპედიო სტატიაში⁴³ ასხევეებს ორ ტომს ნელანქლანებისას. ერთია ის, რომელიც თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე და რომელსაც იცნობს პეროდოტე და მეორეა ის, რომელიც მისი თქმით აფხაზეთში ცხოვრობდა, დიოსკურიასა და ფასისს შორის (იმოწმებს ფსევდო-სკილაქსს და რომაელ ავტორებს). ფსევდო-სკილაქსის განსაზღვრით ნელანქლანები სწორედ დიოსკურიამდე, მის ჩრდილოეთით ცხოვრობენ და არა დიოსკურიასა და ფასისს შორის. ამდენად, Herrmann-ის ლოკალიზაცია აშკარად მცდარია.

მ. ინაძე სტატიაში „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა ისტორიისათვის“⁴⁴ სამართლიანად ეკამათება B.D.H.-ის კომენტარების ავტორს (1949, № 2, გვ. 287), რომელიც „მახორონსა“ და „მაიელონს“ „მელანხლენისაგან“ წარმოშობილად თვლის. მაგრამ სწორად არ მიმაჩნია მისი ასეთი გამოთქმა: „ნამდვილად კი, მელანხლენები მხოლოდ ფსევდო-სკილაქსს ჰყავს დასახელებული ამიერკავკასიაში (frg. 79, sC I, 1, გვ. 85); ისიც უთუოდ შეცდომით, რადგან სხვა უფრო სანდო წყაროების მიხედვით, მელანხლენები რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერთ-ერთი სკვითური ტომია... (დამოწმებულია პეროდოტე, ჰეკატაეოსი...)“. როგორც ზემოთ ვთქვი, მელანქლანები ამიერკავკასიაში ფსევდო-სკილაქსს გარდა ანონიმსა და რომაელ ავტორებსაც ჰყავთ მოხსენიებული და ყველა ამათი ცნობა თუნდაც ერთი, საერთო წყაროდან მომდინარეობს, რალცა ძველ, რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს. ამას გარდა, პეროდოტე მელანქლანებს სკვითურ ტომად არ იხსენიებს (ლაპარაკობს მხოლოდ მათ სკვითურ ჩვევებზე).

⁴² დასახ. ნაწრ. გვ. 34.

⁴³ RE, 29. Halbband. 1931, სტატია: Melanchlainoi.

⁴⁴ წიგნები, IV, ნაკვეთი II, თბ., 1959, გვ. 83.

ქართველურ ტომთა შორის, რომლებსაც ბერძენი ავტორები ახსენებენ, კოლხების (და იბერების) შესახებ ყველაზე მეტი დაწერილია სპეციალურ ლიტერატურაში. ფსევდო-სკილაქსიცი შავი ზღვისპირეთის ტომთა ჩამოთვლა-აღწერისას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს კოლხებს (§ 81). კოლხების ტერიტორიას ის იწყებს ქ. დიოსკურიისით (თუმცა შესაძლოა უფრო ჩრდილოეთით იყოს კოლხების საცხოვრისი, მაგრამ აღსანიშნავი ქალაქი ან ძლინარე დიოსკურიისამდე არ შეუნიშნავს ავტორს) და ამთავრებს მდ. აფსაროსით, ე. ი. თანამედროვე სახელები რომ მოვიხსენიოთ, კოლხები ფსევდო-სკილაქსისათვის ცხოვრობდნენ ქ. სოხუმიდან მდ. ჭოროხამდე. ამასთან დაკავშირებათ ერთი მინდა შევნიშნო: ფსევდო-სკილაქსი და ქსენოფონტი დაახლოებით ერთი დროის ავტორები არიან (ქსენოფონტი დაახლოებით 50 წლით ადრინდელია ფსევდო-სკილაქსზე); ქსენოფონტი თვითმხილველია შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსი, მისი ცნობები საერთოდ სანდოდ არის აღიარებული და ამის მიხედვით ვამბობთ, რომ კოლხები მისი დროისათვის ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტიისა და კერასუნტის მიდამოებში (ანაბასისი, I¹, 8, 22; V, 3, 2). ესაა სამხრეთი საზღვარი კოლხებისა. იმ გზაზე, რომლითაც ქსენოფონტმა იარა, კოლხებამდე ამ მონაკვეთის აღმოსავლეთით მეზობლები იყვნენ მაკრონები, ხოლო დასავლეთით — ნოსინოაქები. ამდენად, სურათი სრულიად ნათელია. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ჩრდილოეთით სადამდე ვრცელდებოდა კოლხთა ტერიტორია, ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით არ ჩანს. ფსევდო-სკილაქსი სწორედ აღმოსავლეთ სანაპიროზე გვიჩვენებს კოლხებს, სამხრეთით ქსენოფონტის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე მას ჰყავს დასახლებული ბიჭვრები (§ 82), ეკეჰეაროები (§ 83), ბეჰეაროები (§ 84), მაკროკეფალები (§ 85) და ნოსინოაქები (§ 86). მაკროკეფალებია ტერიტორიაზე არის ქ. ტრაპეზუნტი, ხოლო მოსინოაქებისაზე — ქ. ქოხრადესი (დაახლ. იქ, სადაც კერასუნტი იყო).

აქედან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ის ტერიტორია, რაც ქსენოფონტის დროს კოლხებისად იყო მიჩნეული, სხვა დროს (ე. ი. მასზე უფრო ადრე და, მაშასადამე, ფსევდო-სკილაქსის ცნობები უფრო ადრინდელ მასალას შეიცავენ, ვიდრე თვით ფსევდო-სკილაქსი და ქსენოფონტი იყვნენ) ეჭირათ სხვადასხვა (პატარა-პატარა) ტომებს, რომლებიც, ეტყობა, შემდეგ უფრო ძლიერმა კოლხთა ტომმა შთანთქმა (და არა მარტო პოლიტიკურად). ეს ტომები არიან ბიჭვრები, ეკეჰეაროები და ბეჰეაროები (მაკროკეფალთა და მოსინოაქთა ვითარება სხვაგვარია). ზართალია, ქსენოფონტმა

ეს ტომები არ ასხენა თავისი მოგზაურობის აღწერისას, მაგრამ მათი სახელი მწერლობაში ფსევდო-სკილაქსის მერეც გვხვდება. ნავ, ბიერებს ასხენებენ სტრაბონი (XII, 3, 18), დიონისიოს პერიპლეტი (765), მაგრამ ამ ორივე ავტორს გაცილებით უფრო აღწერილი ცნობები აქვთ შემონახული, ვიდრე თვითონ ცხოვრობდნენ.

Buzeri-ს ასხენებს პლინიუსიც (NH, VI, 4). ჰეკატაეოს მილეტელის $\Delta\zeta\eta\gamma\alpha\zeta$ სპეციალისტებს შემდეგი ხანის ბიძებრად მიაჩნიათ.

ანონიმურ პერიპლუსში (42) უფრო დაწვრილებითი ცნობა გვაქვს ნათ შესახებ: მდ. აფსაროსიდან მდ. არქაბისამდე წინათ ცხოვრობდნენ ევრეთწოდებული ბიძებები, ახლა კი ცხოვრობენ ზიდრიტეიო.

ამის მიხედვით, ბიძებების საცხოვრისი იყო მდ. კოროხსა და მდ. არქაბისს (ფსევდო-სკილაქსის არაბისს — თუმცა ამას ეკექმარიების ტერიტორიაზე ასახელებს ავტორი) შორის; მდ. არქაბისი ვიწებე ჩრდილოეთითაა, დაახლ. 16 კმ-ის მანძილზე და თვით გეოგრაფიული სახელწოდებაც „ვიწე“ კავშირში უნდა იყოს ამ ტომის სახელთან. პ. ინგოროყვა ამ ტომს ბიწერებს უწოდებს⁴⁵. გ. მელიქიშვილი პ. უშაკოვის მოსაზრებაზე დაყრდნობით ბიძებების სახელწოდებად მიიჩნევს ურარტული წყაროების uiteru(hi)-ს და შემდეგი დროის ქართულ სახელს, „ოდრე“-ს (მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ტერიტორიაზე დასტურდებიან წყაროების მიხედვით — ვიტერუჰი — დაახლ. დღევანდელი ლენინაკანის ადგილასაა, ბიძებები — კოროხის სამხრეთით შავი ზღვის პირას, ხოლო „ოდრე“ — სამხრეთ საქართველოში⁴⁶. მიხ. წერეთელი ბიძებების სახელს აკავშირებს სიტყვა „ბერძენთან“⁴⁷. გ. მელიქიშვილი უკანასკნელ ნაშრომში ბიძერთა შესახებ იმასვე წერს, რასაც ადრე, მაგრამ დამატებით წარმოადგენს იბოთეზას, რომელშიაც აკავშირებს „ბიძერსა“ და „ბერძენს“ (ბიძერი || ბერძენი გახდა ზოგადი სახელი ქართლის მოსახლეობაში პონტოს მოსახლეობისათვის და შემდეგ ქართველებმა გაავრცელეს ის პონტოს იქითაც, დანარჩენ ბერძენობაზე)⁴⁸.

⁴⁵ გიორგი ინგოროყვა. გვ. 202. 434.

⁴⁶ К истории древней Грузии. გვ. 81—82, 114, 210, 211, 223. „აღწარაველეთ ცეროვ აზიის უძველესი ეთნოგრაფიის შესწავლისათვის“; სახ. მეცნ. განყ-ის წინამძღ. 196.. № 3, 92—99. „К изучению древней восточно-малозападной этнографии“. ВДИ, 1962, № 1, стр. 49—51.

⁴⁷ Berdseni: ზედი ქართლისა, № 28, გვ. 83—86.

⁴⁸ „აღწარაველეთ ცეროვ აზიის უძველესი ეთნოგრაფიის შესწავლისათვის“, გვ. 57. К изучению древней восточно-малозападной этнографии, стр. 51.

პაპეს განმარტებით ეს არის „ein barbarisches Volk im Pontus Cappadocicus“. ჩემის აზრით, ეს არის ერთ-ერთი ქართველური ტომი, რომელიც შემდეგ კოლხთა გაერთიანებაში შევიდა. ბიძურების მეზობელი ტომია ეკექეარები (§ 83). ამ ფორმით ეს სიტყვა მხოლოდ ფსევდო-სკილაქსთან გვხვდება, მაგრამ იმავე ტომს აღნიშნავს, უთუოდ, ანონიმურ პერიპლუსში ხსენებული ეკექეარები (§2). სხვა ავტორები ამ ტომს არ იცნობენ. ფსევდო-სკილაქსის აღწერით, ეკექეარების ტერიტორიაზე აღსანიშნავია 2 მდინარე — პორდანისი და არაბისი; ქალაქი ლიმნე და ელინური ქალაქი — ოდეანოსი; ანონიმის განმარტებით — მდ. არქაბისიდან მდ. ოფიუნტამდე წინათ ცხოვრობდნენ ეკექეარებად წოდებულნი, ახლა კი ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები.

პაპე თავის ლექსიკონში ეკექეარებს უწოდებს „scythisches Volk im Pontus Cappadocicus“ (რატომაა ეს ტომი „სკვითური“ და ჰიდერები „ბარბაროსული“ — არ ვიცით!).

გ. მელიქიშვილი ამ ტომის სახელწოდებაში ხედავს იმავე — ეგრ — ძირს, რაც არის „მეგრულში“, ძველ ეკრეკტიკაში, კეკრიტიკაში, კერკეტში, მაკრონში და ა. შ.⁴⁹ პ. ინგოროყვა ეკექეარებს, რომელთაც ახსენებს ფსევდო-სკილაქსი, აიგივებს ჰეკატაეოსის ხოელებთან (ხოირებთან) და მათ მხარედ მიიჩნია ხოა⁵⁰. მათი საცხოვრისის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ანონიმის ცნობა. მდ. არქაბისსა და ოფიუნტს (არიანეს — ოფისი, თანამედროვე სულაკლი) შორის ძალიან დიდი ტერიტორიაა, შემდეგ აქ უცხოვრიათ მახელონებს (იგივე მახერონებს, ანუ მაკრონებს) და ჰენიოხებს, ამდენად შესაძლოა ეკექეარებს მთელი ეს ფართობი არ ეკუთრათ, მაგრამ დაახლოებით აქ არიან ისინი საძებარი.

ფსევდო-სკილაქსის ცნობით, მათ ტერიტორიაზე მოედინებიან მდინარეები: პორდანისი და არაბისი. არაბისი, როგორც ზენოთ ეთქვი, მიმაჩნია მდ. არქაბისსად, ხოლო მდ. პორდანისის შესახებ არსებობს ერთსულოვანი აზრი, რომ ის არის იგივე პრიტანისი. და თანამედროვე მდ. ფორტუნა⁵¹. ეს ორი მდინარე ერთმანეთს დაახლ. 35 კმ-ით არის დაცილებული და ორივე უერთდება შავ ზღვას, კოროხის სამხრეთით (კოროხსა და არქაბისს შორის დაახლ. 50 კმ-ია).

⁴⁹ К истории древней Грузии, გვ. 89 და 99.

⁵⁰ გიორგი მერჩულე, გვ. 202.

⁵¹ მაგ. კ. მ. ა. უ. ლ. ე. რ. ი., В. II. 1. პ. ინგოროყვა. ნ. კეკელმაძე. ნ. ჩინაძე. ნ. ლოპოლტი და სხვ.

ფსევდო-სკილაქსის ქალაქი ლინენე კ. მჟულერს და პაპეს ქ. ათინად (ფაზარი) მიაჩნიათ. ამის საწინააღმდეგოს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ დაბეჯითებით ამის მტკიცება სათუაოა. სხვა პერიპლუსში ეს პუნქტი ამ სახელით აღნიშნული არ არის. არიანე ასახელებს პირდაპირ ათინას (5,7). (მისი დადგენა ხდება აქვე ხსენებული მდინარეების და მეორე ქალაქის მიხედვით): ასევეა პტოლემეაფოსთანაც (V, 6, 2). ეკექეარების ტერიტორიაზე აღნიშნულია ელინური ქალაქი ოდეგნიოსი. ასეთი სახელწოდების ქალაქი სხვა ავტორებს არა აქვთ, მაგრამ Tab. Peutingeriana-ზე დამოწმებულია Ardineo. Geo. Rav. არის Godinio, ხოლო არიანე დაახლ. ამავე ადგილას ასახელებს მდ. აღინეოსს, ანონიმი—აღინეოსს || ადიენოსს. სახელთა წსვავსება უდაოა. არიანეს აღწერით მდინარე არის მდ. ასკუროსის აღმოსავლეთით, ასე 60 სტადიონზე (ე. ი. 12 კმ-ზე), ეს მდინარე (ასკუროსი) დღესაც ასე იწოდება, მისგან 12 კმ-ზე არის მდ. ყიბლე — დალ-დერე¹². კ. მჟულერის აზრით, ეს მდინარე კანლუ-დერედ იწოდება. აი, ამ ადგილას უნდა ყოფილიყო ელინური ქალაქი ოდეგნიოსი.

ეკექეარების მეზობლად ცხოვრობენ ბექეარები (§ 84). ამ ტომს ფსევდო-სკილაქსს გარდა იცნობდნენ აპოლონიოს როდოსელი (II, 396), დიონისიოს პერიეგეტი (765), პომპონიუს მელა (I, 19, 11).

დიონისიოს პერიეგეტი მათ პონტოელ ტომებში ასახელებს, წათ შორის, ვინც კოლხებისაგან და ფასისისაგან დასავლეთით ცხოვრობენ ვიდრე თრაკიის სრუტემდე. ესენი არიან: ბიძერები, ბექირთა ტომები, მაკრონები, ფილირები, მოსინიკები...

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტებმა ჩაუარეს მაკრონებს, ბექირთა უსაზღვრო მიწას, ამაყ საპირებს და შემდეგ ბიძერებს“ (მიმართულებაა სანაპიროს გასწვრივ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ — თუ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ). პლინიუსი ახსენებს: Colchi, Buzeri, Bechires, Macrones (VI, 4).

პომპონიუს მელა ასახელებს ტომებს: Macrocephali, Bechiri. Buxeri (= Buzeri) და მათ ტერიტორიაზე — კერასუნტსა და ტრაპეზუნტს (ჩამოთვლისას იგივე მიმართულებაა დაცული, რაც აქვს აპოლონიოს როდოსელს). ამრიგად, ამ ტომის საცხოვრისი გარკვეულია.

ფსევდო-სკილაქსი ამ ტომის ტერიტორიაზე ასახელებს ნავსადგურსა და ელინურ ქალაქს, რომელთაც ეწოდებათ — Βεχαι:ρ:α:ν:ξ λ:μ:ρ:γ (ბექეარული ნავსადგური, ანუ ბექეართა ნავსადგური) და

¹² ნ. კეკელიძე, ფლავიუს არიანე..., გვ. 100.

Βεχ:ε:ρ:α:ζ (ხელნაწერების — Βεχ:ε:ρ:α:ζ). ცხადია, ეს სახელები წარმოებულია იმავე სიტყვისაგან, რომლისგანაც არის თვით ტომის სახელი და შესაძლოა, ის, მართლაც, საკუთარი სახელი არ იყოს⁵³. სინამდვილეში რა ერქვა ბექქემართა ნავსადგურს და ელინურ ქალაქს (ალბათ ბექქემართა ნავსადგური იყო იმავე დროს ელინური ქალაქი—?) ამ ტექსტით არ ჩანს. სპეციალისტები⁵⁴ ამ ქალაქს აიგივებენ თანამედროვე რიძესთან. რიძე ხსენებულია უკვე ძველ ავტორებთან — მაგ., პტოლემეაჰოსს აქვს „ნავსადგური რიძუსი“ (P:ζη:ε: λ:μ:ν:γ. V, 6, 5), ხოლო არიანეს მდ. რიძიოსი (P:ζη:ε:ζ, § 7), რომელიც მდ. კალოსსა და მდ. ასკუროსს შორის ერთვის წავ ზღვას. ეს არის ახლანდელი როხის-სუ. რიზეს (ქალაქს, თუ სოფელს) იცნობენ ბიზანტიელი ავტორები (პროკოპი კესარიელი, ავათია და სხვ.). Tab. Peut.-ზე ამ ადგილას დაახლოებით არის პუნქტი — Reila.

როგორც ზემოთაც ითქვა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებთა შორის ყველაზე დაწვრილებითი ცნობები არის კოლხების შესახებ. კოლხებს ის ასახელებს ქ. დიოსკურისიდან მდ. აფსაროსამდე (ე. ი. დღევანდელი სოხუმიდან ქოროხამდე). ქალაქთაგან ის ასახელებს დიოსკურისს, გვენოსს, ფასისს და კიდეც ერთ ქალაქს მდ. ფასისის აუოლებით 180 სტადიონის მანძილზე ზღვის შესართავიდან, საიდანაც იყო მედეა. გვენოსი და ფასისი ელინური ქალაქებია, დიოსკურისს მხოლოდ ქალაქი ეწოდება; საეპეოა, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მართლაც, გამორჩა ფსევდო-სკილაქსს (ან ხელნაწერის შეცდომაა) მისი „ელინურად“ მოხსენიება, რადგან, რამდენადაც ვიცით, მომდევნო ხანის ძველსავე წყაროებში ფასისის მსგავსად, დიოსკურისსაც ახსენებენ, როგორც ბერძენთა კოლონიას. უსახელოდ აღნიშნული ქალაქი „დიდ ბარბაროსულ ქალაქად“ არის გამოცხადებული.

დიოსკურისისა და ფასისის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. შესაძლოა მთლად იმავე ადგილას არ იყვნენ ისინი, სადაც დღეს სუხუმი და ფოთია, მაგრამ განსხვავება მხოლოდ ორიოდ კმ-ით არის (უფრო ჩრდილოეთით ან უფრო სამხრეთით), უფრო ზუსტი ლოკალიზაცია მათი არ ხერხდება. რაც შეეხება გვენოსს, ის მხოლოდ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ გვხვდება. როგორც ჩანს, მან მალე დაჰკარგა მნიშვნელობა და სხვა ავტორები მას აღარ

⁵³ პაპე და კ. მჟულერი იმ აზრისა არიან, რომ Βεχ:ε:ρ:α:ζ და Βεχ:ε:ρ:α:ζ და ა. შ. საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ ბარბაროსული სიტყვაა და სახელწოდებაა, ზოგადი სახელია (nomen appellativum). პაპეს განსაზღვრით ესაა სკიტიური (? — თ. ყ.) ძალი კაპადოკიის პონტოში.

⁵⁴ პაპესა და მჟულერის იგივე შრომები.

ახსენებენ. გვენოსი სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად გაიგივებულია იმ ქალაქთან, რომლის ადგილზედაც არის თანამედროვე ოჩამჩირე⁵⁵.

კოლხიდის „დიდი ბარბაროსული ქალაქი“, საიდანაც იყო მედია და რომელიც მდებარეობდა მდ. ფასისის აუკლებზე 180 სტადიონის მანძილზე (ალბათ ქ. ფასისიდან, ან ფასისის შესართავიდან) თუ ავტორის ცნობას სანდოდ მივიჩნევთ, უნდა ჩავთვალოთ ნოქალაქევედ (არქეოპოლისად). მედეას სამშობლოდ (და ამა—კოლხიდის დიდ, ან დედაქალაქად) მიიჩნევენ ხოლმე ქუთაისს, აპოლონიოს როდოსელის კუტაძას, მაგრამ ის გაცილებით უფრო შორსაა ფოთიდან და ზღვიდან, ვიდრე 180 სტადიონია (35 კმ), იქამდე 300 სტადიონი მაინცაა. დაახლოებით ამ მანძილზე (თუმცა არაა ფასისის ნაპირას) არის ნოქალაქევი. შესაძლოა 180 (ρπ) სტადიონი კი არ ეწერა თავდაპირველად ტექსტში, არამედ 280 (σπ), ან რაიმე სხვა, მაგრამ გამოცემული ტექსტი ამის დადგენის საშუალებას არ გვაძლევს. ტექსტის πδλϣ μχλϣ μεχλϣ βδρζαჟთ აჩენს გაუგებარ μχλϣ-ში ქალაქის სახელის ძიების სურვილს, მაგრამ, როგორც ჩანს, μχλϣ-ი მეχλϣ-ის შეცდომით ორჯერ დაწერას უფრო უნდა ნიშნავდეს, ვიდრე სხვა რასმე.

კოლხების მიწა-წყალზე ფსევდო-სკილაქსი 9 მდინარეს ასახელებს. ქალაქ გვენოსთან ნახსენებია მდინარე გვენოსი. თუ ქალაქი გვენოსი ოჩამჩირეა, მდ. გვენოსი უნდა იყოს მოქვის წყალი. ანონიმი წერს, ახლა რომ მოხე ეწოდება, იმას ერქვა ტარსურაო (§ 6). ტარსურას ახსენებს არიანეც (§ 10), რაც იგივეა, რაც Tab. Pent.-ას Tassiros-ი. პტოლემეაძოსის კანეოსი იმავე ადგილასაა, სადაც ტარსურა და კანეოსი იმავე გვენოსს უნდა ნიშნავდეს⁵⁶.

რიგით შემდეგი მდინარეები არიან ქერობიოსი, ქორსოსი, არიოსი და ფასისი. ფასისი რადგან რიონია (მისი იდენტიფიკაცია არაა საეჭვო, მასთან ერთად ქალაქი ფასისია ნახსენები), დანარჩენი სამის გარკვევა ამით უფრო გაადვილებულია. მოქვის წყალსა და რიონს შორის სამი ყველაზე დიდი და მოგზაურისთვის შესაშ-

⁵⁵ Г. Меллишвили. К истории древней Грузии, стр. 16, 63, 211—213, 215; Б. Ломоурн, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. გვ. 43. ვარიანტული *Τυήυς* და *Πυήυς*, მე ვფიქრობ, მხოლოდ პალეოგრაფიულ ნიშნულზეა ასახსნელი, რადგან გვაქვს მდინარე *Γυήυς*-ი, და მისი ვარიანტი — მხოლოდ სხვა ავტორთან — *Κυήυς*-ი.

⁵⁶ Н. Ю. Ломоурн. Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, 4, стр. 102; ლ. ელნიცის ეპი ზეაქვს ამ გაიგივებაში, თუმცა არც სხვა მდინარესთან აიგივებს არიანეს ტარსურას: Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1959 г., № 2 (3), გვ. 316.

ნევი მდინარე არის ოქუმი (ერისწყლითურთ), ენგური და ხობი. ამრიგად, ქერობიოსი უნდა იყოს ოქუმი, ქორსოსი — ენგური და არიოსი — ხობი. ქორსოსი (Χόρσος) იგივე არიანეს Χῶπιος-ია (პალეოგრაფიულ ნიადაგზე ადვილად ასახსნელია ამათი აღრევა). ხობოსის წაქითხვისას თავისთავად ჩნდება სურვილი მისი თანამედროვე მდინარე ხობთან გაიგივებისა, მაგრამ არიანეს ისე ზუსტად აქვს მდინარეთა შორის მანძილები განსაზღვრული, რომ მისი ხობოსი თანამედროვე მდინარე ხობი ვერ იქნება (ფასისსა და ხობოსს შორის 180 სტადიონია მანძილი), სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად სამართლიანადაა ხობოსი გაიგივებული ენგურთან⁵⁷ და ასევე ფსევდო-სკილაქსის ქორსოსიც თანამედროვე მდ. ენგური უნდა იყოს.

ფსევდო-სკილაქსის არიოსი პალეოგრაფიულ ნიადაგზე წარმოშობილი ნაირსახეობა უნდა იყოს ქარიენტის, რაც ნახსენებია არიანესთან. ქარიენტი და, მაშასადამე, არიოსიც, გაიგივებულია მდ. ხობოსთან⁵⁸, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მდ. ხობის ნაპირას დღესაც არის სოფელი, რომელსაც ეწოდება ქარიატა⁵⁹.

ფასისის შემდეგ ფსევდო-სკილაქსი ახსენებს მდ. რისს (Ῥίξ). ს. ჯანაშიას აზრით, Ῥίξ არის რიონი⁶⁰, მისი დინების ზემო ნაწილი. შესაძლოა, მართლაც, ერთი დიდი მდინარის ორი სხვადასხვა ნაწილი საქმეში ბოლომდე ჩაუხედავ კაცს ორ სხვადასხვა მდინარედ ეჩვენა (ფასისი და რისი), მაგრამ მე გამორიცხულად არ მიმაჩნია ისიც, რომ აქ არის სხვა მდინარე, მაგ., ტეხური, რომელიც რიონის შენაკადია. მდ. რისს ფსევდო-სკილაქსს გარდა სხვა ავტორი არ იცნობს. ფსევდო-სკილაქსი მთელ § 81-ში პირდაპირ ჩამოთვლის ყველა მდინარეს, ხოლო ტექსტის ამ მონაკვეთში პატარა განმარტებასავით აქვს: „...მდინარე ქერობიოსი, მდინარე ქორსოსი, მდინარე არიოსი, მდინარე ფასისი და ელანური ქალაქი ფასისი, მდინარის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედია, აქ არის მდინარე რისი. მდინარე ისისი“ etc. ე. ი. უბრალო ჩამოთვლაში გამორეულია კიდევ ერთი ქალაქის ამბავი და იქ არის სწორედ ეს მდინარეც, შემდეგ გრძელდება ისევ ავტორისათვის ჩვეული ჩამოთვლა.

Л. А. Ельницкий. Из исторической географии древней Колхиды, стр. 314—315; Б. Кекелмаче, Флавийс ариане...; მ. ინაძე, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის; Н. Ю. Ломоурн, Из исторической географии древней Колхиды, стр. 100—101.

⁵⁷ მ. ინაძე, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის...; Н. Ю. Ломоурн, იქვე, გვ. 101.

⁵⁸ ს. ჯანაშია. შრომები, II, გვ. 275.

ამრიგად, რისი შესაძლოა იყოს მდ. ტეხური, რომლის ნაპირზედაც იყო ის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედვა. ის ბარბაროსული ქალაქი, როგორც ზემოთ ვთქვეთ, შესაძლოა არის ნოქალაქევი, თუმცა ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდის ფარგლებში რჩება, ვიდრე საამისო არქეოლოგიური მასალა არ გვაქვს.

აპის შემდეგ მდ. აფსაროსამდე, ანუ კოროხამდე ორი მდინარეა ნახსენები — მდინარე ისისი და მდინარე ლესტონი — ანუ ყაჩაღთა წყალი.

მდ. ისისს ახსენებენ ფსევდო-სკილაქსს გარდა პლინიუსი და არიანე. არიანეს მიერ აღნიშნული ნანძილების გამოანგარიშებით სპეციალისტები ისისს თანამედროვე მდ. ნატანებთან აიგივებენ⁶⁰; ხოლო მდ. ლესტონი, ანუ ყაჩაღთა წყალი, მხოლოდ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსშია“ მოხსენიებული. ის არის ისისსა და აფსაროსს შორის დასახლებული. ამ ადგილას არიანესა და ანონიმს მდ. აკინასი (კინასი) აქვთ. აკინასი (კინასი) დღევანდელ კინტრიშად არის მიჩნეული⁶¹. აქედან გამომდინარე, მდ. ლესტონი მდ. კინტრიშად მიმაჩნია.

ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ სხვა ტომთა ხსენებაც არის, და ამ ტომებით დასახლებული ტერიტორიების ქალაქებისა და მდინარეთა აღწერას, მაგრამ მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რადგან სხვა ავტორებთან შედარებით რაიმე ახალი, საგანგებო მასალა მას არ მოეპოვება.



⁶⁰ Л. Ельницкий. Из исторической географии... стр. 311; 5. კეკელაძე. ფლავიუს არიანე...

⁶¹ 5. კეკელაძე. დასახ. ნაწილი; მ. ივანოვი. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის...; Ельницкий, დასახ. ნაწილი, გვ. 311.

ΣΚΥΛΙΑΚΟΣ ΚΑΡΥΑΝΙΔΕΩΣ

ΠΕΡΙΠΛΑΟΥΣ ΤΗΣ ΘΑΛΑΣΣΗΣ ΤΗΣ ΟΙΚΟΥΜΕΝΗΣ
ΕΥΡΩΠΗΣ ΚΑΙ ΑΣΙΑΣ ΚΑΙ ΛΙΒΥΗΣ

სკილაქს კარიანიდელი

დასახლებული ევროპის, აზიისა და ლიბიის
ზღვის ირგვლივ მოგზაურობა

ტექსტი ამოწერილია: *Geographi graeci minores
e codicibus recognovit... Carolus Müllerus*

Volumen primum

Parisiis, 1882

8. *Λατίνοι. Τυρρηγίας ἔχον-
ται Λατίνοι: μέχρι τῶν Κιρκιαίων.
Καί τῶ τῶν Ἑλπήγορας μνημά
ἔσσι Λατίνων. Λατίνων παρὰ π-
λους ἡμέρας καί νυκτός.*

20. *Ἴστροι. Μετὰ δὲ Ἐνέ-
τους εἰσὶν Ἴστροι ἕθνος, καὶ πο-
ταμὸς Ἴστρος. Οὗτος ὁ ποταμὸς
καὶ τὸν Πόντον ἐκτρέλλει.
ἐνδοσεσυνῶς ἑῖς Αἴγυπτον. Πα-
ρά πλους δὲ τῆς Ἰσπεριανῶν χῶρας
ἡμέρας καὶ νυκτός.*

26. *Ἐκ δὲ Ἐπιθάμου εἰς
Ἀπολλωνίαν πόλιν Ἑλληγίδω ἰθὺς
ἡμερῶν θύα. Ἡ δὲ Ἀπολλωνία
ἀπὸ τῆς θαλάττης ἀπέχει σταδία
γ', καὶ ποταμὸς Αἴας* παραρρεῖ
τῆν πόλιν. Ἀπὸ δὲ Ἀπολλωνίας
εἰς Ἀμαγντίαν ἔσσι σταδία τκ'.
[Καὶ ὁ Αἴας ποταμὸς ἀπὸ τῶν
Πίνδου ὄρους παρὰ τῆν Ἀπολλω-
νίαν παραρρεῖ]...*

67. *Θράκιη. Διήκει δὲ ἡ Ἡρά-
κη ἀπὸ Στρυμόνος ποταμοῦ μέχρι
Ἰστροῦ ποταμοῦ τῶν ἐν τῷ Ἐξέει.*

8. *ლათინები. ლათინები არიან
ტირენიის შემდეგ ვიდრე კირ-
კაონამდე. ელპენორის საფლავი
არის ლატინთა [ქვეყანაში]. ლა-
ტინთა [ქვეყნის] გასწვრივ გა-
ცურვას [სჭირდება] დღე და ღამე.*

20. *ისტრები. ენეტენს შემ-
დეგ არის ტოზი ისტრები და მდი-
ნარე ისტროსი. ეს მდინარე ონ-
ტოს ერთვის ἑ... ეგვიპტისაკენ.
ისტრელების ქვეყნის გასწვრივ
გაცურვას [სჭირდება] დღე და
ღამე.*

26. *უბიდამნოსიდან ელინურ
ქალაქ ამოლონიამდე გზაა [სჭირ-
დება] ორი დღე. ხოლო ამოლო-
ნია ხლვისაგან დანორებულია
50 სტადიონით, ქალაქს ჩამოუ-
დის მდინარე აეასი. ხოლო ამო-
ლონიიდან ამანტიამდე არის 320
სტადიონი. ხოლო მდინარე აეასი
პინდოსის მთიდან [მოედინება]
და ჩაუვლის აპოლონიას.*

67. *თრაკია. ხოლო თრაკია
ვალაქიშულია მდინარე სტრიმოს-
ნიდან მდინარე ისტროსამდე,*

* Αἴας] Διὰς eod; em. Voss.

ἑῖς ἰσθμιασυνῶς — ასეთი სიტყვა ლექსიკონებში არსად არის გ. ვასტერე-
ბული. სპეცილისტები მის მავივრად, სხვადასხვა წაკითხვას გვთავაზობენ: ააგ.:
Vossius-ი: περιαισθμῶς ὡς Νεῖλος κατ' Αἴγυπτον. Gronovius-ი: ἐν Ἰσθμιασυνῶ
ὡς და სვ.

νῦ Πόντος. Εἰς: δὲ ἐν Θράκῃ πόλεις: Ἑλληγνίδες ἀΐδες Ἀμφίπο-
φίχρης, Γαληψός, Οἰσύμη
καὶ ἄλλα ἐμπορία Θασίαν...

Μετὰ δὲ τὸν Μέλανα κόλπον
ἐστὶν ἡ Θρακία Χερρόνησος καὶ
πόλεις ἐν αὐτῇ αἶδες: Καρδία,
Ἰδη, Πακίον, Ἀλωπεκόννησος,
Ἀραπλος, Ἐλαϊοῦς, Μάδυτος,
Σηστὸς ἐπὶ τοῦ στόματος τῆς
Προποντιδίδος, [ὅ] ἐστὶ: σταδίων ς' *.
Ἐντὺς δὲ Αἰγὸς πεταμοῦ Κρήσ-
σα. Κριθώτη, Πακτύη. Μέχρις
ἐκταυθῆς ἡ Θρακία Χερρόνησος.
Ἐκ Πακτύης δὲ εἰς Καρδίαν διὰ
τοῦ ἀγένορος πεζῆ σταδία μ', ἐκ
θαλάττης εἰς θαλάτταν: καὶ πό-
λις ἐν τῷ μέσῳ, ἧ ὄνομα Ἀγορά.
Χερρόνησου μῆκος ἐκ Καρδίας
εἰς Ἐλαϊοῦντα (ταύτη γάρ ἐστι
μακροτάτη) σταδία υ'. Μετὰ δὲ
τῆς Χερρόνησον ἐστὶ Θράκια τει-
χη πάδες πρῶτον Λευκὴ ἀκτὴ,
Τεριστάσις, Ἠράκλεια, Γάνος,
Γανίαι, Νέον τείχος, Πέριπτος πό-
λις καὶ λιμὴν, Δαμινὸν τείχος,
Σηλυμβρία πόλις καὶ λιμὴν. Ἀπὸ
τούτου ἐπὶ τοῦ στόματος ** τοῦ
Πόντου εἰς: σταδίοι: φ'. Καλεῖται:
δὲ Ἀγάπλους ὁ τόπος ἀγὰ Βότ-

რომელიც ჩადის ევქსინის პონ-
ტოში. ხოლო თრაკიაში არის
შემდეგი ელინური ქალაქები: ამ-
ფიპოლისი, ფაქრესი, გალევსო-
სი, ოაისიმე და თაზოსელთა სხვა
საეპრო ადგილები¹.

შავი უბის² შემდეგ არის თრა-
კიული ხერსონესი და იქ არის
შემდეგი ქალაქები: კარდია, იდე,
პალონი, ალოპეკონესოსი, არაპ-
ლოსი, ელააუსი, მადიტოსი, სეს-
ტოსი პროპონტიდის სრუტეს-
თან, რაც არის 6 სტადიონი.
მდინარე აეგოსის შიგნით—კრე-
სა, კრიოოტე, პაქტვე. აქამდე
არის თრაკიის ხერსონესი. პაქ-
ტვედან კარდიამდე ყელის გადაე-
ლით ხმელეთზე [მოსიარულესათ-
ვის] არის 40 სტადიონი, ზღვი-
დან ზღვამდე. [ყელის] შუაში
არის ქალაქი, რომელსაც სახე-
ლად ჰქვია აგორა. ხერსონესის
სიგრძე კარდიიდან ელააუსტამდე
(აქ არის ის ყველაზე გრძელი)
არის 400 სტადიონი. ხერსონე-
სის შემდეგ თრაკიის სიმაგრეები
შემდეგია: პირველადაა თეთრი
ნაპირი³, [შემდეგ] ტეარისტასი-
სი, ჰერაკლეა, განოსი. განიე,
ახალი სიმაგრე⁴, პერინთოსი,
ქალაქი და ნავსადგური, სიმაგრე
დამინონი, სელიმბრია, ქალაქი

* ὅ ἐστι σταδ. ς'] ὅ ἐστι addidit. Clausen.

** ἐπὶ τοῦ στόμ.] τοῦ ὀμ. progr. Vatican.

¹ ἐμπορία, τὰ — სავაჭრო ადგილები; ნავსადგურები.

² Μέλις κόλπος — უბე მელასი: μέλις — შავი.

³ Λευκὴ ἀκτὴ — ნაპირი „ლევკე“ (λευκός — თეთრი).

⁴ Νέον τείχος — ნეონ ტეაოსი (თარგმანში ნიშნავს „ახალ ციხეს“, „ახალ სიმაგრეს“).

παρον μέγχι: ἂν ἕλθῃς ἐφ' Ἰερὸν.
 'Αψ' Ἰερὸν δὲ τὸν στόματός: ἐστ:
 τὸν Πόντου εὐρος στάθια ζ'. Εἰσ:
 δὲ ἐν τῷ Πόντῳ πόλις: Ἑλληγι-
 θες αἰθε ἐν Θράκη· Ἀπολλωνία,
 Μεσημύρια, Ὀδησσόπολις, Κάλ-
 λατις καὶ ποταμός: Ἰστρου, Παρ-
 πλους δὲ τῆς Θράκης ἀπὸ Στρυ-
 μόνος ποταμοῦ μέγχι Σηστοῦ δῦο
 ἡμερῶν καὶ νυκτῶν δῦο, ἀπὸ δὲ
 Σηστοῦ μέγχι: στόματος τὸν Πόν-
 του δῦο ἡμερῶν καὶ νυκτῶν δῦο,
 ἀπὸ δὲ τὸν στόματος μέγχι: τὸν
 Ἰστρου ποταμοῦ ἡμερῶν τριῶν
 καὶ νυκτῶν τριῶν. Ὁ σῦμπαξ
 περίπλους ἀπὸ Θράκης καὶ ποτα-
 μὸν Στρυμόνος μέγχι: τὸν Ἰστρου
 ποταμοῦ ἕκτῳ ἡμερῶν καὶ ἕκτῳ
 νυκτῶν

ზღვით მოგზაურობას თრაკიიდან
 რე მდინარე ისტროსამდე [სჯირდება] 8 დღე და 8 ღამე.

68. Σχυθία. Ταῦροι. Μετὰ δὲ
 Θράκην εἰσι Σχυθία: ἕθνος καὶ
 πόλις: ἐν αὐτοῖς Ἑλληγιθες αἰθε.
 Ἰστρος ποταμός, Νικωνιον πόλις,
 Ὀφειουσα πόλις. Ἐπι δὲ τῇ Σχυ-
 θιᾷ ἐποικουσα: Ταῦροι: ἕθνος
 ἀρωατῆριον τῆς ἡπειρου: εἰς θά-

და ნავსადგური. აქედან პონტოს
 სრუტემდე არის 500 სტადიო-
 ნი. ანაპლუსი ეწოდება ადგილს,
 ბოსფორს ზემოთ რომ მიდინარ,
 ვიდრე ჰიერონამდე¹. ჰიერონი-
 დან პონტოს სრუტემდე [მანძი-
 ლის] სიგანე არის 7 სტადიონი.
 თრაკიაში პონტოსთან ელინური
 ქალაქები შემდეგია: აპოლონია,
 მესემბრია, ოდესოპოლისი, კა-
 ლატისი და მდინარე ისტროსი.
 თრაკიის გასწვრივ ცურვას მდი-
 ნარე სტრიმონიდან სესტოსამდე
 [სჯირდება] ორი დღე და ორი
 ღამე, ხოლო სესტოსიდან პონ-
 ტოს სრუტემდე [უნდებიან] ორ
 დღესა და ორ ღამეს. ხოლო
 სრუტიდან მდინარე ისტროსამდე
 სამ დღესა და სამ ღამეს. მთელი
 და მდინარე სტრიმონიდან ვიდ-
 რე მდინარე ისტროსამდე [სჯირდება] 8 დღე და 8 ღამე.

68. სკვითია. ტაურები. თრა-
 კიის შემდეგ არის ტომი — სკვი-
 თები და მათში არის შემდეგი
 ელინური ქალაქები: მდინარე
 ტურისი², ქალაქი ნიკონიონი³,
 ქალაქი ოფიუსა⁴. სკვითიის [ქვე-
 ყანასთან] ცხოვრობს ტომი —

* ὅκτω ἡμερῶν κ. νυκτ.] Ex antec: nonnisi septem dies noctesque colliguntur; idque melius habet; quare pro ὅκτω legendum putes ἕπτῃ. A Strymone ad Sestum sunt circa 1900 stadia (2 dies noctesque); hinc ad Ponti ostium ad 1600 stadia (2 dies noctesque); hinc ad Danubium stadia 3000 (3 dies noctesque).

¹ ზევისი სალოცავამდე.

² ВДИ: Турис-Турас, т. е. современный Днестр.

³ ВДИ: Никоний — город на Днестре, отождествленный с современным Овидиополем.

⁴ ВДИ: Офиуса идентична с городом Турой, греческой колонией при устье реки Днестр (современный Аккерман).

λαιταν δὲ τὸ ἀκρωτήριον ἔστιν.
 Ἐν δὲ τῇ Ταυρικῇ οἰκοῦσιν
 Ἕλληγες αἰθε* Χερρόνησος ἑμ-
 πόριον, Κριῶν μέτωπον, ἀκρωτή-
 ριον τῆς Ταυρικῆς. Μετὰ δὲ ταῦ-
 τὰ εἰσι Σκύθαι· πάλιν πόλεις δὲ
 Ἕλληγιδες αἰθε ἐν αὐτῇ· Θεοδο-
 σία, Κύτταια καὶ Νυμφαία, Παν-
 τικαπαίον, Μυρμήκειον. Παρά-
 λους εὐθὺς ἀπὸ Ἰστρου ἐπὶ Κριῶν
 μέτωπον τριῶν ἡμερῶν καὶ τριῶν
 νυκτῶν, ἡ δὲ παρὰ γῆν διπλάσιος
 ἔσσι· γὰρ κόλπος. Ἐν δὲ τῷ κόλ-
 πῳ τούτῳ νήσος ἔσσι, νήσος δὲ
 ἑρμίη, ἣ ὄνομα Λευκή, ἱερὰ τοῦ
 Ἀχιλλέως. Ἀπὸ δὲ Κριῶν μετώ-
 που πλοῦς εἰς Παντικαπαίον ἡμέ-
 ρας καὶ νυκτός· ἀπὸ δὲ Παντι-
 καπαίου ἐπὶ τὸ στόμα τῆς Μαύ-
 τιδος λίμνης ἔσσι σταθία γ'. Ἡ
 δὲ Μαύτις λίμνη λέγεται ἡμισυ
 εἶναι τοῦ Πόντου. Ἐν δὲ τῇ
 Μαύτιδι λίμνη εὐθὺς εἰσπλέοντι
 εἰσιν ἐπ' ἀριστερὰς Σκύθαι· κα-
 θήκουσι· γὰρ ἐκ τῆς εἰς θάλασ-
 σης ὑπὲρ τῆς Ταυρικῆς εἰς τῆν
 Μαύτιν λίμνην.

რომ მამოტილის ტბა ნახევარი არის პონტოსი. მამოტილის ტბაში

* Ἕλληγες αἰθε] aut excidit: καὶ πόλεις αὐτῶν, aut fuit Ἕλληγες οἰθε, ut supra § 63 etc.

1 ВДИ: Тавры — племя, населявшее горную часть Крыма — Скалистый полуостров — Керченский полуостров.

2 ВДИ: Херронес или Херсонес — древнегреческий город, колония Гераклеи Понтийской, развалины которого находятся близ современного Севастополя в Крыму.

3 ВДИ: Бараний Лоб отождествляется с мысом Аii-Тодор, близ Ялты. Κριῶν μέτωπον — ვერძის უბელი.

* ВДИ: თეოდოსია; პანტიკაპეონი=აალ. ქერბი.

5 ВДИ: «Остров Белый — ныне остров Зменный, близ устья реки Дуная». Λευκή — ნიჲეს „თეთრი“.

ტავრები¹ [ევროპის] ხმელეთის
 კონკრეტზე, ხოლო ეს კონცხი ზღვა-
 შიბა [შეკრილი]. ხოლო ტავრების
 [ქვეყანაში] ცხოვრობენ ელინები
 [ღამათ აქვთ] შემდეგი ქალაქები:
 საეპრო ქალაქი — ხერონესი²,
 კრიუ მეტოპონი³ — ტავრების
 [ქვეყნის] კონცხი. ამის შემდეგ
 ისევ სკვითები არიან, მათ [ქვე-
 ყანაში] შემდეგი ელინური ქალა-
 ქებია: თეოდოსია, კვტაა და
 ნემთააა, პანტიკაპეონი, მკრმე-
 კეონი⁴. პირდაპირი საზღვაო
 გზით [მანძილს] ისტროსიდან
 კრიუმეტოპონამდე უნდებიან სამ
 დღესა და სამ ღამეს, ხოლო ნა-
 პირის გასწვრივ ორჯერ მეტია
 [საპირო], რადგან [აქ] უბე არის.
 ამ უბეში არის კუნძული. კუნ-
 ძული უდაბურია, მას სახელად
 ჰქვია ლევკე⁵. ის აქილევსისად-
 შიბა განეუთენილი. კრიუმეტოპო-
 ნიდან პანტიკაპეონამდე საზღ-
 ვაო გზას [უნდებიან] ერთ დღესა
 და ღამეს. ხოლო პანტიკაპეონ-
 ნიდან მამოტილის ტბის ყელამდე
 არის 20 სტადიონი. ანბობენ,

პირდაპირ რომ შეცურდეს [კაცი] ხელპარცხნივ არიან სვეითები. ამბო უპირავეთ [მხარე] გარეშე ზღვიდან, რომელიც ტავრების [ქვეყნის ხეშოთაა. ვიდრე მამოტილის ტბამდე.

Σαρμάται. [Μετὰ δὲ Σαρμάται: Σαρμάται *] ἔπιρος καὶ ποταμὸς Τάναις. [Ἔς] ῥοδῖαι: Ἀσίαν καὶ Εὐρώπην.

სჯრმატები¹ [ხოლო სვეითების შემდეგ არიან სჯრმატები]—ტომი და მდინარე ტანაისი, რომელიც საზღვრავს აზიასა და ევროპას.

69. Παράπλους ἀπάτης τῆς Εὐρώπης. Ἀπὸ Ἡρακλείων σπηλῶν τῶν ἐν τῇ Εὐρώπῃ περιπέλωνται τὰς ἀλλήλους παρὰ γῆν, λογιζομένην δὲ ὅσα γεγραμμένα εἰσι, ὑπάρχει ἀντὶ τούτων ἡμέρας, καὶ. ὅπου σταδίων εἰσι γεγραμμένα, ἀντὶ τῶν φ' σταδίων ἡμερῶν τὸν πλοῦν, γίνεται τῆς Εὐρώπης ὁ παράπλους, τοῦ ἡμισείας μέρους τῶν Πόντου ** ὄντος ἴσου τῆς Μαιώτιδος λίμνης, ἡμερῶν ῥ' τριῶν.

69. ზღვით მოგზაურობა მთელი ევროპის გარშემო. ჰერაკლეს სტელებიდან, რომლებიც ევროპაშია, ის ვინც ზღვით მოგზაურობს უბე-უბე ხმელეთის გასწვრივ, და ითვლის, როგორც აღწერილია, ღამეებს დღეების მაგიერად და [იმახსაქ], სადაც აღწეხულია სტადიონები (ერთი დღის საცურაო [იანგარიშება] 500 სტადიონის წილ), [აი, ამის მიხედვით] ევროპის გარშემო ზღვით მოგზაურობას უნდებდა 153 დღე და სწორედ ნახევარი პონტოსი არის მამოტილის ტბასთან.

Μέγιστοι δὲ ποταμοὶ εἰσι τῆς Εὐρώπης ὁ Τάναις, ὁ Ἴστρος, ὁ Ῥοδανός.

ევროპაში უდიდესი მდინარეები არის: ტანაისი, ისტროსი, როდანოსი².

* Σαρμάται κτλ.] Sic locum constituit Niebuhrus l. l., quamquam acquiescere etiam licet in hiulea brevitate. qui ita habet:... εἰς τὴν Μαιώτιν λίμνην. Σαρμάται ἔπιρος καὶ ποταμὸς Τάναις. ὀρίξει Ἀσίαν καὶ Εὐρώπην. Olim jungebant: καθήκουσι γὰρ εἰς τὴν Μ. λίμνην Σαρμάται, quod retinuit Ukertus. quamquam tum illud καθήκουσι γὰρ nihil habet, quo reformatur. Idem absque causa idonea verba ὑπὲρ τῆς Ταυρικῆς transposuit post ἐπ' ἄριστερὰς Σαῦται. Denique ἡ ἔξω θάλασσα non est Oceanus, sed quod est extsa Macotidem mare Ponticum, ad quod Seythae habitare jam dixerat auctor...

** τὸ ἡμίσειος τοῦ Πόντου κτλ.] τοῦ Πόντου ὄντος ἴσου (sic) καὶ τοῦ ἡμισείας μέρους τῆς Μαιώτιδος λίμνης cod., em. Fabricius. ὄρ' Singulorum regionum paraplos colligere licet.

¹ ВДИ: „Сирматы=сарматы или, может быть, наименование одного из сарматских племен“.

² ВДИ: Тананс — Дон. Родан — река Рона.

70. Συρομαίται*. Ἄπὸ Ταναίου
 δὲ ποταμοῦ ἄρχεται ἡ Ἀσία,
 καὶ πρῶτον ἔθνος αὐτῆς ἔστιν
 ἐν τῷ Πόντῳ Συρομαίται. Συρο-
 μαίων δὲ ἔστιν ἔθνος γυναιχο-
 κρατούμενον.

71. Μαίωται. Τῶν γυναιχο-
 κρατούμενων ἔχονται Μαίωται.

72. Σίνδοι. Μετὰ δὲ Μαίωταις
 Σίνδοι** ἔθνος. Διήκουσα γὰρ
 αὐτοὶ καὶ εἰς τὸ ἔξω τῆς λήμνης·
 καὶ εἰσιν πόλεις ἐν αὐτοῖς Ἑλλη-
 νίδες αἰθεῖ· Φαναγόρου πόλις, Κη-
 παί, Σίνδοι δὲ λήμη, Πάτσος.

73. Κερκίται. Μετὰ δὲ Σιν-
 δοῦν λυμένα Κερκίται ἔθνος.

70. სავრომაიტები¹. მდინარე
 ტანაისიდან იწყება აზია და მისი
 პირველი ტომი პონტოსთან არის
 სავრომაიტები. ხოლო სავრომაიტ-
 თა ტომი არის ქალთა მიერ
 მართული.

71. მაიოტები². ქალთა მიერ
 მართულთა შემდეგ არიან მაიო-
 ტები.

72. სინდები³. მაიოტების
 შემდეგ არის ტომი — სინდები.
 მათი [საცხოვრისი] ვრცელდება
 ტბის იქითაც. მათში არის შემ-
 დეგი ელინური ქალაქები: ფანა-
 გორის ქალაქი⁴, კეპა⁵, სინდის
 ნავსადგური⁶, პატუსი⁷.

73. კერკეტები⁸. სინდის ნავ-
 სადგურის შემდეგ არის ტომი —
 კერკეტები.

* Συρομαίται] Titulus hic in cod. legitur ante τ. καὶ πρῶτον. γυναιχο-
 κρατούμενον codex;

** Σίνδοι] Σίνδοι codex; em. Gailius, quum mox sit Σίνδοιζ.

¹ Ἔρῳ. Herodot. IV, 110 ფსევდო-სკიძნოსი. 880 და 881.

² ВДИ: Мёоты — племя, подвластное боспорскому царю, жившее на
 восточном побережье Азовского моря.

³ ВДИ: Синды — племя, подвластное боспорскому царю, жившее между
 нижним течением реки Кубани (Гипанис) и Черным морем.

⁴ ВДИ: Город Фанагора (= Фанагория) на Таманском полуострове
 (у других авторов не считается синдским городом) представлял собой
 крупнейшее греческое поселение азиатской части Боспорского царства.

⁵ ВДИ: Кепы (т. е. Сады) — на берегу Таманского залива, точно не
 локализуется.

⁶ ВДИ: Синдская гавань — греческий порт на берегу Черного моря
 в районе Анапы (древней Горгиппии), может быть, порт самой Горгиппии,
 именно поэтому и не упомянутой в перипле. Ср. К. Герц, Археологиче-
 ская топография Таманского полуострова, М., 1970.

⁷ ВДИ: Патус отождествляется некоторыми комментаторами с Батой
 Страбона (XI, 496), греческим портом в районе Геленджика — Новоросси́йска.

⁸ Керкеты — горное племя, упоминаемое многими древними авторами.
 Фонетически и по их локализации отождествляется с позднейшими чер-
 кесами.

74. [Τορέται. Μετὰ δὲ Κερ-
ζέτας Τορέται: ἔθνος] καὶ πόλις
Ἑλληνίς Τορέζος καὶ λιμὴν.

75. Ἀχαιοί. Μετὰ δὲ Τορέ-
τας Ἀχαιοί: ἔθνος.

76. Ἡνίοχοι. Μετὰ δὲ Ἀχαιοὺς
Ἡνίοχοι: ἔθνος.

77. [Κοραξοί. Μετὰ δὲ Ἡνιό-
χους Κοραξοί: ἔθνος]*.

78. Κωλική. Μετὰ δὲ Κορα-
ξοὺς Κωλική ἔθνος

79. Μελάγγλαινοι. Μετὰ δὲ
Κωλικήν Μελάγγλαινοι: ἔθνος, καὶ
ποταμὸς ἐν αὐτοῖς Μετάσσωρις καὶ
Αἰγίπιος ποταμὸς.

74. ტორეტები. კერკეტების
შემდეგ არის ტომი—ტორეტები,
ელნიური ქალაქი ტორიკოსი და
ნავსადგურა.

75. აქაეები. ტორეტების შემ-
დეგ არის ტომი — აქაეები.

76. ჰენიოქები¹. აქაეების
შემდეგ არის ტომი ჰენიოქები.

77. კორაქსები². ჰენიოქების
შემდეგ არის ტომი—კორაქსები.

78. კოლების [ტომი]. კორაქ-
სების შემდეგ არის კოლების
ტომი³.

79. მელანქლაენები. კოლების
[ტომის] შემდეგ არის ტომი —
მელანქლაენები. მათში არის მდი-
ნარე მეტასორისი და მდინარე
აეგიპიოსი⁴.

* Hoc segmen in cod. Paris. deest; supplevit scriba cod. Vatican. De gente Heceataeus frg. 185: Κοραξοί. ἔθνος Κόλιων, πλησιον Κώλων (de quibus § 78)... Hesychius: Κοραξοί, Σχεθὼν ἔθρος.

Κωλική ἔθρος sueta negligentia dicit pro Κωλικὸν ἔθρος vel Κωλική χώρα.

¹ ВДИ: Генюхи — значительное племя, соседи ахесв, локализуемое в Северной Абхазии, в предгорьях Кавказа.

² Кораксы — горное племя на Запднокавказском побережье, в районе милетской колонии Диоскуриады (современного Сухуми). В более позднее время были подчинены Колхам (Гекатей, „Кораксы, племя колхов, вблизи колов).

³ ВДИ: Колы — горное племя на западнокавказском побережье, между меланхленами и кораксами. Локализуются на речке Μετασωρις (Турсура), у нынешнего Очамчир, к юго-востоку от Диоскуриады. См. Ф. Брун, Черноморье, т. II, стр. 250 сл. Гекатей: „Колы, народ у Кавказа. Гекатей в описании Азии: „а предгорья Кавказа называются Кольскими горами“. Страна называется „Колькою“.

⁴ Гекатей: Меланхлены, народ скифский. Названы так по их одежде... ВДИ: Меланхлены, согласно Геродоту, должны быть локализованы где-либо в современной Харьковской области, между Днепром и Доном. Некоторые другие античные авторы племя это считали скифским. Территория, на которой оно локализуется, также относится к Скифии по археологическим данным. См. Л. Нидерле, Словянеке Старожатности, I, стр. 275.

80. Γέλωνες. Μετὰ δὲ Μελαγχ-
χλαίνους Γέλωνες*.

81. Κόλχοι. Μετὰ δὲ τούτους
Κόλχοι: ἔθνος καὶ Διοσκουρίδης**
πόλις καὶ Τυητός*** πόλις Ἑλλη-
νίδς καὶ Τυητός ποταμὸς καὶ Χε-
ρρόνος ποταμὸς, Χόρσος ποταμὸς,
Ἄρρος ποταμὸς, Φάσις ποταμὸς
καὶ Φάσις Ἑλληνίδς πόλις, καὶ
ἀνάπλους ἀνὰ τὸν ποταμὸν στα-
δίων ρπ'. εἰς πόλιν (μάλην) με-
γάλην**** πέρραρον, ὄθεν ἡ Μή-
δεα τῆν· ἐνταῦθά ἐστι: Ῥίς ποτα-

80. გელონები¹. მელანქლა-
ხების შემდეგ არიან გელონები.

81. კოლხები. ამათ შემდეგ
არის ტომი — კოლხები, ქალაქი
დიოსკურისი, ელინური ქალაქი
გვენოსი, მდინარე გვენოსი, მდი-
ნარე ქერბოთოსი², მდინარე ქორ-
სოსი, მდინარე არიოსი, მდინარე
ფასისი და ელინური ქალაქი ფა-
სისი, მდინარის ზევით აყოლებით
180 სტადიონის მანძილზე არის
დიდი ბარბაროსული ქალაქი,
საიდანაც იყო მედეა³. აქ არის

* Γέλωνες] sic codex; ceteris sunt Γέλωνοι, quod nomen etiam cilitt. Scylacis exhibent.

** Διοσκουρίδης] sic codex; ceteris Διοσκουριάς, uti constat...

*** Τυητός .Fortasse leg. est Τυήτις ex Stephano: Τυήτις, πόλις Κόλ-
χων ἀπὸ Τυητίδος ποταμοῦ. Nisi mavelis. Πυήτις Stephanus: Πυήτις, πόλις
Κόλχων“ Vossius.

**** εἰς πόλιν μάλην μεγάλην] μάλην ex dittographia vocis μεγάλην
ortum. Si urbem auctor nominasset, dicendum erat εἰς πόλιν μεγάλην
Μέλην vel εἰς Μάλην πόλ. μεγ. Ac omnino nomina barbarorum oppidorum
in Ponto non apponit Scylax. Patria Medae quum Aea sive Lea vel
Cytæa perhibeatur, hocce nomen Vossius restitui voluit, illud vero Gro-
novius, in M.A.I.H.N latere putans AIAIAN.

¹ ВДИ: ჰროლოტესან ანთო როგო: „андрофаги, мелаихлены, гелоны
будныи, савроматы. „Андрофаги“ — племя, жившее на правом берегу Сред-
ней Волги, обычно локализируются на территории современной Мордвы.
Мелаихлены — об. ზებოთ.

² ВДИ: „Река Херобний отождествляется с современным Спанис-Цхари;
река Хорс (по другому чтению Хоб) отождествляется с современной ре-
кой Ингур (или Хонис-Цхари); река Харий отождествляется с рекой Хари-
энтот (Хонн), упоминаемой в Перипле Арриана; ее следует искать где-
либо в районе нынешнего Потн“. (ძველ გამოცემაში არის არიის რეკა,
ВДИ-ში — Харий — რეკა. (დედნის შეტდომებს არ ვახლოვებ. თ. ყ.).

³ ВДИ: „Город, откуда была Медея, Эя — мифическая столица Кол-
хиды, иногда отождествляемая с позднейшим Археополем (? — т. ყ.), лока-
лизуемым в современном Ахаткатаки (? — т. ყ.), где сохранилась крепость
времен Юстиниана“.

მძს. Ἰσῆς ποταμὸς, Ἀηστῶν πο-
ταμὸς, Ἄψαρος* ποταμὸς.

82. Βύζηρες **. Μετὰ δὲ τοῖς
Κόλχους Βύζηρες ἔθνος καὶ Δα-
ρακωνῶν ποταμὸς καὶ Ἀρίων πο-
ταμὸς.

83. Ἐχεχειρεῖς. Μετὰ δὲ Βύ-
ζηρας Ἐχεχειρεῖς ἔθνος, καὶ
ποταμὸς Πορθανίς, καὶ Ἀραβίς
ποταμὸς, Λίμνη πόλις, Ὠσεῖνος
πόλις Ἑλληνίς.

84. Βεχειρικῆ. Μετὰ Ἐχε-
χειρεῖς Βέχειροι ἔθνος, Βεχειρι-
κὸς λιμὴν, Βεχειρίαις πόλις Ἑλλη-
νίς ***.

85. Μακροκέφαλοι. Μετὰ δὲ
Βέχειραις Μακροκέφαλοι ἔθνος,

* Ἀηστῶν ποταμὸς Ἄψαρος] Verba Ἀηστ. ποτ. in cod. Vatican. omis-
sunt.

Βύζηρες] Βούσηρες codex; Hecataeus (fr. 190) Βύζηρας dicit...

Βέχειροι] Paulo post Βέχειραις. quae forma usitatio est. Βεχειροῖς
occurit ap. Apoll. Rh. II, 395, Becheri ap. Melam I, 19, 11. cf. Steph.
Thes. τ. Βέχειρ. Βεχειρικῆ] sic cod.; Βέχειροι editt. Βεχειροῖς] Vossius;
Βεχειροῖς Salmasius; Βεχειροῖς codex.

¹ ВДИ: „Рис—по Kiessling'у (RE, s. v.)—Рис в верхнем его течении“.

² ВДИ: „Река Исне идентифицируется с современной Натанеби“.

³ ВДИ: Слова Ἀηστῶν ποταμὸς опущены в Ватиканской рукописи.

⁴ ВДИ: „Река Апсар (позднее одноименная римская крепость упоминается в перипле Арриана — близ совр. селения Гуния (или Гония), недалеко от Батуми“.

⁵ ВДИ: „Дараанон отождествляется с рекой Архабом других авторов и с современной рекой Арташена. Арнион отождествляется с современной рекой Абу около мыса Фортуны. Бизеры — племя в предгорьях Малого Кавказа“.

⁶ ВДИ: „Эхехирнейцы и бехиры — горные племена, жившие по течению реки Чорох“.

⁷ ВДИ: „Длинноголовые (Μακροκέφαλοι) — племя, жившее к востоку от Трапезунта, иногда идентифицируется с макронами... Гекатеей... Макроны, ныне саны. Геродот: „Макроны — значительное, считавшееся весьма воинственным, племя на юго-восточном берегу Черного моря, граничившее с колхами и в более позднее время (при Страбоне), называвшееся саннами“.

მდინარე რისი¹, მდინარე ისისი²,
მდინარე ლესტონი³ (ყაჩალთა
წყალი) და მდინარე აფსაროსი⁴.

82. ბიძერები⁵. კოლხების
შემდეგ არის ტომი — ბიძერები,
მდინარე დარაანონი და მდინარე
არიონი.

83. ექექეარიები⁶. ბიძერების
შემდეგ არის ტომი ექექეარიები,
მდინარე პორდანისი, მდინარე
არაბისი, ქალაქი ლიმნე და ელი-
ნური ქალაქი ოდეანოსი.

84. ბექეარების [მხარე]. ექე-
ქეარიების შემდეგ არის ტომი —
ბექეარები, ნავსადგური ბექეა-
რიკოსი, ელინური ქალაქი ბე-
ქეარიასი.

85. მაკროკეფალები⁷. ბექეა-
რების შემდეგ არის ტომი — მაკ-

και Ψαρων λιμην, Τραπεζους
παλις 'Ελληνις.

86. Μοσσουνοικοι* Μετα δε
Μακροκεφαλους Μοσσουνοικοι εθ-
νος, και Ζεφυρος λιμην, Χοιρα-
δες παλις 'Ελληνις, Αρεως νη-
σος. Οντος ορη κατοικουσι.

87. Τιβαρηνοι. Μετα δε Μοσ-
σουνας εθνος εστι Τιβαρηνοι.

88. Χάλυβες. Μετα δε Τιβα-
ρηνος Χάλυβες εισιν εθνος, και
Γενητης λιμην κλειστος, Σταμει-
νας** παλις 'Ελληνις, και Ιασο-
νις*** ακροπολις 'Ελληνις.

როკეფალები, ნავსადგური ფსო-
რონი და ელინური ქალაქი ტრა-
პეძენტი.

86. მოსუნოელები¹. მაკროკე-
ფალების შემდეგ არის ტომი —
მოსუნოელები. ნავსადგური ძეფი-
როისი, ელინური ქალაქი ქო-
რადესი, არესის კუნძული. ესენი
ცხოვრობენ მთებში.

87. ტიბარენები². მოსუნების
შემდეგ არის ტომი — ტიბარენები.

88. ხალიბები³. ტიბარენების
შემდეგ არის ტომი — ხალიბები,
დახურული ნავსადგური — გენე-
ტესი⁴, ელინური ქალაქი სტამე-
ნეა და ელინური აკროპოლისი —
იასონია.

* Μοσσουνοικοι sic h. L. codex. Infra § 87 habet τοὺς Μοσσοῦνοῦς (i. e. Μοσσουνοῦς). Dicere licet Μοσσουνοικοι, Μόσσοιτες et Μόσσοιοι. V. L. Dindorf. in St. Thes. v. Μόσσοι.

** Σταμίρια| Αμείνεια codex; corr. Clausenius, assumpta ex antecedente vocelitera σ, collatoque Ηοσατασο, qui Σταμίριην Χαλύβειν πόλιν dicit (fr. 196).

*** Ιασονία| άσινεία codex; em. Voss. Vid. Xenophon Anab. VI, 2.

¹ ВДИ: „Город Хоїрады (Керасунт) — греческая колония между Синопой и Трапезунтом, современный Керасон. Остров Ареса — около Керасунта, современный Керасун-ада“. Χοιράδες — შემდეგში ფარნაკია. თანამედროვე გერახუნტი (Papo).

² ВДИ: „Тибарены — племя на южном берегу Черного моря в турецкой Армении, соседящее с мосхамн. Главным их поселением считалась Котпора“.

³ ВДИ: „Халибы и Халибыи, несомненно, один и тот же народ, переселившийся современную южную Армению и Сев. Иран, известный также под именем халдов (по имени их главного божества). Народ этот, называвший себя урарту, был древнейшим народом на территории СССР, достигшим государственности. Об урарту см. Б. Пиотровский, История и культура Урарту, 1944, а также И. Мещанинов, Халдоведение, выпуск I и II“.

⁴ ВДИ: „Гавань Генет—где-либо между современным Язун-Бурну, между Синопой и Трапезунтом. Город Стамения (по другому чтению Амения).

89. Ἀσσυρία. Μετὰ δὲ Χάλυ-
 ζας Ἀσσυρία ἐστὶν ἔθνος καὶ
 ποταμὸς Θερμῶδων καὶ πόλις
 Ἑλληνίς Θεμισκυρα, Ἀνάκαστος
 ποταμὸς καὶ πόλις Ἑλληνίς,
 Ἄλυσ ποταμὸς καὶ Κάρουσσα
 πόλις Ἑλληνίς, Σινῶπη πόλις
 Ἑλληνίς, Κερασσοῦς πόλις Ἑλλη-
 νίς καὶ Ὀχέραινος ποταμὸς, Ἀρ-
 μένη, πόλις Ἑλληνίς καὶ λιμὴν,
 Τετραχίς πόλις Ἑλληνίς.

90. Παφλαγονία...

91. Μαριάνθουοι...

Ἐνταῦθα πόλις ἐστὶν Ἡράκ-
 λεια Ἑλληνίς, καὶ ποταμὸς Ἀν-
 κος καὶ ἄλλος ποταμὸς Ἴπριος.

92. Βιθυνοί. Μετὰ δὲ Μαρι-
 ανθῶνους εἰσὶ Θράκες Βιθυνοί
 ἔθνος, καὶ ποταμὸς Σαγάριος καὶ
 ἄλλος ποταμὸς Ἀρτάνης καὶ νη-
 σος Θυνιάς (οἰκοῦσι δὲ αὐτῆν
 Ἡρακλεῶται) καὶ ποταμὸς Ῥή-
 ζας. Εἶπ' εὐθύς ὁ πόρος* καὶ τὸ
 προεξημένον ἱερὸν ἐν τῷ στή-
 ματι τοῦ Πόντου, καὶ μετὰ τοῦτο
 πόλις Χαλκηδῶν ἐξω Θράκης,
 μεθ' ἧν ὁ κόλπος ὁ Ὀλύμπιος.
 Παράπλους ἀπὸ Μαριανθῶνων μέγ-
 ρι τοῦ μυχῶν τοῦ κόλπου τῶν
 Ὀλύμπιων (τοσαύτη γὰρ ἐστὶν ἡ

89. ასირია. ხალიბების შემ-
 დეგ არის ტომი — ასირია, მდი-
 ნარე თერმოდონტი, ელინური
 ქალაქი თემისკირა, ლიკასტოსი —
 მდინარე და ელინური ქალაქი,
 მდინარე ალუსი და ელინური
 ქალაქი კარუსა, ელინური ქალაქი
 სინოპე, ელინური ქალაქი კერა-
 სუნტი, და მდინარე ოქერაინოსი,
 პარმენე, ელინური ქალაქი და
 ნავსადგური, ელინური ქალაქი
 ტეტრაკისი.

90. პაფლაგონია...

91. მარიანდინები...

იქ არის ელინური: ქალაქი,
 ჰერაკლეა, მდინარე ლიკოსი და
 [ქიდეგ] სხვა მდინარე — მიპიოსი.

92. ბითონები. მარიანდინებს
 შემდეგ არიან: ტომი — თრაკიელი
 ბითონები, მდინარე საგარიოსი
 და [ქიდეგ] სხვა მდინარე, არტა-
 ნესი, კუნძული თუნიასი (ჰერაკ-
 ლეეგები ცხოვრობენ ამ [კუნძულ-
 ზე]) და მდინარე რებასი. შემდეგ
 [არის] პირდაპირი გზა და ზემოთ
 ხსენებული სალოცავი პონტოს
 სრულტესთან, ამის შემდეგ ქალაქი
 ქალკედონია, თრაკიის გარეთ
 [ქალაქის] შემდეგ არის ოლბიური
 უბე. ზღვით მოგზაურობას მარი-
 ანდინებიდან ოლბიური უბის უკი-

позднее Стамбула — к востоку от мыса Языи-Бурыу. Название акрополя Языиин сохранилось, видимо, в современном названии мыса Языи-Бурыу*.

ἄδρ. Thuc. II, 94; VII, 38; κληστός λιμὴν.

* ὁ πόρος] addidi articulum. Malis ὁ Βόσπορος.

Β:θ:α:ν (Ηράκλη) ἡμερῶν τρ:ῶν.
'Απὸ θε τοῦ στόματος τοῦ Πόν-
του, ἕως [ἐπ:] τὸ στόμα τῆς
Μα:ῶ:ν:θ:ς λίμνης παρὰπλήσις
ἔστ:ν ὁ πλοῦς. ὃ τε παρὰ τὴν
ἐν:ρῶ:πην καὶ τὴν 'Ασί:αν.

დურეს წერტილამდე (რადგან
ამოდენაა ბითუნთა თრაკია) [უნ-
დებთან] სამ დღეს. პონტოს სრუ-
ტიდან ვიდრე მაჰოტისის ტბამდე
იმდენივე უნდა ზღვით მოგზაუ-
რობას, რამდენიც ევროპისა და
აზიის გასწვრივ.



სკიმნოს ქოსედი

ქანრი

ელინისტურ ხანაში მსოფლიო გეოგრაფიის გვერდით განვითარდა ქანრი ე. წ. პერიპლუსისა და პერიოდოსისა, რომელთა მიზანია აგვიწერონ მოგზაურობა ზღვისა თუ ხმელეთის რომელიმე მონაკვეთზე, გააცნონ მკითხველ საზოგადოებას რომელიმე ადგილის ტოპოგრაფია, სიძველეები და სხვ. როგორც ლიტერატურული ნაწარმოები *პერჰეჩეთს* მათ გვერდით და *პერიბოზის*-ის სინონიმურად იხმარება.

პერიპლუსები (*პერპლუს* — ზღვით მოგზაურობა) ჩვენთვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი, მაგ., ე. წ. სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. IV ს.) *Περπλους εως θαλασσης εως οξυμηνους Εβραηως* და: *Ασις εως Αψινθης* (მოგზაურობა დასახლებული ევროპის, აზიის და ლიბიის ზღვაზე) და ფლავიუს არიანეს (ახ. წ. II ს.) *Περπλους Εβζεσιου Πρωτας* (მოგზაურობა შავ ზღვაზე) საქართველოს ისტორიის ანტიკური ხანის შესწავლისას ხშირად არის ხოლმე გამოყენებული.

პერიეგესის (*Περιεγησις*) პირდაპირი მნიშვნელობაა, „დატარება“, შემდეგ „აღწერილობა“. ჩვეულებრივ ის იხმარება გეოგრაფიული ვაგებით და ნიშნავს ხალხთა და ქვეყანათა ღირსშესანიშნავი ამბების აღწერილობას.

კომენტატორი ევსტათი „პერიეგესს“ ასხვავებს „გეოგრაფიისაგან“, მაგრამ ჩანს, ძველ ავტორებს არ ჰქონდათ ზუსტად გამიჯნული ეს ორი დარგი. მაგ., სტრაბონი, რომელიც ჩვეულებრივ „გეოგრაფოსად“ (δ γεωγραφος) იწოდება, თვითონ თავის აღწერილობას ამა თუ იმ მხარისას ჩვეულებრივ უწოდებს ხოლმე *პერჰეჩეთს*-ს (III, 158; V, 218; IX, 2, 6 და სხვ.) და პირიქით — ბევრი ავტორი იწოდება „პერიეგეტად“, მაგრამ მათი შრომების დღემდე მოღწეული ფრაგმენტები არ იძლევიან საშუალებას დიდად განვასხვავოთ მათი თხზულებები „გეოგრაფიებისაგან“. ყოველივე ამის საფუძველზე მართალნი არიან თანამედროვე მკვლევარები, რომლე-

ბიკ „პერიეგეს“ მიიჩნევენ გეოგრაფიული დარგის საგანგებო ლიტერატურულ ჟანრად¹.

პერიეგესის ძირითადი დანიშნულება წარსულის მემკვიდრეობის თავმოყრა და მისი მეცნიერული დამუშავება იყო. G. Pasquali-ს გამოკვლევის თანახმად პერიეგესის ჟანრის სათავეები ძველ იონიურ ისტორიოგრაფიასა და გეოგრაფიაში არის საძიებელი, სახელდობრ ჰეკატეოს მილეტელისა და ჰეროდოტეს შემოქმედებაში. გ. შნაიდერის დაკვირვებით პერიეგესი თავდაპირველად ახლოს იდგა ჟანრთან — Γῆς περὶ ὁμοίᾳς და განვითარების გარკვეული საფეხურების გაელის შემდეგ (სახელდობრ დიონისიოსის დროისათვის) ისევ დაუახლოვდა ამ სახეობას (ამავე აზრისაა ევსტათი, რომელიც περὶ ἰγῆσιν-ს აიგივებს Γῆς περὶ ὁμοίᾳς-სთან)².

უძველესი პერიეგესი, რომელიც ცნობილია, არის დიოდოროს ათენელისა, რომელმაც 322—308 წლებში დაწერა ატიკის შესახებ სამწიგნიაანი შრომა Περὶ μνημῶν.

სხვა ავტორები რომ არ მოვიხსენიოთ, გვერდს ვერ აწევლით ილიონელ პოლემონს, მილესიოსის ძეს (III—II სს.). მას მრავალი შრომა ჰქონდა, სადაც აგვიწერდა: ათენის აკროპოლისს, ილიონს, ჰერაკლეს დღეობას თებში და სხვ.

დემეტრიოს სკეპსისელი (ძვ. წ. 150 წ.) პოლემონის ტიპის მოღვაწე ჩანს: მისი შრომა Ἱερῶν δὲ δὲ ἀγῶσταις ერთგვარ კომენტარს წარმოადგენს „ილიადის“ ტროელთა კატალოგისას და მას ავტორის სამშობლოს პერიეგესის სახე აქვს მიღებული³.

პერიეგესის კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულია პავსანიას (ახ. წ. II ს-ის მეორე ნახევარი) Περὶ ἰγῆσιν τῆς Ἑλλάδος (საბერძნეთის აღწერილობა), რომელშიც დიდი ყურადღება ექცევა ძველი საბერძნეთის ძეგლებს, ხელოვნებას — და რომელიც ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს ამ მხრივ⁴.

¹ შტრ. J. Schnaydor, Periegeza w literaturze greckiej powstanie i rozwój gatunku: Polska Akademia umiejętności Archiwum filologiczne Nr. 19, Kraków, 1946, გვ. 3—17; მისივე: De periegetarum graecorum reliquiis: Łódzkie towarzystwo naukowe, Wydział I, Nr 7—9, 9a, Łódź, 1949—50, 1950, № 9, გვ. 5—90.

² J. Schnaydor, Periegeza w literaturze greckiej powstanie i rozwój gatunku... გვ. 15.

³ შტრ. W. Christ's, Geschichte der gr. Lit., VII. II Teil. I Hälfte, 1920, გვ. 242—245.

⁴ E. Pernice, Periegeten und Periegesen: Handbuch der Archäologie (=Udb. der Altertumswissenschaft, VI. 2), München, Beck, 1939, გვ. 240—246; H. Bischoff, Perieget: RE, I Reihe, 37, Band, 1937, გვ. 725—742.

ამგვარად, ამ პერიეგესებში ტოპოგრაფიული, კონკრეტულ-ისტორიული, ბიოგრაფიული და ანტიკვარული მონაცემები იყო ხოლმე და ასევე — ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ცნობები.

ე. წ. სკიმნოს ქიოსელისა და დიონისიოსის (II ს.) პერიეგესები არსებითად განსხვავდება ამ ქანრის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტული თუ მთლიანად დაცული ნაწარმოებებისაგან. დიონისიოსის პოემაში გვაქვს მისთვის ცნობილი მთელი მსოფლიოს აღწერილობა (და არა მხოლოდ რომელიმე კუთხისა). სიძველეებისა და ხელოვნების ძეგლების შესახებ საერთოდ არ არის მსჯელობა და ამას გარდა, ზოგადი გეოგრაფიული ხასიათის ცნობების გვერდით (რამიც შედის ზოგადი გეოგრაფიული, ხოროგრაფიაცა და ტოპოგრაფიაც) არის პოეტური და მითიურ-კოსმოგრაფიული წილსვლებიც.

რაც შეეხება ე. წ. სკიმნოს ქიოსელის „პერიეგესს“, ეს არის პოემა, რომელიც დღესდღეობით შედგება 980 ტაეპისაგან და დაწერილია იამბიკური საზომით.

ის რაც ხელთ გვაქვს, შესავალს გარდა შეიცავს ორ ძირითად ნაწილს: „ევროპასა“ და „აზიას“. მას უნდა ჰქონოდა მესამე ნაწილიც, „ლიბია“ (თუმცა შესაძლოა „ლიბია“ აზიის ნაწილად ესწოდა ავტორს).

ნაწარმოები გეოგრაფიული ხასიათისა და ხელოვნების ძეგლები მასში არაა მიმოხილული. ევროპისა და აზიის აღწერისას ავტორი არ გაურბის სხვა რიგის ცნობებს, ამა თუ იმ ადგილისა ან ხალხის შესახებ.

სკიმნოს ქიოსელს ბერძნულ გეოგრაფიულ მწერლობაში ნკვიდრი ადგილი აქვს მოპოვებული, მაგრამ მიუხედავად ამისა სტრაბონი მას გამოჩენილ ქიოსელთა შორის არ ასახელებს (ესენი არიან ტრაგიკოსი იონი, ისტორიკოსი თეოპომპე და სოფისტი თეოკრიტე — გეოგრაფია XIV, 35). ზემოთ ხსენებული პოემაც ჩვეულებრივ სკიმნოსის სახელს უკავშირდება ხოლმე. მაგრამ საქმე მთლად ასე არაა.

ბიოგრაფიული ცნობები

ძველ ბერძნულ მწერლობაში ცნობილი იყო სახელი სკიმნოს ქიოსელისა, როგორც პროზად დაწერილი „პერიეგესის“ ავტორის. ის ცხოვრობდა პარადოქსოგრაფოს აპოლონიოსზე უფრო ადრე (რაკილა ამასთან ვხვდებით მის ხსენებას), ე. ი. ძვ. წ. III—II სს-ში³,

³ Fr. Gisinger, Skymnos: RE, II Reihe, V Halbband, Stuttgart, 1927. გვ. 661.

ხოლო მისი ცხოვრებიდან ერთი ფაქტი, რომელსაც Rohde-მ (როდემ) მიაქცია ყურადღება ისაა, რომ 184/3 წლებში ის დელფოს პარტენონის იყო; დელფოს პარტენონის სიაში ის იხსენიება როგორც Ζახუმოს 'Απελλαν Νιξας, პოლემონთან, ჰეგესიანაქსთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად⁶. ამ სკიმნოს აპელასის ძეს დაუწერია Περσικήης, რომელიც მრავალთავიანი თხზულება ყოფილა და შეიცავდა ორ ძირითად ნაწილს მანის, Εὐρώπη-სა და 'Ασιᾶ-ს (როგორც იმომწებენ სტეფანე ბიზანტიონელი, ამოლონიოს როდოსელის სქოლიასტი და სხვ.) და შესაძლოა მას ჰქონოდა მესამეც, Λιβύη (თუმცა კი მისი დამოწმება არ გვხვდება). სამწუხაროდ ეს Περσικήης დაკარგულა, მოღწეულია მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტები (რიცხვით 9), რომელთა შორის ზოგი საინტერესოა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, მაგ. ფრაგმ. II: Steph. Byz.: Ἄρεος νῆσος, παρὰ τῆς Κρήτης ἐν τῷ Πόντῳ. Ζαχუმოს ἐν 'Ασίᾳ (არესის კუნძული, პონტოში კოლხებთან, [ამბობს] სკიმნოსი „აზიაში“). კოლხები აქ ივარაუდებიან პონტოს სამხრეთ ნაპირის აღმოსავლეთ ნაწილში (დაახლოებით იქ, სადაც ისინი ქსენოფონტმა ნახა, მის აღმოსავლეთ ნაწილშია ტრაპეზუნტი, ხოლო დასავლეთში — კერასუნტი. კერასუნტიდან აღმოსავლეთით, ასე 30 თუ 50 სტადიონის დაშორებით იყო არესის კუნძული, რომელსაც ანტიკური ხანის ბევრი ავტორი იხსენიებს). ფრაგმ. III: ამოლონიოს როდოსელის სქოლიასტი, არგონავ. IV, 277 „καὶ Ζαχუმოს φησὶ ἐν 'Ασίᾳ, ὅτι Κόλχοι: Ἀγυαῖσιν ἀποίχουσι, καὶ Ἡρόδοτος ἐν β' μέμνηται τῆς περιτομῆς τῶν μαρῶν...“ (სკიმნოსი ამბობს „აზიაში“, რომ კოლხები ეგვიპტელთა კოლონიტები არიან, ხოლო ჰეროდოტე მეორე [წიგნში] იხსენიებს წინა დაცვეთას). ეს ცნობა ანტიკურ მწერლობაში ახალი არ არის, იგი ჰეროდოტესაგან მომდინარეობს, მაგრამ რაკი ვხვდებით მას სკიმნოსთან, ცხადია, ის მას გასამეორებლად მიაჩნია.

ფრაგმ. V: ამოლონიოს როდოსელის სქოლიასტი. არგონავტ. IV, 284 „ὁ μὲν γὰρ Ζαχუმოს αὐτοῦς (იფულისხმება τὸς 'Αργοναυτᾶς) διὰ Ταννάθως πεπλευκέναι ἐπὶ τῆς μεγάλῃς θάλασσαν, ἐκεῖθεν δὲ εἰς τῆς ἡμετέρας θάλασσαν ἐληλυθέναι. καὶ παρεκβόλεσεται, ὡς ἄρα ἐλθόντες ἐπὶ τῆς ἡπειροῦς οἱ Ἀργοναῖται: ἐπὶ σπρωτῆρας ἐκόμασαν τῆς Ἀργῶ, μέγχις οὗ ἐπὶ θάλασσαν παρεγένοντο“ (ხოლო სკიმნოსი [ამბობს], რომ არგონავტები ტანანისთ მიცურდნენ დიდ

⁶ Geschichte der gr. Lit. in der Alexandrienerzeit, von Franz Susemihl, I. Leipzig, 1891, გვ. 677; W. Christ's, Griechische Lit. gesch. II², გვ. 171.

ზღვამდის⁷, ხოლო აქედან ჩვენ ზღვაში⁸ მოვიდნენ და უმატებს, რომ არგონავტები ხმელეთზე რომ მივიდნენ, საკაცეზე⁹ გადაიტანეს არგო [და ასე ატარეს] ვიდრე ზღვამდის არ მივიდნენ*.

ამ ცნობის მიხედვით არგონავტები ტანაისის გავლით ბრუნდებიან შინ, მაშინ, როდესაც არგონავტიკის ტრადიციული რედაქციების მიხედვით, ისინი ფასისიდან პონტოს გადავლით შედიან ისტროსში, რომელიც ერთი ტოტით უერთდება პონტოს, ხოლო მეორით — იონიის ზღვას. სკიმნოსი აქ ტიმაქოს ტავრომენიელის (IV—III სს.) მიმდევარი ჩანს. სკიმნოსის გეოგრაფიულ პერსპექტივაზე არაფერს ვამბობთ (ეს არც თუ უჩვეულო იყო მისი დროისათვის), როდესაც ის ტანაისის ატლანტიის ოკეანეს უკავშირებს.

სხვა ფრაგმენტებში არის ცნობები ჰერმონეაჰა || ჰერმონასას, პაროსის, ბრიტანიის და სხვ. შესახებ.

ამრიგად, სკიმნოს ქიოსელის ნაწარმოები დაიკარგა, მისი სახელი კი დაჩა. ამავე დროს ძველ ხელნაწერებში აღმოჩნდა „პერიეგესი“, რომლის ავტორიც არსად იყო ხსენებული (სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ პირის სახელი იქნებოდა ნაწარმოების ბოლოს, რომელიც დაკარგულია). პირველმა გამომცემლებმა ის მიაწერეს მარკიანოს ჰერაკლეელს (II—I სს. მწერალს)¹⁰, რაკილა ერთერთ ხელნაწერში (სახელდობრ ვატიკანისაში) სათაურის ნაცვლად ეწერა *Ξηταρχος Μαχαζαρι* (ეს გამომცემლები იყვნენ: XVII ს-ის დასაწყისის მკვლევრები: Hoeschel-ი და Morel-ი). შემდეგ კი XVII ს-ის შუა წლებიდან Holstein-ისა და Voss-ის მიერ ამ პოემის ავტორად სკიმნოს ქიოსელი იქნა გამოცხადებული. ეს აზრი კარგა ხანს იყო დამკვიდრებული, ვიდრე ა. მახნეკემ და კ. მჟულერმა არ უარყვეს ის სათანადო საბუთიანობით. დღესდღეობით ამ „პერიეგესის“ ავტორი უცნობია და თუ ვინმე მას სკიმნოს ქიოსელისას, ან ფსევდოსკიმნოს ქიოსელისას უწოდებს, ერთგვარი ტრადიციის გამო, ანდა გაიოლების მიზნით (რადგან ანონიმური „პერიეგესები“ და „პერიპლუსები“ სხვაც გვაქვს და მათთან რომ არ აგვერიოს). ფრ. გიზინგერის აზრით, ჩვენი „პერიეგესის“ ავტორი ბერძნული, მაგრამ აღმოსავლეთის ბერძნული ქვეყნებიდან არის (თუნდაც იმის საფუძ-

⁷ დიდი ზღვა — ატლანტიის ოკეანე.

⁸ ჩვენი ზღვა — ხმელთაშუა ზღვა.

⁹ *σπεραιή* — სვეტებზე, ბოძებზე დამაგრებული ფიცრები. რუს. на копьях(?).

¹⁰ მარკიანოს ჰერაკლეელი ახ. წ. IV ს-ის მწერალია. მისი სახელით ბევრი ნაწარმოებია ცნობილი. ამ „პერიეგესის“ ავტორი ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, თუნდაც მარკიანოს ჰერაკლეელი, ძვ. წ. II—I სს-ის მოღვაწე იყო.

ველზე, რომ საბერძნეთსა და აზიას საგანგებოდ იხსენიებს, ტაგბ. 129—131) (RE... გვ. 675). კ. მჯუღერს მის სამშობლოდ საბერძნეთი მიაჩნდა, ხოლო საცხოვრებლად ბითონიის ჰერაკლეა (LXXVIII), ხოლო პარეტის — მილეტი.

ნაწარმოები

ნაწარმოები, რომელიც ჩვენამდე არის მოღწეული და არაერთგზის გამოცემული, როგორც უკვე ითქვა, იამბიკური სახომით დაწერილი პოემაა და შედგება 980 ტაეპისაგან. ავტორი დასაწყისშივე მიმართავს ღვთაებრივ მეფეს ნიკომედესს, რომელიც სეცეიალისტთა აზრით არის ბითონიის მეფე, ნიკომედეს II (147—95 წწ.), ან ნიკომედეს III (95—75 წწ.).¹¹ Paretii-ს დათარიღებით ის 133—110 წლებშია დაწერილი¹².

Gisinger-ი ნაწარმოებს ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს, რაკილა მისი ავტორი ზოგ საკითხში პოლიბიოსის თანამაზრეა¹³.

ჩვენი „პერიეგესი“ სასკოლო წიგნად არის აღიარებული და აპოლოდორეს (ძვ. წ. II ს.) „ქრონიკა“ მისი ავტორისათვის ერთგვარად მისაბამ ნიმუშად ჩანს.

ჩვენ მსჯელობა გვიხდება გამოცემული ტექსტის მიხედვით. აქ ნაწარმოების 1—138 ტაეპები შესავალია, რომელიც წარმოადგენს მიძღვნას ნიკომედესის მიმართ და სადაც ჩამოთვლილია ის წყაროები, რომლებიც ავტორმა გამოიყენა (109 და შმდ. სამწუხაროდ 119—125 ტაეპები დაზიანებულია და ამიტომ ზოგიერთ წყაროს სახელი აღარ იკითხება. ამის შეს. ქვემოთ). 139—873 ტაეპები ევროპის აღწერილობაა, ხოლო 874—980 ტაეპები — აზიისა.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, 1—742 ტაეპი ამ ნაწარმოებისა ერთ პარიზულ ხელნაწერშია დაცული და ეს (ცხადია პირველი 138 ტაეპის გამოკლებით) წარმოადგენს ევროპის აღწერილობას (ჰიბრალტარიდან პონტოს აპოლონიამდე), დანარჩენი დაკარგულია, მოღწეულია ფრაგმენტები და აღდგენილია ანონიმური „პერიელუსისა“ და სხვა ნაწარმოებების მიხედვით (ე. ი. დაახლ. 200 ტაეპზე მეტი, მაგ. 753 და შმდ. არის სტეფანე ბიზან-

¹¹ Unger, G. F. Philologus, 41 (1882), გვ. 613. უნგერის აზრით ნიკომედეს II-ა აქ ხუნებული. ამას იზიარებს Christ-იც, ხოლო Susemihl-ისა (გვ. 677) და კ. მჯუღერის აზრით — ნიკომედეს III.

¹² Quando fu composta la periegesi del Pseudo-Scimmo in Saegri di storia antica... Roma, 1919, გვ. 133.

¹³ RE... გვ. 675.

ტიონელის *Διογύρας παράξ-*-ის მიხედვით). 1—742 ტაეპი თითქოს უკეთესი იამბებით არის დაწერილი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, ხშირად დარღვეულია, ან ნაძალადევია ლექსი¹⁴.

ხელნაწერები

„პერიეგესის“ ტექსტის შემცველი ხელნაწერი არის Parisinus № 443, მასალა პერგამენტი და დათარიღებული XII ს-ით, აქედანვე არის გადაწერილი Vaticanus Palatinus, № 142. მასალა ქალაღი. XV ს-ისა. ორივე ხელნაწერი შეიცავს შემდეგ ტექსტებს: მარკიანოს პერაკლეელისას, სკილაქს კარიანდელისას, ისიდორესას, დიონისიოს კალიფონტის ძისას. დიკაჰარქეს I და III ფრაგმენტებს და ჩვენს „პერიეგესს“ (როგორც ვთქვით 1—742 ტაეას სრულად, ხოლო მერე ფრაგმენტულად)¹⁵.

გამოცემები

პირველი გამოცემა „პერიეგესის“ ტექსტისა ეკუთვნის Hoeschel-ს, Geographi-ში, 1600, Augsburg (აქ მარკიანოსის სახელითაა პოემა). შემდეგი F. Morel-ს, Parisii, 1606 წ. (ლათინური პოეტური თარგმანით), შემდეგი Erasm. Vindingus-ს, Kopenhagen, 1662 (ლათინური პროზაული თარგმანით). უკვე სკიმნოსის სახელით გამოაქვეყნა ის Hudson-მა: Geogr. min. ტ. II, Oxford, 1703, რომელმაც ამ თავის კრებულში E. Vindingus-ის განმარტებული ტექსტი დაბეჭდა, ხოლო გამოკლევა არის დოდველისა (გვ. 79—103). საკუთრივ ნაწარმოებს აწერია: სკიმნოს ქიოსელის, ან როგორც მიღებულია მარკიანოს პერაკლეელის „დედამიწის აღწერილობა“. ეს ტექსტი შევიდა კრებულში, რომელსაც ეწოდებოდა „Σαλλογῆ... τῶν γεωγραφικῶν βιβλίων“, Band I, Wien, 1807. 1628 წელს Gail-მა ის გამოსცა პარიზში Geogr. min. tom. II, 1839. Em. Miller-მა გამოსცა მარკიანოსი (Paris-ში) და მას დაურთო პარიზული ხელნაწერიდან ჩვენი „პერიეგესის“ კითხვა-სხვაობანი (აქვეა მოცემული ამ ხელნაწერის აღწერილობა, რაც შემდეგ სხვებმაც გაიმეორეს). ამის მერე, 1840 წ., იმავე პარიზში გამოდის M. Letronne-ის „Fragments des poèmes géographiques“..., რაშიც სხვა ავტორებთან ერთად შედის „პერიეგესის“ ტექსტიც ლათინური თარგმანით. B. Fabricius-ს ეკუთვნის 1844 წ. დრეზდენის გამოცემა *Lectiones*

¹⁴ ВДП... გვ. 309; RE... გვ. 672; Susemihl... გვ. 677, Christ... გვ. 171. Müller... გვ. LXXIV.

¹⁵ Müller... IX გვ. და წმდ.

Scymnianaე და 1846 წ. ლაბაციეში გამოქვეყნებული „პერიეგესისი“ კრიტიკული შენიშვნებით. „პერიეგესისი“ ძირითადი გამოცემა იყო 1846 წ. ბერლინში გამოსული A. Meuncke-ს „Scymni Chii periegesis et Dionysii descriptio Graeciae“, რასაც კრიტიკული წერილი და კომენტარი ახლდა. უკანასკნელი გამოცემა ჩვენი პერიეგესისა არის K. Müller-ის ცნობილ სერიაში Geographi graeci minores, t. I, Parisiis, 1882 წ. (შესავალი წერილი LXXIV—LXXIX და ტექსტი 196—237 (პარალელური ლათინური პოეტური თარგმანითურთ)¹⁶.

თარგმანები

ალარ ჩამოვთვლი და შევხებები ყველა იმ ლათინურ თარგმანს, რომელიც ახლავს თან ბერძნულ ტექსტს (დაწვებული Morel-ის გამოცემიდან და გათავებული K. Müller-ის სერიით). რაც შეეხება სხვა ენებზე თარგმანებს — ეს თითქოს არ უნდა იყოს. ნაწვევები ამ „პერიეგესიდან“, რაც ეხება სკვითიასა და კავკასიას. შეტანილია ვ. ლატიშევის კრებულში და მათ თან ახლავს რუსული თარგმანი (В. Латышев, Сведения греческих и римских писателей о Скифии и Кавказе, СПб., 1893, т. I, выд. I, стр. 87—91. მთარგმნელია Н. И. Березков).

ლიტერატურა

სკიმნოს ქიოსელისა და ე. წ. ფსევდო-სკიმნოს ქიოსელის შესახებ არსებული ლიტერატურის გათვალისწინებისას მხედველობაშია მისალბები ტექსტის გამოცემები, სადაც შესავალ წერილებსა თუ კომენტარებში ბევრი საინტერესო მასალა მოიპოვება (მაგ. ლეტრონის, მაჩნეკესა და მჟულერის გამოცემებში). ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოების ავტორი არაა სკიმნოს ქიოსელი, პირველად ამ მკვლევართა — მაჩნეკესა და მჟულერის — დასაბუთებულია. ამას გარდა არის ზოგადი ხასიათის მიმოხილვითი შრომები, როგორცაა: Franz Susemihl. Geschichte der griechischen Litteratur in der Alexandrinerzeit, I, Leipzig, 1891, გვ. 677—679, სადაც 22-ე თავში, რომელსაც ეწოდება Geographie und Periegesis ერთი პარაგრაფი აქვს დათმობილი სკიმნოს ქიოსელის საკითხს.

აქ შეჯამებულია ყოველივე ის, რაც ამ დროისათვის იყო ცნობილი სკიმნოს ქიოსელისა და ფსევდო-სკიმნოს ქიოსელის შესახებ და გარკვეულად ჩანს ავტორის დამოკიდებულებაც ამა თუ იმ საღაო

¹⁶ Müller,... გვ. LXXIX; Susemihl... გვ. 678; RE, .. გვ. 673.

საკითხის მიმართ (მაგ., ჩვენი პერიეგესის ავტორი მას ნიკონედეს III-ის დროისად მიაჩნია, ე. ი. ძვ. წ. I ს-ით ათარილებს წას).

W. Christ-ის ლიტერატურის ისტორიაში¹⁷ მოკლედ, მაგრამ ავტორისათვის დამახასიათებელი სისრულით გადმოცემულია საკითხის ისტორიაც და არსებული ვითარებაც. განსხვავებით Susemihl-ისაგან Christ-ს ფსევდო-სკიმნოსის „პერიეგესი“ ნიკონედეს II ბიზანტიელისადმი მიძღვნილ ნაწარმოებად¹⁸ მიაჩნია და არსებითად ეფორეს საფუძველზე წარმოშობილად.

RE-ში არის Fr. Gisinger-ის სტატია სკიმნოსის შესახებ¹⁹ და მასში განხილულია როგორც თვით სკიმნოსი და მისი თითოეული ფრაგმენტი ცალკე, ისე სკიმნოსის სახელთან დაკავშირებული ჩვენი „პერიეგესიც“. მრავალ სხვა საკითხთან ერთად ძალიან დაწვრილებით არის შესწავლილი „პერიეგესის“ წყაროები.

სკიმნოს ქიოსელთან დაკავშირებით, რამდენიმე ცნობილი. მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, როგორც ზენოთაც ითქვა, ჩვენს „პერიეგესს“ სირველი გამომცემლები მარკიანოს პერაკლეელს წიაკუთვნებდნენ. პირველები, ვინც ის სკიმნოსს მიაწერენ იყვნენ L. Hülstein-ი (1630 წ.) და Is. Voss-ი (1639 წ.). Voss-მა 1639 წელს ამსტერდამში გამოსცა ანონიმური „პერიპლუსი“ (ფსევდო-სკილაქსთან ერთად) და აქ პერიპლუსიდან გამოჰკრიფა იამბები, რომლებიც „პერიეგესის“ მეორე ნაწილს წარმოადგენენ. ამათ მერე იყო, რომ „პერიეგესის“ ავტორად სკიმნოს ქიოსელი გამოცხადდა. ნათივე აზრისა იყო Dodwell-იც.

S. Rohde-მ სკიმნოს ქიოსელი გააიგივა დელფოს პროქსენოსთან, რომელიც 185/4 წლებში იხსენიება²⁰. G. F. Unger-მა²¹ და L. Pareti-მ²² გალექსილი პერიეგესის ავტორის დროის შესახებ იმსჯელეს და მიძღვნის ობიექტად ნიკონედეს II მიიჩნიეს, ე. ი. ნაწარმოები დაათარილეს 133—111 წლებით. აღარ ჩამოვთვლი სხვა შრომებს, რომლებიც სხვადასხვა გამომცემლებმა გამოიყენეს და რომლებიც XIX ს-ის მანძილზე არც თუ ისე იშვიათად გვხვდება.

უკანასკნელი წლების ლიტერატურაში მხოლოდ 2 წერილი შეშვდა, რომელთა ავტორებიც დაინტერესებულნი არიან ფსევდო-

¹⁷ Die Geschichte der griechischen Litteratur, VII, 2, 1^o, გვ. 171.

¹⁸ RE, II Reihe V Halbband. Stuttgart. 1927, გვ. 661—687.

¹⁹ S. Rohde, Seymos von Chios, Rhein. Mus., XXXIV. 1-79, გვ. 153 და შმდ.

²⁰ G. F. Unger, Philologus, 41 (1882), გვ. 613 და შმდ.

²¹ L. Pareti, Quando fu composta la periegesi di Pseudoseimno in Saggi di storia antica... Roma. 1919, გვ. 133 და შმდ.

სკინნოსით. ერთი არის ეურნალში *Classical Philology*, Chicago, 1955, გვ. 48. ეკუთვნის R. M. Cook-ს: Pseudo-Skymnos, 907, სადაც დაუხსტებულა ერთი ადგილი (იძლევა თავის წაკითხვას: Μ:νυ:α:νυ: μ:α:νυ:α:).

ზეორე წერილი — The authors named Pausanias — უფრო არსებითია. მისი ავტორია A. Diller-ი²² და დედა-აზრი არის ის, რომ პავსანია დამასკელი უნდა იყოს ფსევდო-სკინნოსი და ის წერდა ძვ. წ. 100 წელს. პავსანია დამასკელის სახელი, როგორც ავტორისა. პირველად ჩანს, ხოლო დათარიღება ძველად²³.

წყაროები

წყაროების საკითხი ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით შედარებით გაიოლებულია, რადგან პოემის 109—127 ტაეპებში პირდაპირ არიან ისინი ჩამოთვლილი; ესენი არიან: ერასტოსთენე (284—200 წწ.) ეფორე (ძვ. წ. IV ს.), დიონისიოს ქალკიდელი (ძვ. წ. III ს.), დემეტრიოს კალათიელი (ძვ. წ. III ს.), კლეონ სირაკუზელი (ძვ. წ. IV ს.); ტიმოსთენე როდოსელი (ძვ. წ. III ს.), კალისტენე (ძვ. წ. IV ს.), ტინმაოს ტავრომენელი (IV—III სს.) და ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.). შუაში 119—125 ტაეპები დაზიანებულია და კიდევ ვინ იყო იქ მოხსენიებული, დაბეჯითებით არ ვიცით, Gisiunger-ის აზრით აქ იქნებოდნენ თეოპომპე (ძვ. წ. IV ს.), ჰეკატე ერეტრიელი (ძვ. წ. IV ს.) და ნინფისი (ძვ. წ. III ს.)²⁴.

აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტეს გარდა, ყველა წყარო IV—III სს-ისაა. თუ რამდენად უშუალოდ იყენებდა ჩვენი ავტორი თითოეულ ამ წყაროს, ამაზე ლაპარაკი გაძნელებდა, მაგრამ პოემის უშუალოდ შესწავლამ და მისმა შედარებამ ეფორეს ფრაგმენტებ-

²² Transactions and Proceedings of the American Philological Association, Madison... & Oxford, LXXXVI, 1955, გვ. 268—279.

²³ სამწუხაროდ აა წერილის წაკითხვა ვერ მოხერხდა, მას ვინცნა მარტონს ცნობარის მიხედვით, სადაც 1957 წლის XXVII ტომში სწერია: „[Pausanias de Damas serait le Pseudo-Skymnos] Une revue des six auteurs de ce nom qui ont été placés au II e siècle ap. J. C. permet tout d'abord de faire ressortir la personnalité du Périégète. puis d'éliminer Pausanias de Damas. qui ne serait que l'auteur, du Pseudo-Skymnos et se placerait aux environs de 100 av. J. C. L'essai d'identification précise des quatre autres aboutit à un non liquet“. ამ სახელის 6 ავტორი სხვა საცნობარო ლიტერატურაში არ ჩანს. ყველაზე პოპულარული პავსანია დამასკელი არის აბ. წ. IV ს-ის მოლავაჟე. ისტორიკოსი, რომელსაც იმოწმებენ სტეფანე ბიზანტიონელი და მაღალა. Christ... II, 2. გვ. 847, 849.

²⁴ RE... გვ. 672.

თან ჩვენც დაგვარწმუნა იმაში, რომ პერიგეტს ეფორეს შრომით უეჭველად უსარგებლია. ВДП-ის კომენტატორი წერს: „Западную часть северночерноморского побережья Перипл излагает преимущественно по Деметрию, тогда как описание восточной части Крымского и Кавказского побережий составлено по Ффору“²⁵.

Christ-ი წერს, რომ ეს არის „ein hauptsächlich aus Ephoros schöpfender Periplus“²⁶. გეოგრაფიული კონცეფციის მიხედვით ჩვენი პერიგეტი ეფორეს და პოლიბიოსის (ძვ. წ. II ს.) მიმდევარია და არა ერატოსთენესი²⁷.

ის ტექსტი, რომელსაც ვაქვეყნებ, ე. ი. მასალა საქართველოს წარსულისათვის და მასთან რამენაირად დაკავშირებული ტომების, ხალხებისა და ქვეყნების ისტორიისათვის, გიზინგერის გამოკვლევის მიხედვით შემდეგ წყაროებზეა დამოკიდებული²⁸. ეფორეს ეკუთვნის: ტაეპები 169—182; 215—230; 236—241. თეოპომპეა წყარო: 367—381 ტაეპებისათვის. 559—665 ტაეპები მომდინარეობენ ჰეროდოტესაგან (VIII, 44).

718—721 ტაეპები არის დემეტრიოს კალატიელზე დამოკიდებული, მაგრამ ამის გვერდით აპოლოდორეც არის გამოყენებული.

724—737 ტაეპების წყარო არის აპოლოდორე (734—737-სათვის რომ არის აპოლოდორე, ამის შეს. იხ. სტრაბონი, VII, 298).

738—750 ტაეპები მომდინარეობს დემეტრიოს კალატიელის მეშვეობით.

751—760 ტაეპები ეფორესაგან არის აღებული (753—755 კი გამონაკლისია). ასევე შესაძლოა ეფორესაგან მომდინარეობდეს 765—772 ტაეპები. 773—791 ტაეპები წარმოადგენს ჰეროდოტეს, ეფორეს ან თეოპომპეს და ერატოსთენეს კომბინაციას. 792—796 ტაეპებისათვის დემეტრიოს კალატიელია წყარო. 798—837 ტაეპების წყაროა ჰეროდოტე და ეფორე. 838—885 ტაეპებისათვის გამოყენებულია ჰეკატე ტეოსელი (თუ ერეტრიელი) (868) და დემეტრიოს კალატიელი (879). ამჰძონთა ამბავი (884) ჰქონდა ეფორესაც (აპოლონიოს როდოსელის სქოლიო II, 965-სთვის).

886—899 ტაეპების წყარო იყო აპოლოდორე, 900—916 ტაეპებისა—ეფორე. 917—940 ტაეპების წყარო III—II ს-ისა უნდა იყოს (რადგან უფრო ახალი ფორმა, Λευχισπᾶρυ არის ნახმარი, განსხვავებით 943 ტაეპის Δᾶρυ-ისა), შესაძლოა ისევ დემეტრიოსი(?).

²⁵ ВДП... გვ. 309.

²⁶ Christ... გვ. 171.

²⁷ RE... გვ. 678.

²⁸ RE... გვ. 681—686.

941—955 ტაეპებისთვის ისევ ეფორეა გამოყენებული.

მე არ მოვიტან ეფორეს ყველა ფრაგმენტს, რომელიც მიჩნეულია ფსევდო-სკიზნოსის წყაროდ, განვიხილავ მხოლოდ ორს, რაც უშუალოდ ეხება ქართველურ ტომებს²⁹: „Frsg 43 Steph. Byz. S. „Τ:βαραν:α χάρα παρὸς τῷ Πόντῳ, παρῶσι:αὸς Χάλυψι: καὶ Μοσσηνο:αὶοις. τὸ ἐμνοικὸν Τ:βαρανοὶ καὶ Τ:βαραηοὶ | καὶ Μηλιακὸν Τ:βαραη:ς. Ἐφορος ἐν ε̄ φησιν ὅτι „Τ:βαραηοὶ καὶ τὸ παλ:ζειν καὶ τὸ γελ:α:ν εἰσιν ἐξ ἡλακίστες καὶ μεγ:στῆν εὐνο:μαν:α:ν τοῦτο νομ:ζ:σα:ν. Ἡμερα: δὲ τοῦτοις Χάλυβες καὶ τὸ τῶν Λεσχοστῶν ξίφος“ (ტიბარანია. ქვეყანა პონტოსთან, ემეზობლება ხალიბებსა და მოსინიკებს. ტომის [სახელია] ტიბარანები და ტიბარენები, მდებრობითის [ფორმა] ტიბარენისი. ეფორე მეხუთე [წიგნში] ამბობს, რომ ტიბარენები ძალიან მისწრაფიან ხუმრობისა და სიცილისაკენ, [რადგან] ეს დიდი ბედნიერების მომასწავებლად არის მიჩნეული. მათი მეზობლები არიან ხალიბები და ლევკოსირთა ტომი“ (გვ. 55—56).

ჩვენს „პერიეგესში“ არის

Τ:βαραηοὶ ἄχουον ξίφος ὀμοχάριον

γελ:α:ν πάγυ σπεῦδοντες ἐκ παντὸς τέρπου,

εὐνο:μαν:α:ν τᾶντῆν [μεγ:στῆν] κερ:κίστες (914—916 სტროფ.).

(მეზობლად ცხოვრობდა ტომი — ტიბარენები; ისინი ძალიან ცდილობენ, ყოველნაირად, რომ იცინონ, რადგან ეს დიდი ბედნიერების მომასწავებლად მიაჩნიათ). იგივე ადგილი გამეორებულია ანონიმურ „პერიპლუსში“, რომლის ერთერთი წყარო ეს პერიეგესია § 33, K. Müller, ... გვ. 409, მხოლოდ წინ უძღვის 'Απὸ βὲ Κρατῶρου ἕως πλησ:ιον Πολεμο:α:ν:α:ν παρῶτων Τ:βαραηοὶ ἄχουον (კოტიორისიდან პოლემონიონის მიდამოებამდე პირველად ცხოვრობენ ტიბარენები). Mela I, 19 წერს: Tibareni chalybes attingunt, quibus in risu lusuque summum bonum est (ხალიბებს ეკვრიან ტიბარენები, რომლებიც სიცილსა და თამაშში ხედავენ უდიდეს სიკეთეს).

ამ ცნობებს გარდა ტიბარენთა ხსენება სხვაგანაც ბევრგან გვხვდება. მაგ. ჰეკატეოს მილეტელთან (ფრგ. 193), სკილაქსთან (87), ჰეროდოტესთან (III, 94; VII, 78), ქსენოფონტთან (ანაბ. V, 5, 1—3, VII, 8, 25), აპოლონიოს როდოსელთან (არგ. II, 377), სტრაბონთან (გეოგრაფ. XI, 14, 1; XII, 1, 3; 3, 18; 3, 28—29), პლინიუსთან (NH, VI, 11), პომპონიუს მელასთან. (I, 13; 106),

²⁹ ეფორეს ტექსტი ამოღებულია შემდეგი გამოცემიდან: F. Jacoby. Fragmente der griechischen Historiker, II, A: Universalgeschichte und Hellenica, Berlin, 1926, გვ. 37—109.

დიონისიოს პერიეგეტთან (767) და სხვ. ყველა ამ ცნობაში ძირითადია ტიბარენთა ლოკალიზაცია და მათი პოლიტიკური ისტორია. მას უწოდებენ ცხვრებით მდიდარ ტომს (აპოლონიოს როდოსელი, დიონისიოს პერიეგეტი): ის არის მიჩნეული სკვითურ ტომად (აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი) და მის შექვემდებარებას ლაპარაკი ჰეროდოტესთან. მათი დამოკიდებულება სიცილიისა და მხარულეების მიმართ გვხვდება მარტო ეფორესთან და მისგან მომდინარე ძეგლებში (ჩვენი პერიეგესი, მელა; ჩვენი პერიეგესიდან — ანონიმური პერიპლუსი).

ეფორესთან მეორე ასეთი ფრაგმენტი: *Frgm 161 a: Schol. Apoll. Rhod. II 1029: Ἔσθραξ ἢ Ἐσθραξ καὶ Νυμφῶναρος παρὰ τῆς τῶν Μοσσηνοῦλων, ἢ: τὴν βῆσιν ἀντὶ ἀνδρῶν τῶν κρηνοῦν ἐκλεῖσται: καὶ λῆμα γυῖσται: (გვ. 92). (მათ შესახებ, ე. ი. მოსინიკების შესახებ — მოგვითხრობენ ეფორე და ნიმფოდოროსი, რომ ისინი თავის მეფეს, რომელიც რასმე უსამართლოდ განსჯის, ჩაჰყეტავენ და აწინააღმდეგებენ). გაცილებით უფრო ვრცელი ტექსტია „პერიეგესში“ (და რასაც სიტყვა-სიტყვით იმეორებს „პერიპლუსი“, § 35 K. Müller, გვ. 410).*

900 *Μοσσηνοῦλοι...*

ἔμει: νόμοι:ξ ἔργου:ξ τε βῆσιν ἀνδρῶν τῶν κρηνοῦν
 φασ:ιν γὰρ ἐν βῆσιν:σιν ἰσχυροῦ:ξ τῶν κρηνοῦν
 πῆρ:ου:ξ ἐνο:κῆ:ιν πῆρ:ου:ξ, ἐν φανερῶ ὁ ἀέ:ξ
 ἔκαστα πῆρ:ου:ξ, τὴν ὁ ἔκαστων βῆσιν:ξ

905 *Ἐν δὲ μὲν ἐν πῆρ:ου:ξ τε στυχῆσιν:σιν*
τηρῆ:ιν ἐπ:μῆλ:ξ, τῆ:ιν ἀνδρῶν στυχῆ:ιν
ἔχου:ξ, το:ξ φροσῶν:σιν ὁ ἀντὶν ἐπ:μῆλ:ξ
εἰ:σιν, νομῆ:μαξ ἴνα πῆρ:ου:ξ πῆρ:ου:ξ πῆρ:ου:ξ

εἰ: ὁ πῆρ:ου:ξ, ἰσχυρο:σιν ἀντὶν ἰσχυρο:σιν
 910 *φασ:ιν μεγῆ:σιν, μῆ ἰσχυρο:σιν τῆ:ιν τῆ:ιν.*

(მოსინიკები, თავისი ჩვევების, კანონებისა და საჭმიანობის მიხედვით ყველაზე უფრო ბარბაროსები არიან. ამბობენ. რომ ისინი ყველანი ცხოვრობენ ხის ძალიან მაღალ კოშკებში და ყველაფერს მუდამ ცხადლივ აკეთებენ. ხოლო თავის მეფეს, შეკრულსა და კოშკში ჩაკეტულს, გულმოდგინედ იცავენ. იგი ჰყავთ სულ ზემო სათუღში, ხოლო მისი დარაჯები ზრუნავენ იმისათვის, რომ ყოველივე მისი განკარგულება კანონიერი იყოს. ხოლო თუ კი მან გადაუხვია (კანონს), ამბობენ, რომ მას უდიდეს სასჯელს ადებენ — არ აძლევენ საკმელს).

ფრ. გიზინგერს ამ ტაეპების წყაროდ მარტო ეფოროსი ჰყავს დასახელებული. ეს ცნობა ძველ ბერძენ მწერლებთან ხშირად გვხვდება. იგი აქვს: ქსენოფონტს (Anab. V, 4), სტრაბონს (XII, 3, 18), ნიკოლოზ დამასკელს (ჩვევათა კრებ., 126), დიოდორეს (XIV, 30, § 6—8) და სხვ., ასევე მეტნაკლები სისრულით. უძველესი, ცხადია, ამათ შორის არის ქსენოფონტი. დიოდორეს ცნობა მასზეა დამყარებული (ორივენი კიროსის ლაშქრობასთან დაკავშირებით გადმოსცემენ მოსინიკთა ამბავს). ხოლო ფსევდო-სკიმნოს ქიოსელისა და ნიკოლოზ დამასკელის ცნობები მსგავსად მიაჩნია E. Reimann-ს და მათ საერთო წყაროდ ეფორე ჰყავს გამოცხადებული³⁰. დაახლოებით ამავე აზრისაა Ростовцев-იც, რომელიც ერთი რიგისად მიიჩნევს ქსენოფონტს, დიოდორესა და სტრაბონს, ხოლო მეორე რიგისად, — ფსევდო-სკიმნოსს, ნიკოლოზ დამასკელს, აპოლონიოს როდოსელსა და პომპონიუს მელას (Скития и Восток, стр. 92). ჩემის დაკვირვებით ნიკოლოზ დამასკელის ცნობა ერთ ნაწილში ძალიან ახლოს არის ეფორეს ფრაგმენტთან, მაგრამ ფსევდო-სკიმნოს ქიოსელს (თუ კი ეფორეს შრომის დაკარგულ ნაწილში კიდევ სხვა რამ არ ეწერა მოსინიკებთან დაკავშირებით) დამატებითი მასალა ბევრი აქვს. მომყავს ნიკოლოზ დამასკელის ცნობა: „მოსინები თავიანთ მეფეს კოშკში დამწყვდეულს ინახავენ. თუ ვინმემ იფიქრა, რომ მეფემ ოდესმე ცუდად გადასწყვიტა საქმე, მაშინ მას შიმშილით ჰკლავენ. იმ პურს, რომელსაც ისინი სჭამენ, თანაბრად ჰყოფენ და ნაწილს საერთოდ განუკუთვნებენ მეფეს. ისინი მტრულად არიან განწყობილი მოსული უცხოელების მიმართ“ (ჩვევათა კრებ., 126).

სრულიად განსხვავებულია ნიკოლოზ დამასკელის ცნობა საერთო ქონების შესახებ. ეს ამ სახით არცერთ ავტორს არა აქვს (როსტოვეცის აზრით ის ექნებოდა ეფორეს).

აპოლონიოს როდოსელი (რომელსაც როსტოვეცი იმავე რიგისად მიიჩნევს) „არგონავტიკაში“ (II, 379—383 ტაეპები) წერს: „...მოსინიკები ცხოვრობენ ტყიან, ფერდობ მხარეში, სახლებად იშენებენ ხის კოშკებს და მაგარ ზღუდეებს, რასაც უწოდებენ მოსინებს. აქედან მიიღეს მათ თვითონაც სახელი“. ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „მოსინიკები ცხოვრობენ მთებში, „მოსინებში“, საიდანაც მიიღეს კიდევ სახელიც, მათ თავისი კანონები და ადამ-წესები აქვთ: ყველაფერი, რაც შეიძლება გაკეთდეს ცხადლივ, ხალხში ან

³⁰ Philologus. 54 (1895): E. Reimann, Que ex fonte fluxerit Nicolai Damasceni *Ἱστορίων ἐπιτομῆς συναγωγῆς*, გვ. 686—687.

მოედანზე, კეთდება სახლებში, ხოლო რასაც ჩვენ ვაკეთებთ ოთახებში (ἔν: μαῦρασις), იმას ისინი მოურიდებლად აკეთებენ სახლს გარეთ, ქუჩაში... სხვების თანდასწრებით მიწაზე გორავენ ქალებთან ერთად... ხოლო ყველაზე მაღალ მოსინში ზის მეფე და განსჯის სამართალს თავისი მრავალრიცხოვანი ხალხის (λαοῖς) მიმართ. მაგრამ ის საცოდავია: თუ მან განსჯისას დაუშვა რაიმე შეცდომა, მას ჩაჰკეტავენ და მთელ დღეს აშიმშილებენ“ (II, 1015—1031). ამ ადგილების მიმართ არის სქოლიასტის შენიშვნა: „...მოსინები ეწოდება ხის სახლებს, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ. სწორედ ამაზე გვანიშნებს პოეტი, როდესაც ამბობს, რომ ისინი „ტყიან“ მხარეში ცხოვრობენო. „მოსინის“ მიხედვით (ასე ეწოდება ხის სახლს) ეწოდებათ მათ მოსინიკები“ (II, 378).

„აშიმშილებენ იმ დღეს“ — ეფორე და ნიმფოდოროსი მოწმობენ ამას, რომ ისინი ამწყვედებენ მეფეს და აშიმშილებენ, თუ კი უსამართლოდ განსჯის რომელიმე [საქმეს]“ (II, 1029).

პომპონიუს მელა (De chorographia, § 106) წერს: „მოსინები ცხოვრობენ ხის კოშკებში, მთელი სხეული მოხატული აქვთ, ჰამენ ქუჩებში, სქესობრივი ურთიერთობა აქვთ განურჩევლად და ცხადლივ. მეფეებს ირჩევენ კენჭის ყრით, ისინი შებორკილები ჰყავთ და მათთვის მაგარი მცველები უყენიათ; როდესაც კი ისინი რაინგს დააშავებენ რაიმე უსამართლო განკარგულების გაცემით, მათ სჯიან — მთელ დღეს აშიმშილებენ. [მოსინები] უხეშები და ველურები არიან და საშიშარნი არიან მათთვის, ვინც [ნაპირს] მოადგება“.

როსტოვცევის მიერ მეორე რიგისად დასახელებულ ცნობებში უძველესია ქსენოფონტისა (ანაბასისი, V, 4, 32—34). 32... ელინებს „აჩვენეს მდიდრების მსუქანი ბავშვები. ისინი იკვებებოდნენ მოხარშული წაბლით. ძალიან ფაფუკები და თეთრი იყვნენ და სიგანე და სისქე თითქმის ერთნაირი ჰქონდათ. ზურგები მათ მოხატული ჰქონდათ, ხოლო სხეულის წინა ნაწილზე ეხატათ ყვავილები. 33. ელინებს რომ თან ჰეტერები მოჰყავდათ, მათ უნდოდათ, რომ ამ ჰეტერებს ცხადლივ დაკავშირებოდნენ, რადგან მათ ასეთი წესი აქვთ. 34. ყველა კაცები და ქალები თეთრები არიან. მოლაშქრეები ამბობდნენ, რომ ყველა იმ ხალხებს შორის, რომლებზედაც მათ გადაიარეს, ესენი ყველაზე უფრო ბარბაროსები არიან და თავისი ჩვევებით ყველაზე მეტად განსხვავდებიან ელინებისაგან: ისინი საჯაროდ აკეთებენ იმას, რასაც ხალხი ჩვეულებრივ აკეთებს ცალკე, ხოლო მარტო ყოფნისას იტყვიან ისე, თითქოს სხვათა საზოგა-

დოებაში იმყოფებიან: თავიანთ თავს ელაპარაკებიან, იცინიან და ცეკვავენ, სადაც კი მოხვდებათ, თითქოს სხევას უჩვენებენ“.

§ 26. ...„მათი მეფე ცხოვრობს მოსინში, რომელიც აგებულია ამაღლებულ ადგილზე. ის აქ უნდა დარჩეს; მას აქ ინახავენ საზოგადო ხარჯით (ბუ რეჰაჲაჲ: რაჲრეჲ: რაჲრეჲ) და იცავენ. [მეფე] არ გამოვიდა [მოსინიდან], ისევე, როგორც ის, რომელიც უწინ აღებულ სიმაგრეში იყო. ორივენი დაიწვნენ თავის მოსინებიანად“.

დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I ს-ის მეორე ნახევარი) წ:პ:გ:ა:მ:ჩ:კ:ჟ XI V, 30, 6—7 მოსინიკების შესახებ წერს: ო. „[მოსინიკები] შეგროვდნენ ერთ ადგილას, სადაც ისინი ცხოვრობდნენ შვიდსართულიან ხის კოშკებში... ეს ადგილი ყველა გამაგრებულ ადგილთა შორის მთავარი იყო და იქ ცხოვრობდა მეფე ყველაზე მაღალ ადგილას. 7. მამაპაპეული წესის თანახმად (ჰმ:ა:ჲ: რაჲრეჲ:ა:ო) ის რჩება იქ მთელი თავისი სიცოცხლე და იქიდან აძლევს განკარგულებებს თავის ქვეშევრდომებს. ჯარისკაცები ამბობდნენ, რომ ეს ხალხი ყველაზე უფრო ბარბაროსია მათ შორის, ვის [ქვეყნებზედაც] გადაიარეს, რომ ისინი ყველას დასახაზავად უკავშირდებიან ქალებს. რომ მდიდართა შვილები იკვებებან მოხარშული წაბლით და რომ ყველას ბავშვობიდანვე მოხატული აქვთ ზურგი და მკერდი“. სტრაბონი (გეოგრაფია, XII, 3, 18) ასე ახასიათებს მოსინიკებს: „ყველა ამ მთებში [იფულისხმება სკიდიისე, პარიადრე...] მოსახლენი სრულიად ველურები არიან, ხოლო აღმატებიან სხევებს ჰებტაკომეტები. ზოგიერთები ხეებზედაც კი ცხოვრობენ ან კოშკებში, ამიტომაა, რომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებდნენ, რადგანაც [ამ] კოშკებს მოსინები ჰქვიათ. იკვებებიან ნადირის ხორკით და ხილით, ჩამოდიან მაღლობებიდან და თავს ესხმიან მოგზაურებს“. „მოსინიკების მოხატულ ტანს“ ახსენებს პლინიუსი (NH, VI, 11).

ამ ყველა ცნობას რომ გადავხედოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ეფორეს აქვს არსებითად ერთი ცნობა, რომ მოსინიკები „დამნაშავე“ მეფეს აშიშვლებენ. ეს ცნობა მეორდება ჩვენს ავტორთან, აპოლონიოს როდოსელთან, ნიკოლოზ დამასკელთან და პომპონიუს მელასთან. სხვა ავტორებთან ის არ გვხვდება.

ჩვენი პერიეგეტი წერს, რომ მოსინიკები ცხადლივ აკეთებენ ყველაფერს, მაგრამ აღარ ხსნის, თუ რას აკეთებენ ისინი ცხადლივ. აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, ქსენოფონტი და დიოდორე სიცილიელი ამბობენ, რომ ისინი ცხადლივ აკეთებენ ყველაფერს და თან აღწერილია, თუ რას აკეთებენ ისინი ცხადლივ.

უსევედო-სკიმნოსი ამბობს, რომ მოსინიკები ბარბაროსები არიან და ცხოვრობენ ხის კოშკებში. ამასვე ამბობენ: აპოლონიოს როდო-სელი, პომპონიუს ნელა, ქსენოფონტი, დიოდორე, სტრაბონი.

ამგვარად, ყველა პუნქტი, რაც არის ჩვენს ავტორთან, არის აპოლონიოს როდოსელთან (იმ განსხვავებით, რომ აპოლონიოსი უფრო დაწვრილებით აღწერს, თუ რას აკეთებენ მოსინიკები ცხად-ლივ) და მათი წყარო ერთ მუხლში იყო ეფორე, სხვა მუხლები კი მათ საერთო აქვთ ქსენოფონტთან, ე. ი. ჩვენი ავტორის (და სხვათა) წყარო publicus coitus-ის საკითხში არის ქსენოფონტი.

რომ მოსინიკებს მოხატული აქვთ სხეული, ამის შესახებ სწერენ: ქსენოფონტი, პლინიუსი, მელა და დიოდორე. რომ მოსინიკები მოგზაურებს თავს ესხმიან და მათთვის საშიშარნი არიან, ამაზე სწერენ: ნიკოლოზ დამასკელი, სტრაბონი, მელა (ქსენოფონტს უფრო ვრცლად აქვს აღწერილი მათი საომარი განწყობილება). რომ ისინი (ნდიდრები მათ შორის) იკვებებიან მოხარშული წაბ-ლით, ამას სწერენ ქსენოფონტი და დიოდორე. სტრაბონის ცნობით ისინი ჭამენ ხორცსა და ხალს (თხილს, წაბლს etc.).

ერთი ცნობა — რომ მეფეს ინახავენ საერთო ხარჯით (მაგრამ ამისათვის სხვადასხვა ფორმულა არის) არის ორ ავტორთან — ქსენოფონტთან და ნიკოლოზ დამასკელთან (თუმცა როსტოვცევის აზრით, ის ექნებოდა ეფორეს და იქიდან აქვს ნიკოლოზ დამასკელს). შესაძლოა ის ეფორესაც ჰქონდა, მაგრამ ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ იმას რა ჰქონდა, როცა საამისო მასალა არ არის; ფაქტია, რომ იგივე აზრი აქვს გამოთქმული ქსენოფონტს.

პერიპეჯის ცნობები

იმ მასალას, რაც დავამუშავე „პერიპეჯის“ მიხედვით, ვერ დავარქმევთ მხოლოდ „ცნობებს საქართველოს შესახებ“ — აქ არის ცნობები საქართველოს წინაპრებზე, სკვითებზე და სხვა მეზობელ ტომებზე, როგორც ჩვეულებრივ ვაკეთებ ხოლმე ბერძენი ავტორების შესწავლისას.

ამ ცნობების დაჯგუფება ხერხდება შემდეგნაირად:

1. წმინდა გეოგრაფიული ხასიათის ცნობები.
ა. „ცვალებადი ჰავაა პონტოსთან, მის ზემოთ და აგრეთვე [იქ], რაც მის მახლობლადაა. ეს იმიტომ, რომ ის არც თოვლიანია და არც მეტისმეტად სუსხიანი და სინესტე [მასზე] მთლიანად რჩება“ (380 და შმდ.). პონტოს შესახებ ცნობები დემეტრიოს კალატიელის მიხედვით არის, როგორც ამბობს თვითონ ავტორი (718 და შმდ.).

ბ. ზედ მის პირდაპირ (იგულისხმება დუნაის შესართავი) ზღვაში
ზღვებარეობს აქილევსის კუნძული (ესაა ეგრეთწოდებული „თეთრი
კუნძული“, ეხლანდელი ფიდონისი ან გველისა) (790 და შმდ.).

ეს ქალაქები (იგულისხმება ჰერმონასა და ფანაგორია) მდებარეობენ კუნძულზე, რომელიც არის მეოტიდაზე, ვიდრე ბოსფორამდე და უკავია ვრცელი დაბლობი. ეს [კუნძული] მიუვალა, ერთის მხრივ, კაობების, მდინარეებისა და ქანკრობების გამო, რომელიც ზღვის მოპირდაპირე მხარეზე არის, ხოლო მეორე მხრივ ზღვისა და ტბის გამო* (890 და შმდ.). აქ კუნძულად გამოცხადებულია ტერიტორია, რომელიც არის შავ ზღვასა და მდ. ყუბანს შორის, რაც მოიცავს ტამანის ნახევარკუნძულსა და ზღვის სანაპიროს ნაწილს დაახლოებით ანაპამდე.

გ. დაწვრილებითაა დახასიათებული მდინარეები, რომლებიც ერთიან პონტოს — ისტროსი, ტჯრასი, ბორისთენე, ჰიპანისი, ტანაისი და სხვ. მაგ., „მდინარე ბორისთენე (ე. ი. დნეპრი) ყველა სხვაზე უფრო სასარგებლოა, რადგან [მასში მოიპოვება] დიდი თევზები, [მის ნაპირზე] მოდის ველური ნაყოფები და არის საძოვრები საქონლისათვის. მისი დინება, ამბობენ, რომ 40 დღის სავალზე არის სანაოსნო, ხოლო ამის ზემოთ [მდებარე] ადგილები არც სანაოსნოა და არც გასავლელი, რადგან თოვლი და ყინული უშლის ამაში ხელს“ (813 და შმდ.).²¹ „[მეოტიდის ტბას] ერთვის ტანაისი (ე. ი. დონი), რომელიც დინებას ღებულობს მდინარე არაქსისაგან, როგორც ამბობს ჰეკატეოს ერეტრიელი, ხოლო როგორც ეფოროსი მოგვითხრობს [ტანაისი] გამოდის რომელიღაცა ტბიდან, რომლის ნაპირიც განუსაზღვრელია. მას ორი შესართავი აქვს — ერთი (ერთვის) უკვე ხსენებულ მეოტიდას, ხოლო მეორე კიმერიის ბოსფორს“ (867 და შმდ.). ეს არაქსი დღევანდელი არაქსად არ უნდა მივიჩნიოთ, ცხადია. ჯერ კიდევ ჰეროდოტესთან ვხვდებით მდინარე არაქსს, რომელიც არის მასაგეტების ქვეყანაში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით და ერთვის კასპიის ზღვას. სპეციალისტთა აზრით (პაუელი, პაპე) ჰეროდოტე რეგს არაქსს, ამუდარიას თუ სირდარიას და ვოლგას. შესაძლოა ვოლგის განტოტებად ესმოდა პერიეგეტს ტანაისი (დონი). ტანაისს რომ სათავე ტბაში აქვს, ამას ამბობს ჰეროდოტე (IV, 57), შესაძლოა ეს ცნობა ჰქონდა ეფორესაც, რაკილა იმოწმებს მას ჩვენი ავტორი. B.II-ს შენიშვნის მიხედვით, ფსევდო-სკიმნოსი ტანაისის ორ შესართავზე რომ ლაპა-

²¹ მსგავსი ცნობა აქვს ჰეროდოტეს, ისტორია, IV, 53.

რაკობს, მას ჰიპანისი (მდ. ყუბანი) მის ტოტად წარმოუდგენია. არისტოტელე აღნიშნავს ტანაისის ორ შესართავს (Meteorol. I, 13).

2. ხალხებისა და ტომების ლოკალიზაცია. ა. ოთხი, მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით თანაბარი ტომი — ინდოელები, ეთიოპელები, კელტები და სკვითები ასე არიან მსოფლიოში განაწილებული: აღმოსავლეთით არიან ინდოელები, სამხრეთით ეთიოპელები, დასავლეთით კელტები და ჩრდილოეთით სკვითები (170 და შმდ.) ეს ცნობა მომდინარეობს ეფორესაგან (შდრ. ფრაგმ. 30), რაც მთლიანად და ვრცლად აქვს განმეორებული სტრაბონს (I, 2, 28).

ბ. „ამ [ადგილებს] ზემოთ (იგულისხმება მეოტიდა და პანტიკაპეჯონი) არის სკვითიის ბარბაროსული ქვეყანა, რომელიც ესაზღვრება დაუსახლებელ ქვეყანას, ყველა ელინისთვის უცნობს. ეფოროსი ამბობს, რომ ისტროსთან პირველები არიან კარპიდები, შემდეგ მხენელები, მათ მერე ნევრები, ვიდრე ყინების გამო უდაბურ ქვეყანამდე, აღმოსავლეთისაკენ კი, ბორისთენეზე რომ გადახვალ, ე. წ. პილეაში ცხოვრობენ სკვითები, მათ შორის ზემოთ არიან მიწათმოქმედები. შემდეგ ისევ ვრცელი უდაბური ადგილებია. ამის ზემოთ [ცხოვრობს] ანდროფაგთა სკვითური ტომი, მათ მიღმა კი ისევ უდაბური მხარეა...“ (838 და შმდ.). ჩვენი პერიეგეტი იმოწმებს ეფორეს, დამატებით შეიძლება შევნიშნოთ, რომ ჰეროდოტე, სკვითიის აღწერისას დაახლოებით ასეთსავე ცნობებს გვაწვდის (შდრ. IV, 17, 18).

გ. მცირეაზიის მოსახლეობის შესახებ შემდეგს წერს ფსევდო-სკიმნოსი: „ამ ნახევარკუნძულზე ბევრი ტომია, თხუთმეტი, რომელთაგან სამი ელინურია: ეოლიური, იონიური და დორიული, ხოლო დანარჩენები გარდა შერეულებისა, ბარბაროსულია. [ესენი არიან] კილიკიელები და ლიკიელები, მათ მიყოლებაზე კარიელები და მარიანდინები, ხოლო ზღვის ნაპირას ცხოვრობენ პაფლაგონელები და პამფილიელები. ხალიბები ქვეყნის შიგნით არიან და [ცხოვრობენ] კაპადოკიელების მახლობლად. ესენი კი ცხოვრობენ პიზიდიის ქვეყანაში. [შემდეგ არიან] ლიდიელები და მათ აკრავენ მიზიელები და ფრიგები“ (931 და შმდ.). იგივე ტექსტი შესულია ანონიმურ „პერიპლუსში“, ხოლო წყაროს ამ ადგილისათვის თვით პერიეგეტი არ ასახელებს. გიზინგერს წყარო სათუოდ დემეტრიოსი ჰგონია. სტრაბონი (გეოგრაფია, XVI, 5, 13) კი მსგავს რასმე წერს და წყაროდ პირდაპირ ეფოროსს ასახელებს: „ეფოროსი ამბობდა, რომ ეს ნახევარკუნძული დასახლებულია თექვსმეტი ტომით, რომელთაგან სამი ელინურია. ხოლო დანარჩენი ბარბაროსული, თუ არ ჩავთვლით შერეულ ტო-

მებს]. ზღვასთან არიან კილიკიელები, პამფილიელები, ლიკიელები, ბითინიელები, პაფლაგონიელები, მარიანდინები, ტროელები და კარაელები; შუა ქვეყანაში მოსახლეობენ პისიდიელები, მისიელები, ხალიბები, ფრიგიელები და მილიები. აპოლოდორე უმატებს მეჩვიდმეტე [ტომს], ამბობს, რომ ესენი არიან გალატელები, რომლებიც უფრო ახალგაზრდები არიან ეფოროსზე...“.

3. ცალკეული ტომების დახასიათება. საკუთრივ ქართველურ ტომთაგან ფსევდო-სკიპნოსი ასახელებს და ახასიათებს მოსინიაკებს, ტიბარენებსა და ხალიბებს. პირველი ორი ტომის შესახებ ზენოთ უკვე ითქვა. რაც შეეხება ხალიბებს, მათ შესახებ ის წერს: „ხალიბები ქვეყნის შიგნით არიან და [ცხოვრობენ] კაბადოკიელების მახლობლად“ (938 და შმდ.), ამას წინ უძღვის ის, რომ ზღვის ნაპირას არიან პაფლაგონელები და პამფილიელები, შემდეგ, ზღვისაგან დაშორებით, მატერიკის სიღრმეში არიან ხალიბები და სხვ. სხვა დახასიათება ხალიბებისა არ არის (ის რაც ჩვეულებრივ გვხვდება იოლმე ბერძენ და რომაელ ავტორებთან. მაგ., მათი პელითონეობა).

საინტერესოა ცნობები სკვითების შესახებ, მაგ. მდ. პანტიკაპეს (ეს უნდა იყოს დნეპრის აღმოსავლეთით, BДH-ს კომენტატორის აზრით მდ. კონკა) აღმოსავლეთით მცხოვრები ნომადები „ძალიან ღვთიწმოსავეები არიან და მათგან არავინ მოექცევა უსამართლოდ სულიერ არსებას. როგორც [ეფოროსი] ამბობს, ისინი თან ატარებენ სახლებს, იკვებებიან რძით და ცხენების მოწველვის სკვითურ წესს მისდევენ. ისინი ცხოვრობენ ისე, რომ ქონება გამოცხადებულია ყველასათვის საზოგადოდ და ისევე [საერთო აქვთ] მთელი პირადი ცხოვრების ამბებიც“ (853 და შმდ.).

ამ ცნობაში საგულისხმოა ის, რომ ეფოროსი ამჩნევს ნომადი-სკვითების ცხოვრების თავისებურებას და საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს მას.

ეფოროსის დამოწმებით ჩვენი პერიეგეტი სკვითებს შორის ყველაზე სახელოვან ტომებად მიიჩნევს: სავრომატებს, გელონებსა და ავათირსებს (862 და შმდ.) (პეროდოტეს ეს ტომები სკვითების მეზობლებად მიაჩნია: I¹, 120, 125). მეორეგან ეფოროსი სავრომატებს უწოდებს ერთ-ერთ მეოტურ ტომს, რომელსაც დემეტრიოს კალატიელი იაზამატებს უწოდებს (874 და შმდ.). ეს ტომი გარკვეულად ტანაისის (დონის) აღმოსავლეთით არის ამ ცნობის მიხედვით და BДH-ს კომენტატორის აზრით (დუნაისთან მცხოვრებ იაზიგებთან მათი დაკავშირება) მაინცდამაინც გასაზიარებლად არ მიმაჩნია. რაც შეეხება კომენტატორის მეორე შენიშვნას, ის კი საინ-

ტერსია: „Идентификация язаматов, только что названных „меотийским племенем“ с савроматами, со ссылкой на Эфора, отражает лишь ту неустойчивость племенных наименований и взаимоотношения скифо-сарматских племен, какие держали в южно-русских степях в столетия, непосредственно предшествующие началу н. э., как проявление бурных процессов этногенеза“.

ფსევდო-სკიმნოსი ცალკე ასახელებს სარმატებს, რომლებიც ტანაისთან ცხოვრობენ და უჭირავთ 2000 სტადიონი (874 და შმდ.); ე. ი. სარმატები ცალკე ტომი ჩანს და სავრომატები სხვა — მეორე დიდ ტომში, მეოთხეში შემავალი ტომი.

„სარმატები“ და „სავრომატები“, ბერძნულ მწერლობაში ხშირად გვხვდება. L. Zgusta წერს: რომ ფორმები *Σαρματῶν* და *Σαυροματῶν*: ერთი და იგივეა, ისინი ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია: *σ* *σ* (და ადარებს პარალელურ ფორმებს: *Ἄλαιοι* და *Ἄλκυοι*). საფუძველი ამ პარალელური ფორმების არსებობისა მისთვის მოლიანად ნათელი არ არის და ერთერთ ახსნად უცხო ფონემის ბერძნულად ზუსტად გადმოცემის ძიება არის მიჩნეული. ძველ ავტორებთან დამოწმებული *Σαρματῶν*-ს დაკავშირებასა და გაიგივებას *Σαρματῶν*; *Σαυροματῶν*-სთან L. Zgusta ჯერაც გაურკვეველ საკითხად აცხადებს³².

„სარმატებისა“ და „სავრომატების“ საკითხს ეხებოდა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი; იგი წერდა: „სტრაბონის და სხვ. ბერძენი ავტორების ცნობით, ჩრდილოეთ კავკასიის სინდურ-ლილურ-ლეგურ ტომებს საერთო სახელად სარმატები, ანდა უფრო ძველად საურომატები და სვრმატები ეწოდებოდა. მაშასადამე, დაცული გვქონია ის ძველი ადგილობრივი სახელი, რომელიც ყველა ამ ტომს ეწოდებოდა... [ეს სახელი] საურო-სა და მატ ისაგან შედგება. მატ-ი... უეჭველია, ენას, ანუ ტომს უნდა ნიშნავდეს... ჩრდილო კავკასიაში იყო თემი და სახელმწიფო, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი შარო-ს უწოდებს. ბერძენ-რომაელების ძველი გეოგრაფებიც აქვე სერრ-ების ტომებს ასახელებენ. სერი-ის სახით არაბთა გეოგრაფებს დალისტანშიაც ჰყავთ აღნიშნულნი, ხოლო ძველ სომხურ ისტორიულ თხზულებებში შარურ გეოგრაფიულ სახელად გვხვდება, რომელიც დღევანდლამდეც არის შერჩენილი... ე. ი. შარო-ს სახელი ყველგან ფართო ტერიტორიაზე გვხვდება; იქ სადაც სინდურ-

³² Die Personennamen griechischer Städte der nördlichen Schwarzmeerküste, Praha, 1955, გვ. 25—26: 264—265.

ლილურ-ლეგურ-ალბანური ტომები ბინადრობდნენ და 2. ეს სახელი რაღაც ზოგადი თვისებების მქონებელია.

ამნაირად საურომატების, ანუ სარმატებისა და სვრმატების სახელი ადგილობრივი სახელი ყოფილა და „შაროელთა ენის აღმნიშვნელია“³³.

ე. ი. ივ. ჯავახიშვილის აზრით „სავრომატები“ (სარმატები სვრმატები) ძველი, ადგილობრივი სახელია და ნიშნავს „შაროელთა ტომს“.

ბერძენ მწერალთაგან ზოგი „სავრომატებს“ ახსენებს (მაგ. ჰეროდოტე), ზოგი „სარმატებს“ (მაგ. სტრაბონი), ზოგი კი ორივეს „სავრომატებსაც“ და „სარმატებსაც“ (ფსევდო-სკიმნოსი, აპიანე, დიონისიოს პერიეგეტი). როგორც ვნახეთ, ფსევდო-სკიმნოსი ასხვავებს „სავრომატებსა“ და „სარმატებს“. დიონისიოსთან მაგ. ეს ორი სხვადასხვა ტომია, თუ ერთი და იგივე ტომის ორი სახელწოდება, ვერ ვიტყვით (ორივეს შესახებ წერია, რომ ისინი არიან ტერიტორიაზე, რომელიც მეოტისის მიდამოშია). აპიანესათვის „სარმატები“ და „სავრომატები“ ერთსა და იმასვე უნდა ნიშნავდეს.

ამაძონები, რომლებიც ჯერ თერმოდონტთან ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ ბრძოლების მერე მოვიდნენ მეოტი ტომების მეზობლად, ცნობილი არიან ჩვენი ავტორისათვის. ეს ამაძონები აქ შეეუღლენ სავრომატებს და ამის გამოა, რომ მათ ქალთა მიერ მართულები ეწოდებათ (941 და შმდ. 879 და შმდ.). იგივე ამბავი, მხოლოდ უფრო ვრცლად, მოთხრობილი აქვს ჰეროდოტეს (II. 110—117), რომლის აზრითაც სკვითებისა და ამაძონების შეუღლებამ წარმოშვა სავრომატები.

4. კოლონიზაცია. ჩვენს „პერიეგესისში“ ხშირად გვხვდება აღნიშვნა იმისა, რომ ესა თუ ის ქალაქი აშენებულია, დაარსებულია ან დასახლებულია ამათუიმ ადგილიდან მოსული ხალხის მიერ, სახელდობრ:

„იონიიდან დიდი რაოდენობით მოვიდნენ კოლონისტები პონტოში, რომელსაც უწინ არასტუმართმოყვარე ეწოდებოდა ბარბაროსთა თავდასხმების გამო, [ხოლო მერე] სტუმართმოყვარის სახელწოდება მიიღო“ (734 და შმდ.), ჰერაკლეა იონიელების მიერ შექმნილი კოლონიაა (919 და შმდ.). სხვაგან უფრო კონკრეტული ცნობებია. მაგ. მილეტელების კოლონიებია: ტომე (765 წ.), ისტროსი (769 და შმდ.), ტურასი (803 და შმდ.), კეპოსი (899); სინოპე

³³ „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბილისი, 1937, გვ. 624.

1950 და შმდ. სინოპესთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებითი ცნობები გვაქვს, ის დააარსეს მილეტელებმა მაშინ, როდესაც აზიას შეესია კიმერიელთა ლაშქარი, ბორისთენე (805 და შმდ. ეს ქალაქი მილეტელებმა დააფუძნეს მიდიელთა შმართველების დროს). სინან-დევილში არქეოლოგიური გათხრების მონაცემთა საფუძველზე ის ძვ. წ. VII ს-შია დაარსებული).

ჭერამონასა და ფანაგორია ტეოსელებმა დააარსეს ოდესლაც (886 და შმდ.), ამისო ფოკეელთა კოლონიაა (918 და შმდ.). ტავ-რიდის ხერსონესი ჭერაკლელებისა და დელოსელების დაარსებულ-ია (822 და შმდ. ამის შესახებ არსებობს BII-ს კომენტატორის შენიშვნა, რომ ეს ქალაქი მხოლოდ ჭერაკლეელთა დაარსებულია და რამდენადაც ფსევდო-სკიმონსი ამავე კონტექსტში მისნობას ახსენებს, მაშინ „დელოსელები“ შესაცვლელია „დელფოელებითაო“). კერასუნტი სინოპელთა კოლონიაა (912 და შმდ.). სინდური ნავ-სადგური მახლობელი ადგილებიდან მოსული ელნებით არის დასახ-ლებული (888 და შმდ.). კიმერისი — ბოსფორის ტირანების მიერ არის დაფუძნებული (897 და შმდ.).

ამრიგად, ზოგი ქალაქი უშუალოდ მოსული ბერძნების (იონიე-ლების) მიერ არის დაარსებული, ხოლო ზოგი — ამ ბერძენთაგან დაფუძნებული კოლონიების მიერ (მაგ. ხერსონესი, სინდური ნავ-სადგური, კერასუნტი). ეს ქალაქები არის შავი ზღვის დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროებზე. აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების ხსენება საერთოდ არ არის. ჩვენი ავტორი ლაპარაკობს შერეული ელინი მოსახლეობის შესახებ, რომელიც კრობიძებისა და სკვითების ქვეყნის საზღვარზე არის (756 და შმდ.). კრობიძები თრაკიული ტომია; მას ახსენებს ჰეროდოტეც (II, 49) და სტრა-ბონიც (VII, 5, 13). თუ სხვა ავტორებსაც მოვიშველებთ, ეს ტომი ისტროსსა და ბორისთენეს შორის უნდა იყოს სადღაც და ეს შერეული ბერძნული მოსახლეობაც აქ არის საძიებელი.

5. თქმულეებები. ბერძენი ავტორები (ისტორიკოსები თუ გეოგრაფოსები) ხშირად მიმართავენ ხოლმე მითოლოგიას და თავის მასალაში ურთავენ ცნობებს თქმულეებიდანაც. ჩვენი პერიგეტი უთუოდ იცნობდა არგონავტთა თქმულეებს, რაც სხვა ბერძნულ თქმუ-ლებაზე უფრო ახლოსაა ქართულ სინამდილეუსთან, მაგრამ მის მიერ დამოწმებული მასალა უფრო „ოდისეიდან“ და ტროის ციკლიდან მომდინარე ჩანს, ვიდრე უშუალოდ არგონავტთა მითიდან. ეს მასალა ასეთია: კირნოსსა (კორსიკასა) და სარდოს (სარდინიას) უწინ სირე-ნიდები და კირკეს კუნძულები ეწოდებოდათ (223 და შმდ.). ლატი-ნების მამამთავარია ლატინოსი, კირკესა და ოდისევისი შვილი,

ხოლო ავსონებისა—ავსონი, ოდისევისა და კალიფსოს შვილი (227 და შმდ.) „ამბობენ, რომ აქ [ცერბერის მიწისქვეშეთის სამისნოში] მოვიდა კირკესაგან წამოსული ოდისევისი“ (239 და შმდ.).

მე სიტყვას აღარ გაეავრძელებ „ოდისეის“ შინაარსის შესახებ, ერთს კი აღვნიშნავ, რომ ტროის ომის შემდეგ ოდისევესმა თავისი ხანგრძლივი ხეტიალის დროს ერთ ხანს თავი შეაფარა ნიმფე კალიფსოს (და მათ შესძენიათ შვილი ავსონი—ამის შესახებ თვით „ოდისეაში“ არაფერი სწერია), ამას გარდა მას მოუხდა კირკესთან შეხვედრაც—კირკე კი კოლხიდის მეფის, აეტესის და იყო. ლათინოსი რომ შვილია კირკესი და ოდისევისი, არც ეს სწერია „ოდისეაში“. ეს ცნობები მოდის ტროის ციკლის თქმულებიდან და საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჩვენი პერიეგეტი მათ იმეორებს. შეაქვს ის სასწავლო ტიპის თხზულებაში.

კირკეს (კოლხიდელი მეფის დის) დაკავშირება ლატინებთან, ე. ი. მათ წინაპრად გამოცხადება, ჩვენთვის უეჭველად საინტერესოა და გვაფიქრებინებს იმას, რომ ძველი კულტურული ხალხები იმდენად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, ისეთი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ, რომ იმდროინდელ მკვლევარებს აუცილებლად მიაჩნდათ მათი ერთმანეთთან გენეტიკური დაკავშირებაც (კირკე დაა კოლხიდელი აეტესის, მეორეს მხრივ ის დედაა ლატინთა მამამთავრის).

ასეთია ძირითადად ის ცნობები, რაც მოიპოვება ანონიმურ „პერიეგესისში“.



ANONYMI (VULGO SCYMNI CHII)

ORBIS DESCRIPTIO

ბერძნული ტექსტი ამოწერილია:

Geographi graeci minores

*e codicibus recognovit, prolegomenis, annotatione,
indicibus instruxit, tabulis acri incisus illustravit*

Carolus Müllerus

Volumen primum, Parisiis MDCCCLXXXII (1882)

შედარებულია შემდეგ გამოცემებთან: *M. Letronne,
Fragments des poèmes géographiques, Paris, 1840*

*A. Meineke, Scymni Chii periegesis et Dionysii
descriptio Graeciae, Berlin, 1846*

ἸΑΝΩΝΥΜΟΙ

(Σκύμου Χίου, ὡς φέρεται)

ΠΕΡΙΗΓΗΣΙΣ

- 170 Τὴν μὲν γὰρ ἐν τῷ ἀνατολῶν πᾶσαν σχεδὸν
οἰκοῦσιν Ἰνδοί, τὴν δὲ πρὸς μεσημβρίαν
Αἰθίοπες ἐγγύς κείμενοι νότου πνοῆς·
τὸν ἀπὸ ζεφύρου Κελτοὶ δὲ μέχρι δυσμῶν τόπον
θερινῶν ἔχουσιν, τὸν δὲ πρὸς βορρᾶν Σκυθία.
- 175 Ἰνδοὶ μὲν οὖν μεταξὺ θερινῶν ἀνατολῶν
καὶ χειμερινῶν οἰκοῦσι· Κελτοὶ δ' ἀνάπαλιν
ὑπ' ἰσημερινῆς θερινῆς τε δύσεως, ὡς λόγος*.
Τὰ μὲν οὖν ἔθνη τὰ τέτταρ' ἐστὶ τοῖς ὄχλοις
τοῖς πλήθεσίν τε τῶν κατοικούντων Ἰσα·
- 180 ἣ δ' Αἰθιόπων πλεόν' ἐστὶ χώραν** καὶ Σκυθῶν
ἐρημίαν δ' ἔχουσα πλείστην, διὰ τὸ καί
τὰ μὲν ἔμπυρ' εἶναι μᾶλλον αὐτῶν τὰ δ' ἔνυγρᾶ.
- 215 Εἴτεν μετὰ ταύτην Ταυροίαι καὶ πλησίον
πόλεις Ὀλβία καὶ ἀντίπολις αὐτῶν ἐσχάτη.
Μετὰ τὴν Λιγυστικὴν Πελασγοὶ δ' εἰσὶν οἱ
πρότερον κατοικήσαντες*** ἐκ τῆς Ἑλλάδος,
κοινὴν δὲ Τυρρηνοῖσι· χώραν ναυόμενοι.
- 222 Ἐν τῷ πόρῳ κείνται δὲ νῆσοι πελάγαι,
Κύρονες τε καὶ Σαρδοὶ, μεγίστη λεγομένη
μετὰ τὴν Σικελίαν νῆσον****, αἱ τε πρὶν ποτε
- 225 Σειρηνίδες Κίρκης τε νῆσοι λεγόμεναι.
Εἰσὶ δ' ἐπάνω μὲν τῶν Πελασγῶν Ὀμβρικοί,...

Letroune... ἀπο τῆς ἰσημερινῆς τε δύσεως, ὡς λόγος Ita cod. Vulg.
δύσεως ἡλίου.

181) πλείον ἐστὶ χώρα καὶ Σκυθῶν ἐρημίαν ἔχουσα codex; olim edebatur
πλείστην ἐστὶ χώρα κ. Σ. ἐρ. ἐχ. Correxist Meinecke... Versa sequenti propter
ἐμπυρᾶ malim ἐνωθῆναι scribi quam ἐνυγρᾶ.

უცნობი [ავტორის]

(როგორც ფიქრობენ, სკიმნოს ქიოსელის)

„დედამიწის აღწერილობა“

- 170 ქვეყნის თითქმის მთელი აღმოსავლეთის [ნაწილზე] ცხოვრობენ ინდები, ხოლო სამხრეთით, სამხრეთის ქარის მახლობლად არიან ეთიოპელები. ადგილი ზეფირიდან ვიდრე ზაფხულის [მზის] დასავალისკენ უჭირავთ კელტებს, ხოლო ჩრდილოეთისკენ—სკვითებს.
- 175 ინდები ცხოვრობენ ზაფხულისა და ზამთრის [მზის] აღმოსავალისაკენ, სამაგიეროდ კელტები — ზაფხულის ბუნიაობისა და დასავლეთისაკენ, როგორც ამბობენ. ამრიგად, ეს ოთხი ტომი თანაბარია მოსახლეობის სიმრავლისა და რაოდენობის მიხედვით.
- 180 ეთიოპებისა და სკვიტების ქვეყანა უფრო დიდია და [იქ] ვრცელი უდაბნოა. ამიტომაც, რომ ერთნი სიცხით იწვიან, ხოლო მეორენი ნესტისაგან [ლპებიან].
- 215 ამის შემდეგ არიან ტაერები და მახლობლად არის ქალაქი ოლბია. მათთვის უკიდურესი მეტოქე ქალაქი. ლიგისტიკეს შემდეგ არის პელაზგები, რომლებიც ადრევე გადმოსახლდნენ ელადიდან და ტირენებთან ერთად საერთო ქვეყანა დაიჭირეს.
- 222 ამ გზაზე მდებარეობს საზღვაო კუნძულები, კირნოსი¹ და სარდო², რომელიც ყველაზე უფრო დიდად არის აღიარებული სიკელიის კუნძულის მერე, მათ უწინ, ოდესღაც სირენიდები და კირკეს კუნძულები ეწოდებოდათ. პელასგების ზემოთ არიან უმბრები... ისინი [გულისხმობენ აქ ლატინებს—თ. ყ.] დაასახლა ლატინოსმა.

¹ კორსიკა.

² სარდინია.

** Letronne... *πλείστη* στυ χείρα.

Letronne... *καρδιχισαριες*.

*** Letronne... *ῥήσις*.

- οὓς ὄκισ' οὐκ * Κίρκης Ὀδυσσεὶ γενόμενος
 Λατίνος, Αὔσονές τε μεσόγειον τόπον
 ἔχοντες, Αὔσων οὓς συνοικίσεια δοκεῖ,
 230 Ὀδυσσέως παῖς καὶ Καλυψοῦς γενόμενος.
 239 [οὗ Κερδέρειον τι δείκνυται
 240 ὑποχθόνιον μαντεῖον· ἐλθεῖν φασί· δέ
 δεῦρο παρὰ Κίρκης ἐπανάγοντ' Ὀδυσσεά...]
 370 Θεόπομπος ἀναγράφει δὲ ταύτης τὴν θέσιν,
 ὥς δὴ συνισθμίζουσα πρὸς τὴν Ποντικὴν
 γήσους ἔχει· ταῖς Κυκλάσιν ἐμφορεστάτας,
 τούτων δὲ τὰς μὲν λεγομένας Ἀψυρτίδας
 Ἠλεκτρίδας τε, τὰς δὲ καὶ Λιβυρνίδας.
 380 ἀλλ' διαλλάττων δὲ παρὰ τὸν Ποντικὸν
 ἔστιν· ὑπὲρ αὐτοὺς, καίπερ ὄντας πλησίον·
 οὗ γὰρ νηφετώδης οὐδ' ἄγαν ἐψυγμένος,
 ὑγρὸς δὲ παντάπασιν διὰ τέλους μένει·
 559 Ἐφῆς Ἀθήναι φασὶ δ' οἰκητὰς λαχεῖν
 560 ταύτας Πελασγούς πρῶτον, οὓς δὴ καὶ λόγος
 Κραννοῦς καλεῖσθαι, μετὰ δὲ ταῦτα Κεκροπίδας,
 Κέκροπος δυναστεύσαντος, ὑστέροισι· δέ
 χρόνοις, Ἐρεχθίδος τῆς πόλεως ἡγουμένου,
 ἀπὸ τῆς Ἀθηνᾶς τὴν προσηγορίαν λαχεῖν.
 515 Ἡρόδοτος ἱστορεῖ δὲ ταῦτα συγγραῶν.
 717 ἐξῆς Μεγαρέων εὐτυχῶν Βυζάντιον.
 Μετὰ ταῦτα δ' ἔσθ' ὁ Πόντος, οὗ δὴ τὴν θέσιν·
 ὁ Καλλαντιανὸς συγγραῶν Δημήτριος
 720 ἔοικεν ἐπιμελεστάτως πεπυσμένος.
 Κατὰ μέρος αὐτοῦ τοὺς τόπους διεξιμεν.
 Τοῦ Ποντικοῦ γὰρ στόματός ἐστι πλησίον
 Βυζαντίων χώρα Φιλία** καλουμένη.

* Letronne... οὐκ.

²³² Letronne... — ἐμφορεστάτας.

²⁸⁰ Letronne... περί.

ἐξῆς Ἀθηνᾶς φασὶ οἰκητὰς λαχεῖν (non vero λαβεῖν ut editt.) ταῦτα
 Πελασγοῦ πρῶτον cod.; Meineke, nisi quod λαβεῖν in codice esse credere
 debebat. Olim e conj. Scaligeri edebatur: ἐξῆς Ἀθῆν', ἃς φασιν οἰκητὰς
 λαβεῖν τὸ μὲν Πελασγοῦς (τοὺς ἀπὸ Πελασγοῦ Letronne), πρῶτον κτλ.

²⁸¹ λαχεῖν cod.; λαβεῖν editt. Letronne... λαβεῖν.

რომელიც გაიჩინა კირკემ ოდისევსთან, ავსონებს უკირავთ ადგილი შუა ქვეყანაში; ისინი ეტყობა, ავსონმა დაასახლა, ოდისევსისა და კალიფსოს მიერ გაჩენილმა შვილმა.

239 ...სადაც უჩვენებენ ცერბერის მიწისქვეშეთის სამისნოს; ამბო-
240 ბენ, რომ აქ მოვიდა კირკესაგან წამოსული ოდისევსი.

370 ხოლო თეოპომპოსი აგვიწერს მის მდებარეობას, რომ ის¹
ყელით უკავშირდება პონტოს და იქ არის კუნძულები, რომლებიც
კიკლადებს ჰგვანან ძალიან, მათ შორის არის ე. წ. აფსირტიდები
და ელექტრიდები, აგრეთვე ლიბირნიდები.

330 ცვალებადი ჰაერი არის პონტოსთან, მათ ზემოთ და ასევე
მათთვის, ვინც მახლობლადაა, რადგან [ეს მხარე] არც თოვლიანია
და არც მეტისმეტად სუსხიანი და [ამიტომ] სინესტე მთლიანად
ჩაჩება.

559 მომდევნოა ათენი; ამბობენ, რომ მისი მცხოვრებლები პირვე-
ლად იყვნენ პელაზგები, რომლებსაც კრანაები ეწოდებოდათ, ამის
შემდეგ — კეკროპიდები, მაშინ როდესაც ძალაუფლება კეკროპს
ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ხანში, როდესაც ქალაქს განაგებდა ერეხ-
თესი, [მოსახლეობას] სახელწოდება დაერქვათ ათენას მიხედვით.

565 ამის შესახებ მოგვითხრობს აღმწერელი ჰეროდოტე.

717 მომდევნო არის ბედნიერ მეგარელთა ბიზანტიონი. ამის შემ-
დეგ არის პონტო, რომლის მდებარეობასაც კალანტიელი მწერალი
დემეტრიოსი დიდის გულმოდგინებით გვაგებინებს. მის აღგილებს
თანდათანობით აგვიწერს, პონტოს სრუტესთან მახლობლად არის
ბიზანტიური მხარე, რომელსაც ფილია ეწოდება.

¹ ადრიატიკა.

Letronne... 559. 'Εξῆς 'Αθήν' ἄς θασσι οἰκητὰς λαβεῖν τοὺς ἀπὸ Πελο-
ποῦν πρώτον...

⁷¹⁹ συγγραφεὺς apogr. Vatican. Cf. v. 565. Letronne... συγγραφεὺς.

⁷²⁰ πεπαισμένον cod.

⁷²³ Φιλία] Cf. Steph. Byz.: Φιλίας, χωρίον Βυζαντίου τὸ ἐθνικὸν Φιλιά-
της. Τινὲς δὲ Φιλίαν, ἄλλοι δὲ Φιρίαν γράφουσι. In Anonym. Peripl. Pont.
Eux. codex semel Φιλίας, semel Φιλίας habet.

** Letronne... Φιλίας.

- 730 Εἴτε' εὐλόγητος ἄκρα συνάπτει: Θυνίας,
 τῆς Ἀστυκῆς Θράκης ὑπάρχουσι' ἐσχάτη,
 μεθ' ἣν πόλις ἐστὶ σύνορος Ἀπολλωνία.
 ταύτην δὲ πρότερον ἔτεσι πεντήκοντά που
 κτίζουσι: τῆς Κύρου βασιλείας τὴν πόλιν
 εἰς τοὺς τόπους ἐλθόντες οἱ Μιλήσιοι·
 πλείστας ἀποικίας γὰρ ἐξ Ἴωνίας
 735 ἔστειλαν εἰς τὸν Πόντον, ἃν πρὶν ἄξιον
 διὰ τὰς ἐπιθέσεις λεγόμενον τῶν βαρβάρων
 προσηγορίας ἐποίησαν εὐξείνου τυχεῖν.
 Περὶ τὴν ὑπώρειαν δὲ τοῦ καλουμένου
 Ἀἴμου πόλις ἐστὶ λεγομένη Μεσημβρία,
 740 τῆ Θρακίᾳ Γετικῇ τε συνορίζουσα γῆ·
 Καλγηθόνιοι: ταύτην δὲ Μεγαρεῖς τ' ἦκισαν,
 ὅτ' ἐπὶ Σκυθῶν Δαρεῖος ἐστρατεύετο.
 Αἶμος μέγιστος δ' ἔστιν ὑπὲρ αὐτὴν ἕρος,
 τῷ Κίλικι: Ταύρω τὸ μέγεθος προσεμφερής.
 745 τῆ τε κατὰ μήκος τῶν τόπων παρεκτάσει.
 ἀπὸ γὰρ Κροβύζων τῶν τε Ποντικῶν ὄρων
 ἄχρι τῶν Ἀδριατικῶν διεκβάλλει τόπων.
 756 Ἐν μεθορίοις δὲ τῆς Κροβύζων καὶ Σκυθῶν
 χώρα μεγάλης Ἑλληνας οἰκητὰς ἔχει.
 765 Τόμοι δ' ἀποικοὶ γενόμενοι Μιλησίων,
 ὑπὲρ Σκυθῶν κύκλῳ δὲ περιεοκούμενοι:

Πόλις

- Ἴστρος ἀπὸ τοῦ ποταμοῦ λαβοῦσα τοῦνομα.
 Ταύτην τὴν πόλιν
 770 Μιλήσιοι κτίζουσιν, ἡνίκα Σκυθῶν
 εἰς τὴν Ἀσίαν στρατεύμα διέβη βαρβάρων
 τὸ Κιμμερίους διώκων ἐκ τοῦ Βοσπόρου.
 Ἴστρος ὁ ποταμός·
 κατέρχεται ἀπὸ τῶν ἐσπερίων οὗτος τόπων

⁷³² ἐστρατεύεσθε ante Meinekium: ἐστρατεύετο et codex Parisinus et apogr. Vatican: et codex Anonymi Peripl. exhibent.

⁷³⁶ „An ἦν μεθορίοις?“ Mein.

χώρας κειμένη μεγάλης Anon.

⁷⁶¹ Letronne „...ποταμοῦ ἔλαβε τοῦτο τοῦνομα.“

- 728 შემდეგ ეკერის კარგნავსადგურიანი მთები თვინიასი, რომელიც არის თრაკიის ასტიკის უკიდურესი [ნაწილი].
- 730 ამის შემდეგ მეზობელი ქალაქი არის აპოლონია, ეს ქალაქი კიროსის მეფობაზე ორმოცდაათი წლით ადრე ააშენეს ამ ადგილებში მოსულმა მილეტელებმა. იონიიდან დიდი რაოდენობით მოვიდნენ კოლონისტები პონტოში, რომელსაც უწინ არასტუმართმოყვარე ეწოდებოდა ბარბაროსთა თავდასხმების გამო, [ხოლო მერე] სტუმართმოყვარის სახელწოდება მიიღო. ჰამოსად წოდებულ [მთის] ფერდობთან არის ქალაქი, რომელსაც აქვია მესემბრია, რომელიც ესაზღვრება თრაკიის გეტების ქვეყანას. იგი დაასახლეს ქალკედონელებმა და მეგარელებმა, როდესაც დარიოსი სკვითებზე ლაშქრობდა. ჰამოსი უდიდესი მთაა მის ზემოთ, იგი სიდიდით კილიკიის ტავროსს ემსგავსება.
- 745 იგი ამ ადგილებში სიგრძეზეა გადაჭიმული, კრობიძეებიდან და პონტოს საზღვრებიდან ვიდრე ადრიატიკის ადგილებამდე მიემართება.
- 755 კრობიძეებისა და სკვითების ქვეყნის საზღვარზე არის შერეული ელნი მოსახლეობა.
- 765 ტომე მილეტელთა კოლონიაა და ირგვლივ სკვითების მიერ არის დასახლებული. ქალაქმა ისტროსმა¹ მდინარისაგან მიიღო სახელი.
- 770 ეს ქალაქი მილეტელებმა დააფუძნეს, როდესაც აზიაში გადავიდა ბარბაროსი სკვითების ლაშქარი, რომელიც კიმერიელებს სდევნიდა ბოსფორიდან². მდინარე ისტროსი. იგი მოედინება

¹ ВДН: XXI, გვ. 310. ზენიზენა: „Истрия (на монетах), также Истриополь, милетская колония, основанная по данным псевдо-Скимпа (Per. 767—772), во второй половине VII века до н. э. при устье реки Дуная (Истра) в южной части дельты“.

² იტყვ: „О походах киммерийцев и скифов в малую Азию, см. I, 15; 103 и прим. к этим местам“.

- τὴν ἐκβολὴν πέντε στόμασι ποιούμενος·
καὶ δυσι δὲ βεῖ σχιζόμενος εἰς τὸν Ἀδρίαν.
Ἀμέλει δὲ μέχρι τῆς Κελτικῆς γινώσκεται.
καὶ τῷ θέρεσι τὸν πάντα διαμμένων χρόνον
χειμῶνι μὲν γὰρ αὖξεται πλερούμενος
- 780 τοῖς γινομένοις ὄμβροισιν, ἐν δὲ τῷ θέρεσι
ἀπὸ τῆς χιόνος, ὡς φασί, τὰς ἐπιρρύσεις
τῶν τηχομένων τε λαμβάνων αἰεὶ πάγων,
τὸ βεῖθρον ἐξίησιν ὡσαύτως ἴσον.
- 785 Ἐχει δὲ καὶ νήσους ἐν αὐτῷ κειμένας
πολλὰς τε καὶ μεγάλας μεγέθεσιν, ὡς λόγος,
ὧν ἡ μεταξὺ τῆς θυλάττης κειμένη
καὶ τῶν στομάτων οὐκ ἔστ' ἐλάττων μὲν Ῥόδου,
Πεύκη δὲ λέγεται διὰ τὸ πλῆθος ὧν ἔχει.
- 790 πευκῶν ἐπ' εὐθείας κατ' αὐτὴν πελαγία
Ἀχιλλέως ἡ νήσος ἔστι κειμένη.
Ἐχει δὲ πλῆθος χειρόηθες ὀρνέων
θεῖαν ἱεροπρεπῆ τε τοῖς ἀφικνουμένοις.
Οὐ δυνατὸν ἀπὸ ταύτης δ' ἴδειν χώραν τινὰ
- 795 ναίπερ ἀπεχούσης τῆς πέραν στάδια μόνον
τετρακόσι', ὡς δὴ συγγράφει Δημήτριος.
(Οὗτοι δὲ Θρηῆκες Βαστάρναι τ' ἐπήλυδες *).
Ὁ ποταμὸς
- Τύρας βαθύς τ' ὧν εὐβοτός τε ταῖς νομαῖς,
800 τῶν ἰχθύων διάθεσιν ἐμπόροις ἔχων,
ταῖς ὀκλάσιν τε ναυσὶν ἀνάπλου ἀσφαλῆ.

⁷⁷⁸⁻⁷⁸⁴ Ἰερῶ. Herodot. IV. 50.

⁷⁸⁰ Letronne. . τοῖς γινομένοις ὄμβροισι καὶ χιόνος ἀπο, τῶν τηχομένων τε λαμβάνων αἰεὶ πάγων ὡς φασί, τὰς ἐπιρρύσεις· γὰν τῷ θέρει τὸ βεῖθρον ἐξίησιν ὡσαύτως ἴσον.

⁷⁸⁰ Letronne .. πευκῶν μετ' αὐτὴν εἰς πλαγία κειμένη Ἀχιλλέως νήσος.

⁷⁹⁴ Letronne... Οὐ δυνατὸν ἔστ' ἠπειρον ἀπὸ ταύτης ἴδειν καίπερ ἀπεχούσης στάδια τῆς χώρας ἀπο τετρακόσι'...

* Ἰθρηῆκες—Βαστάρναι—Βαστάρναι; αἱ Θρηῆκες τε Βαστάρναι τ' ἐπήλυδες; Θρηῆκες καὶ Βαστάρναι ἐπήλυδες.

¹ ВДИ-в 3750375: Обычное, начиная с Геродота, представление о пяти устьях Дуная стоит в противоречии с данными Эратосфена, знающего

დასავლეთის ქვეყნებიდან და [პონტოს] შესართავთან ჰქმნის ხუთ ტოტს¹, ხოლო [მეორეს მხრივ] ორად გაყოფილი მიედინება აღრიატიკის ზღვისაკენ. [ისტროსი] კელტების ქვეყანამდე კარგად არის ცნობილი. მთელი ზაფხულის განმავლობაში იგი უცვლელი რჩება, ზამთარში დიდდება, ავსებული წვიმებისაგან, ხოლო ზაფხულში—თოვლისაგან, და როგორც ამბობენ, იგი მუდმივად ლებულობს დამდნარი ყინულის ნაკადულებს და ამდენად მისი დინება მუდამ თანაბარია.

გადმოცემის თანახმად მასში არის მრავალი და ზომით დიდი კუნძულები, რომელთაგან [ერთი] ზღვასა და შესართავებს შორის მდებარეობს და იგი როდოსზე ნაკლები არ არის [სიდიდით]. მას ეწოდება პეკე² მასზე ფიქვების დიდი სიმრავლის გამო. ზედ მის პირდაპირ ზღვაში მდებარეობს აქილევის კუნძული³. მასზე მოიპოვება თვინიერი ფრინველების დიდი სიმრავლე, რაც მოსულებზე დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

აქედან არ შეიძლება რაიმე ხმელეთის დანახვა, თუმცა ნაპირი მისგან მხოლოდ 400 სტადიონით არის დაშორებული, როგორც გადმოსცემს დემეტრიოსი⁴. ესენი არიან თრაკიელები და მოსული ბასტარნები⁵.

მდინარე ტურასი ღრმაა და მდიდარია საძოვრებით, იგი ვაჭრებს თევზით ამარაგებს, ხოლო საბარგო ხომალდებისათვის საცუ-

только два устья (схол. к Apoll. Rhod. IV, 310), и сообщениями некоторых поздних авторов, насчитывающих их до семи. У Солина (XIII, 1) и Аммиана Марцеллина (XXII, 8, 45) сохранились названия шести из этих устьев: Певка, Наракустома, Калонстома, Псевдостома, Борнионстома, Пеплостома.

¹ ВДИ: Остров Певка, расположенный в дельте реки Дуная. *Πεύκη* — რუსულ თარგმანში არის „Сосновый“.

² ВДИ: „Остров Белый (ныне Фидониси или Зменный) в море, недалеко от устья Дуная, с известным в древности святилищем Ахилла“.

³ ВДИ: „Деметрий Каллатийский — автор географического сочинения „О Европе и Азии“ в 20 книгах, живший на рубеже III и II в. д. н. э.“

⁵ ВДИ: Бастарны — германское племя, проникшее на Балканы и к устью Дуная в начале II в. до н. э., где они грабили местные фракийские племена и позже неоднократно вступали в военные столкновения с римлянами.

- Ὀμώνυμος δὲ τῷ ποταμῷ κείται πόλις
 Τύραξ, ἄποικος γενομένη Μιλησίω.
 Ἐπὶ ταῖς δὲ καθ' Ἴπτανίν τε καὶ Βορυσθένην
- 805 ποταμῶν διπλαῖσι συμβολαῖς ἔστιν πόλις
 κτισθεῖσα, πρότερον Ὀλβία* καλουμένη,
 μετὰ ταῦθ' ὑφ' Ἑλλήνων πάλιν Βορυσθένης
 κληθεῖσα· ταύτην τὴν πόλιν Μιλήσιοι
 κτίζουσι· κατὰ τὴν Μηδικὴν ἐπαρχίαν·
- 810 διακοσίων σταδίων δὲ καὶ δις εἰκοσιν
 ἀπὸ τῆς θαλάττης τὸν ἀνάπλουον Βορυσθένης
 ἔχει ποταμῷ.
 Οὗτος δὲ πάντων ἐστὶ χρειωδέστατος,
 κήτη μεγάλα καὶ πολλὰ καὶ καρπούς φέρων
- 815 τοὺς φυόμενους νομάς τε τοῖς βοσκήμασιν,
 ῥεῖν δὲ αὐτὸν ἐπὶ μὲν ἡμερῶν λέγουσι· πλοῦν
 ὡς τετταράκοντα πλωτῶν, εἰς δὲ τοὺς ἄνω
 τόπους ἀπλωτός ἐστι· κοῦ περάσιμος·
 ὑπὸ χιόνος γὰρ καὶ πάγων ἐξείργεται.
- 820 Ἀχιλλεῖος δρόμος,
 ὅπερ ἐστὶν ἡῶν σφόδρα μακρὰ [τε] καὶ στενή··
 Ἡ Ταυρικὴ δὲ χερρόνησος λεγομένη
 τούτοις συνάπτει, πόλιν ἔχουσα Ἑλληνίδα,
 ἣν Ἡρακλεῶται Δηλίοι· τ' ἀπόκισαν,
- 825 τοῖς Ἡρακλεώταις γενομένου χρησιμοῦ τινος
 τοῖς τὴν Ἀσίαν οἰκοῦσιν ἐντὸς** Κυανέων
 ἕμα Δηλίοισι χερρόνησον οἰκίσαι

* Ὀλβία-в древнихъ документахъ упоминается Сабία.

** ἐντὸς τοῦ ὁριστοῦ ὁρισμοῦ ἐκτός.

¹ ВДИ: Тира или Тирас — Днестр. Город Тира — на месте современного Аккермана, при устье реки Днестра, на правом берегу Лимана. О его древностях см. Minns, Scythians and Greeks, стр. 186; Надписи: IOSPE, I, 2 с.т.

² ВДИ: Город Ольвия, колония Милета, именовавшаяся так всегда своими жителями (в надписях и на монетах) и называвшаяся прочими греками, начиная с Геродота, Борисфеном. Развалины города находятся на правом берегу Днепровско-Бугского лимана, близ современного села Парутина. Город основан, судя по археологическим данным, во второй половине VII в. до н. э., т. е. еще до того времени, какое указывает псевдо-Скимн (Per., 803—809).

³ ВДИ: См. характеристику реки Борисфена (Днепра) у Геродота

რაოდ უშიშარია. ამ მდინარესთანვე მდებარეობს მისი თანამოსახელე ქალაქი, ტკრასი, რომელიც მიღეტელთა კოლონიაა¹.

85 მდინარეების, ჰიპანისისა და ბორისთენეს შესართავთან ქალაქი არის დაფუძნებული, უწინ მას ოლბია ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ, ელინთა მიერ დაერქვა ბორისთენე². ეს ქალაქი დააფუძნეს მიღეტელებმა მიდიელთა მმართველობის დროს.

510 ზღვიდან [ამ ქალაქამდე] 240 სტადიონია მდინარე ბორისთენეს თუ ავყვებით ზემოთ. ეს [მდინარე] ყველა სხვაზე უფრო სასარგებლოა, რადგან დიდი თევზები [მოიპოვება მასში], [მის ნაპირზე] მოდის ველური ნაყოფები და აქვეა საქორები საქონლისათვის. მისი დინება, ამბობენ, რომ 40 დღის სავალზე არის სანაოსნო³,

815 ხოლო ამის ზემოთ [მდებარე] ადგილები არც სანაოსნოა და არც გასაველი, რადგან თოვლი და ყინული უშლის ამაში ხელს.

აქილევსის სარბიელი არის ზღვის სანაპირო, რომელიც ძალიან გრძელია და ვიწრო...⁴. ამ [ადგილებს] ემეზობლება ეგრეთ წოდებული ტავრული ხერსონესი, [სადაც] არის ელინური ქალაქი, რომელიც ჰერაკლელებისა და დელოსელების დაარსებულია, მას მერე, რაც აზიაში კიანეებს აქეთ მცხოვრებმა ჰერაკლელებმა⁵ მიიღეს მისნობა, რომ დელოსელებთან ერთად დაესახლებინათ ხერსონესი⁶.

(IV, 53), по данным которого река судоходна до области Герра на 40 дней плаванія от устья, и прим. к этому тексту.

¹ ВДИ: Отождествляется с косой Тендеровской на левой стороне Днепровско-Бугского лимана.

² ВДИ: Т. е. на берегах Понта; Кιανεями назывались скалы по обоим берегам Боспора; подразумевается Гераклея Понтийская на северном берегу Малой Азии.

³ ВДИ: Город Херсонес на Херсонесе Таврическом (т. е. в Крыму) — колония Гераклен Понтийской, основанная в V в. до н. э., находилась близ современного Севастополя на берегу Карантинной бухты. Свидетельство псевдо-Скимна об участии делосцев в основании Херсонеса является единичным и маловероятным. Поскольку дело связано с оракулom, вероятно, надо иметь в виду Дельфы, вследствие чего Brandis (RE, III, 2, ст. 2262) предлагает делосцев исправить на дельфийцев. См., впрочем, А. И. Тюменев, Херсонесские этюды, 1938, ВДИ, № 2 (3), стр. 245—275. О развалинах древнего Херсона и о его раскопках см. К. Э. Гриневич, Путеводитель по Херсонесу, С., 1924.

Τούτον εἰς τόπον τινές

- τῆς Ταυρικῆς λέγουσιν ἀφικέσθαι ποτέ
 330 κλαπέισαν Ἰφιγένειαν ἐκ τῆς Αὐλίδος...
 Εἰσὶν δὲ τοῖς ὄχλοι·σιν οἱ Ταῦροι συχνοί,
 βίον δ' ἐνόρρειον νομάδα τ' ἐζηλωκότας,
 τὴν δ' ὠμότητά βάρβαροί τε καὶ φονεῖς,
 ἱλασκόμενοι τὰ θεῖα τοῖς ἀσεβήμασιν.
- 335 Ἐπειτ' ἐπ' αὐτοῦ τοῦ στόματος Μαιώτιδος
 λίμνης τὸ Παντικαπαιόν ἐστὶν ἔσχατον,
 τοῦ Βοσπόρου βασιλείον ὠνομασμένον...
 Ἄνωθε τούτων ἢ Σκυθίς γῆ βάρβαρος
 πρὸς τὴν ἀοίκητον συνορίζουσ' ἐστὶ γῆν
- 340 καὶ πᾶσι τοῖς Ἑλλησιν ἀγνοουμένην.
 Πρώτους δὲ παρὰ τὸν Ἴστρον εἶνα: Καρπίδας *
 εἰρηκεν Ἐφορος, εἶτεν Ἀροτήρας πρόσω
 Νευρούς τε μέγρ: γῆς πάλιν ἐρήμου διὰ πάγον **,
 πρὸς ἀνατολὰς δ' ἐκβάντι τὸν Βορυσθένην
- 345 τὴν λεγομένην Ἰλκίαν *** οἰκοῦντας Σκύθας
 εἶνα:, Γεωργούς δ' ἐχομένους τούτων ἄνω,
 ἔπειτα πάλιν ἔρημον ἐπὶ πολὺν τόπον,
 ὑπὲρ δὲ ταύτην Ἀνδροφάγων Σκυθῶν ἔθνος,
 ἐπέκεινα δ' εἶνα: πάλιν ἔρημον ἐχομένην.
- 350 Ἴόν Παντικαπῆν διαβάντι Λιμναίων ἔθνος
 ἔτερά τε πλείον' οὐ διωνομασμένα,

— Post τ. 334 novum poetice fragmentum oruerunt ex Anom. p. 5H. v. 212.6 Gail., quod ap. Letronnium ita habet: 'Απ' οὖν Ἀθημαίωνος ἄχρη τῶν Αὐτῶν | Σκυθία κατοικοῦσι μετὰ ταῦτα Βόσπορος | Κιμιερίος ἐστίν. ἢ τε Κιμιερίς πόλις. | Ἐπιπέθια κεδῶν ὁμοιο τοῖς ἀπ' ἐσπέρας | ἐστὶν ἀνέμοις ἐν τῇ ὑαλάτῃ δ' ἀρτικροῦς | νῆσοι πετρώδεις οὐ πάνυ μεγάλα δύο, | δλίγον ἀπ' ἡπείρου διέχουσαι...

¹²⁸ ἢ Σκυθικῆ βασιλ. An., em. Letronn.; fort. leg. Σκυθία γῆ conj. Meiu.

* Letronne... καλιπίδας.

** Letronne... πάγων.

*** Letronne... Ὑβλίαν.

³⁴¹ διαβάντι? Meineke.

³⁴⁵ τοῖς τῆν λεγόμε. Anom., em. Meinek. Deinde Ἰβλίαν An., em. Voss. ex Herodoto.

³⁴⁶ εἶνα: δὲ γεωργούς ἐχ. An., em. Mein. Dein τοὺς τῶν ἄνω An., em. Holsten.

§28 ზოგიერთები ამბობენ, რომ ოდესღაც ტავრიკის ამ ადგილას ავლიდიდან¹ მოვიდა და დარჩა იფიგენია. ტავერები მრავალრიცხოვანი [ტომია]. მათ უყვართ მომთაბარე ცხოვრება მთებში, თავისი ველურობით ისინი ბარბაროსები და მკვლევები არიან და თავის ღეთაებებს აღმობიარებენ უწმინდური საქმეებით².

§35 შემდეგ მეოტიდის ტბის ზედ შესართავთან უკანასკნელი არის პანტიკაპეონი, წოდებული ბოსფორის [სამეფოს] რეზიდენციად³. ამ [ადგილებს] ზემოთ არის სკვითის ბარბაროსული ქვეყანა, რომელიც ესაზღვრება დაუსახლებელ ქვეყანას, ყველა ელინთათვის უცნობს.

§40 ეფოროსი ამბობს, რომ ისტროსთან პირველები არიან კარპიდები⁴, შემდეგ მხენელები⁵, მათ მერე ნევრები⁶, ვიდრე ყინვების გამო უღაბურ ქვეყანამდე. აღმოსავლეთისაკენ კი, ბორისთენეზე რომ გადახვალ ე. წ. პილეაში (ე. ი. ტყიან ადგილას—თ. ყ.) ცხოვრობენ სკვითები, მათ შორის ზემოთ არიან მიწათმოქმედები⁷, შემდეგ ისევ ვრცელი უღაბური ადგილებია; ამის ზემოთ [ცხოვრობს] ანდროფატა (ე. ი. კაციქამიათა—თ. ყ.) სკვითური ტომი⁸, მათ მიღმა კი ისევ უღაბური მხარეა.

§50 [მდინარე] პანტიკაპეს რომ გადახვალ⁹, [არის] ლიმნების (ე. ი. ტბის მცხოვრებთა—თ. ყ.) ტომი¹⁰ და სხვა მრავალი [ტომი],

¹ ВДИ: Легенду об Ифигении в Тавриде см. Eur. Iph. Taur. О культуре Ифигении на берегах Черного моря см. прим. к отрывкам из этой трагедии.

² ВДИ: О таврах см. Her. IV, 99 и Scyl. 63 и прим. к этим текстам.

³ ВДИ-ს შენიშვნა: На месте современного города Керчи. Об остатках древнего города и их раскопках см. Ю. Марти, Путеводитель по древностям города Керчи. V., 1926.

⁴ ВДИ-ს შენიშვნა: Карпиды должны быть идентичны геродотовым каллипидам (IV, 17), переименованные которых в карпидов у псевдо-Скимна или у Эфора произошло, вероятно, не без влияния имени карпов, дакийского племени, засвидетельствованного в Мезии, на Дунае.

⁵ ВДИ-ს შენიშვნა: О скифах-пахарях см. Her. IV, 17 и прим. к этому месту.

⁶ ВДИ-ს შენიშვნა: О неврах см. Her. IV, 17 и прим. к этому месту.

ВДИ: О скифах-земледельцах см. Her. IV, 18 и прим. к этому месту.

⁸ ВДИ: Об андрофагах см. Her. IV, 18 и прим. к этому месту.

⁹ ВДИ: О реке Пантикапе см. Her. IV, 18, 19, 47; а о ее локализации прим. к этим текстам.

¹⁰ ВДИ: О племени лимнеев в Скифии из других источников ничего не известно, ср., впрочем, упоминавшие о городе Лимне в стране экехеирийцев (Scyl. 83).

Νομαδικὰ δ' ἐπικαλούμεν' εὐσεβῆ πᾶνυ,
 ὦν οὐδὲ εἰς ἔμψυχον ἀδικήσαι ποτ' ἄν
 οἰκοφόρα δ' ὡς εἶρηκε, καὶ σιτούμενα
 855 γάλακτι ταῖς Σκυθικαῖσι θ' ἱππομολγίαις
 ζῶσιν δὲ τήν τε κλήσιν ἀναδεδειχότες
 κρινῆν ἀπάντων τήν θ' ὄλην συνουσίαν.
 Καὶ τὸν σφῶν δ' Ἀνάχαρσιν ἐκ τῶν Νομαδικῶν
 φησὶν γενέσθαι τῶν σφῶν εὐσεβεστάτω.

860 Καὶ κατοικήσαί τινας
 εἰς τὴν Ἀσίαν ἐλθόντας, οὓς δὴ καὶ Σάκας,
 καλοῦσιν' εὐσημότατον εἰναί, φησι δὲ
 τὸ Σαυροματῶν καὶ τῶν Γελωνῶν καὶ τρίτον,
 τὸ τῶν Ἀγαθύρων ἐπικαλούμενον γένος.
 865 Ἀπὸ τῶν δὲ Μαιωτῶν λαβούσα τούνομα
 Μαιώτις ἐξῆς ἐστὶ λίμνη κειμένη,
 εἰς ἣν ὁ Τάναϊς
 ἀπὸ τοῦ ποταμοῦ λαβὼν τὸ ρεῦμα Ἀράξεως
 ἐπιμίσηθε' ὡς Ἐκαταῖος εἶφ' οὐρετριεῦς,
 870 ὡς δ' Ἐφορος ἱστορήκεν, ἐκ λίμνης τινοῦς
 ἦς τὸ πέρας ἐστ' ἄφραστον. Ἐξίησι* δὲ
 δίστομον ἔχων τὸ ρεῖθρον εἰς τὴν λεγομένην
 Μαιώτιν εἰς τὸν Κιμμερικόν τε Βόσπορον.

[A Σ I A]

875 Τὸν Τάναϊν, ὅστις ἐστὶ τῆς Ἀσίας ὄρος,
 τέμνων γε τὴν ἤπειρον ἑκατέραν δίχρα,

⁸⁵⁷ τὴν θ' ὄλην οὐσίαν An., τὴν τε σύνολον οὐσίαν Letronnius; quod neque facile neque aptum dicit Meinekius, quum κτήσις et οὐσία non differant (ipse dedit τὴν ὄλην συνουσίαν, conjecturam firmans ex Ephoro ap. Strabon VII, p. 303: ταῖς διαίταις εὐτελεῖς ὄντες καὶ οὐ χορηματισταὶ πρὸς τὴ ἀλλήλους εὐνομοῦνται κοινὰ πάντα ἔχοντες τὰ τε ἄλλα καὶ τὴν ὄλην αὐργίειαν. De familia vero etiam συνουσία vox usurpatur.

⁸⁶¹ Σάκας pro Σάκας Anom.; em. Holstenius.

⁸⁶² τὸ τῶν Σαυροματῶν καὶ Γελ. col.; em. Meineck.

⁸⁶⁶ ῥεῦμα ῥάξεως ἐπιμιγέσθω ἑκατέως ἐφοριεῖς Anom.; em. Buttman in Niebuhr. Opusc. I, p. 397.

⁸⁷¹ ἔξεισι δὲ An.; em. Meineck. Letronne ἔξεισι.

რომელთაც საკუთარი სახელები არა აქვთ, არანედ ნომადები (ე. ი. მომთაბარეები—თ. ყ.) ეწოდებათ; ისინი მეტისმეტად ღვთისმოსავეები არიან, ზათვან არცერთი არ მოეცქევა არასოდეს უსამართლოდ სულიერ [არსებას]. როგორც [ეფუროსი] ამბობს, ისინი თან ატარებენ სახლებს და იკვებებიან რძით და სკვითური წესით წველავენ ცაენებს¹. ხოლო ისინი ცხოვრობენ ისე, რომ ქონება გამოცხადებულია ყველასათვის საერთოდ და ასევე [საერთო აქვთ] პირადი ცხოვრების ამბებიც². იგი ამბობს, რომ ბრძენი ანაქარსისი ამ ნომადთაგან იყო, ყველაზე მეტად ღვთისმოსავთაგან. ზოგიერთები მათგან მოვიდნენ აზიაში და იქ დასახლდნენ, მათ უწოდებდნენ საკებს³. იგი ამბობს, რომ ყველაზე სახელოვანი მათ შორის იყო [ტომები] სავრომატებისა⁴, გელონებისა⁵ და მესანე, ეგრეთწოდებული ავათირსების ტომი⁶.

მეოტთაგან⁷ მიიღო სახელი მეოტიდის ტბამ, რომელიც მათ მიყოლებაზე მდებარეობს. [ამ ტბას] ერთვის ტანაისი, რომელიც დინებას ღებულობს მდინარე არაქსისისაგან, როგორც ამბობს ჰეკატაეოს ერეტრიელი⁸, ხოლო, როგორც ეფუროსი მოგვითხრობს, [ტანაისი გამოდის] რომელიღაცა ტბიდან, რომლის ნაპირიც განუსაზღვრელია. მას ორი შესართავი აქვს—ერთი [ერთვის უკვე] ხსენებულ მეოტიდას, ხოლო მეორე კინერიის ბოსფორს⁹.

[ა ზ ი ა]

[მდინარე] ტანაისზე, რომელიც არის აზიის საზღვარი და ჰყოფს [ამ] ხმელეთს ორად, პირველები ცხოვრობენ სარმატები¹⁰

¹ ВДИ: О скифах-галактофагах и гиппомолах см. Ном., II., XII, 5 сл. и схол. к этим стихам, а об историческом смысле идеализации скифских общественных отношений в греческой художественной и историко-философской литературе — прим. к этим текстам.

² რუსულ თარგმანში... „считают имущество и весь семейный скарпий общим“.

³ ВДИ: О саках см. прим. к Хеп., Сут. V, 3, 24.

⁴ ВДИ: О савроматах см. Нег. IV, 110 сл. и прим. к этому тексту.

⁵ ВДИ: О гелонах см. Нег. IV, 102 сл. и прим. к этой главе.

ВДИ: Об агафирсах см. Нег. IV, 101 и прим. к этой главе.

⁷ ВДИ: О меотах см. прим. к Севл. § 71.

⁸ ВДИ: О Гекатае Эретрийском, одном из историков Александра Македонского, см. во введении к его фрагментам.

ВДИ: Из этих слов следует, что псевдо-Скимн представлял себе реку Кубань (в древности Гипанис) в качестве рукава реки Дона.

¹⁰ ВДИ: О наименовании „сарматы“ см. прим. к Ps. Севл. § 62.

πρώτοι νέμονται Σαρμάται, δι:σχίλια
στάδι' ἐπέχοντες.

Ἔττα μετὰ τούτους ἐστὶ Μαιωτῶν γένος
'Ἰαζαματῶν λεγόμενον, ὡς Δημήτριος

84) [δ' συγγραφεὺς] εἶρηκεν, ὡς δ' Ἐφρορος λέγει
Σαυροματῶν λέγεται ἔθνος.

Τούτοις ἐπιμεμίχθαι δὲ τὰς Ἀμαζόνας
τοῖς Σαυρομάταις λέγουσιν ἐλθούσας ποτὲ
ἀπὸ τῆς περὶ Θερμῶδοντα γενομένης μάχης,

885) ἐφ' οἷς ἐπεκλήθησαν Γυναϊκοκρατούμενοι.

Ἔτ' ἐστὶν Ἐρμώνασσα Φαναγόρειά τε,
ἦν Τηῖους λέγουσιν οἰκίσαι ποτέ,
καὶ Σινδοκὸς λιμὴν, ἔχων οἰκήτορας
Ἐλλήνας ἀπὸ τῶν ἐγγύς ἦκοντας τόπων.

890) Ταύτας περιέχει τὰς πόλεις διακειμένας
νήσος, κατὰ τὴν Μαιωτῶν ἄχρι τοῦ Βοσπόρου
χώραν ἀπολαμβάνουσα πολλὴν πεδιάδα,
ἦτις τὰ μὲν τοῖς ἔλεσι καὶ τοῖς ποταμίσι *

ἀδιάβατος τοῖς τενάγασίν τ' ἐν τῷ πέραν,

895) ἃ δὲ τῇ θαλάττῃ τῇ τε λιμνῇ γίνεται.

Τὸ δὲ στόμ' ἐκπλέοντι Κιμμερῖς πόλις,
ἀπὸ Κιμμερίων μὲν βαρβάρων κεκλημένη,

⁸⁷⁹ Letronne... Ἰαζαματῶν.

⁸⁸⁰ εἶρηκεν, ὡς Μαιωτὶς ἡ λιμὴν ἔχειται ὡς δ' Ἐφρορος ἱστορεῖ, Σαυροματῶν ἔθνος τούτοις ἐπιμεμίχθαι δὲ τὰς Ἀμαζόνας.

* Letronne... ποταμίσι.

¹ ВДН: О язаматах или яксаматах позднейших авторов — скифо-сарматского племени, идентичном иксендатам, упоминаемому у Гекатея Милетского и, может быть, близком язигам, известным на Дунае, см. прим. к Нс. Фр. 166.

² Идентификация язаматов, только что названных „местнииским племем“ с савроматами, со ссылкой на Эфора, отражает лишь ту неустойчивость племенных наименований и взаимопроникновение скифо-сарматских племен, какие царили в нижне-русских степях в столетия, непосредственно предшествующие началу н. э., как проявление бурных процессов этногенеза.

რომელთაც უჭირავთ 2000 სტადიონი. ამათ შემდეგ არის მეო-
ტების ტომი, იაზამატები¹, როგორც აღმწერელი დემეტრიოსი
880 ამბობს, ხოლო ეფოროსი ამბობს, რომ მათ სავრომატთა ტომი
ეწოდებაო². ამ სავრომატებს, ამბობენ, რომ შეუუღლდნენ ამადონ-
ები, რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ თერმოლონტთან მოპიდარი
ბრძოლის შემდეგ.

885 ამის გამო იყო, რომ ეწოდათ მათ ქალთა მიერ ძლეულები.
შემდეგ არის ჰერმონასა და ფანაგორია, რომელზედაც ამბობენ,
რომ ის ოდესღაც დააარსეს ტეოსელებმა, და სინდური ნავსად-
გური³, რომლის მოსახლეებიც არიან ელინები, მახლობელი ადგი-
ლებიდან მოსულები.

890 ეს ქალაქები მდებარეობენ კუნძულზე, რომელიც არის მეო-
ტიდაზე, ვიდრე ბოსფორამდე და უკავია ვრცელი დაბლობი. ეს
[კუნძული] მიუვალა ერთის მხრივ კაობების, მდინარეებისა და
ქანკრობების გამო, რომლებიც [ზღვის] მოპირდაპირე მხარეზე
არის, ხოლო მეორე მხრივ ზღვისა და ტბის გამო⁴.

895 შესართავთან რომ გამოხვალ არის ქალაქი კიმერიის⁵, ბარბა-
როსი კიმერიელების მიხედვით წოდებული; იგი ბოსფორის ტირა-

¹ ВДИ: О названных выше пунктах см. прим. к Ps. Seyl. § 72. и Нер. фр. 161. 196. სკელაქსის ტექსტში არის ასეთი შენიშვნა: Город Фанагора (=Фанагория) на Таманском полуострове (у других авторов не считается скидским городом) представлял собой крупнейшее греческое поселение азиатской части Боспорского царства.

Скидская гавань — греческий порт на берегу Черного моря в районе Анапы (древней Горгиппии, может быть, порт самой Горгиппии, именно поэтому и не упомянутый в перс. пл. Ср. К. Герц, Археологическая топография Таманского полуострова. М., 1870.

Скиды — племя, подвластное боспорскому царю, жившее между нижним течением реки Кубани (Гипанис) и Черным морем.

⁴ ВДИ: „Островом“ псевд-Скимии называет в данном случае пространство между Черным морем и течением реки Кубани, обнимающее Таманский полуостров и часть северо-Кавказского побережья до Анапы включительно. О рсшительном применении понятия „остров“ в древности см. также прим. к Ном., Од., X, 183 сл. и схол. к этому месту.

⁵ ВДИ: Этот пункт упоминается также у Страбона под названием Киммерик и должен быть локализован около Тамани (Фонтановский полуостров). Одноименный пункт (Киммерийон) известен также и на Крымской стороне Босфора (Ptol. III. 6, 6: Meli., I, 16). О киммерийцах см. Нер. I. 15; 103 и прим. к этим текстам.

κτίσις τυράνων δ' οὐσα τῶν ἐν Βοσπόρῳ,
Κηπός τ' ἀποικισθεῖσα διὰ Μηλσίων.

900

...Μοσσύνοικοι...

ἔθεσι νόμοις ἔργοις τε βαρβαρώτατοι*
φασὶν γὰρ ἐν ξυλίνοισιν ὑψηλοῖς τ' ἄγαν
πύργοις ἐνοικεῖν πάντας, ἐν φανεροῖ δ' ἀεὶ
ἐκκιστὰ πράττειν, τὸν δ' ἐαυτῶν βασιλέα.

905

θεδεμένον ἐν πύργῳ τε συγκακλεισμένον
τρεῖν ἐπιμελῶς, τὴν ἀνοιάτω στέγην
ἔχοντα, τοῖς φρουροῦσι δ' αὐτὸν ἐπιμελῆς
εἶναι, νομίμως ἵνα πάντα προστατῆ ποιεῖν

δὲ παρρησίῃ, κόλασιν αὐτοῦ λαμβάνειν
φασὶν μεγίστην, μὴ διδόντας τὴν τροφήν.

910

Κερκασοῦς Σινωπέων ἄποικος

καθ' ἣν ἔρημος κειμένη

παρήκει· νῆσος Ἄρεως λεγομένη.

Τιβερηνοὶ ἴθικον ἔθνος ὁμοχώριον,

915

γέλων πάνυ σπεύδοντες ἐκ παντὸς τρόπου,
εὐδαίμονίαν ταύτην [μεγίστην] κεκρικότεας.

Αμισός ἐν τῇ Λευκοσύρων γῆ κειμένη

Φωκαέων ἀποικία,

τίτταροι πρότερον ἔτεσιν οἰκισθεῖσα γὰρ

920

τῆς Ἑρακλείας ἔλαβ' Ἴωνικήν κτίσιν.

Κατὰ τὴν πόλιν ταύτην δὲ τῆς Ἀσίας σχεδὸν

στενότατος ἀύχην ἔστιν εἰς τὸν Ἰσσικόν

κόλπον διήκων τὴν τ' Ἀλεξανδρούπολιν,

τῷ Μακεδόνι κτισθεῖσαν· ἡμερῶν δ' ὁδὸν

925

εἰς τὴν Κιλικίαν ἑπτὰ τῶν πεσῶν ἔχει·

τὸ τῆς Ἀσίας λέγεται· γὰρ ἰσημιθέστατον

εἰς τὸν περὶ αὐτὸν ὄντα συνάγεσθαι μυχόν.

Ἴ(ο) δ' Ἑρόδοτος ἔοικεν ἀγνοεῖν, λέγων

ἐν τῆς Κιλικίας [ἀνδρὶ γ' εὐζώνῳ μολεῖν

Meineke ... οἱ Μόσσοι λεγόμενοι ἔθεσι νόμοις ἔργοις τε βαρβαρώτατοι
900 v. 8. 901 ἴθικαι ὁμοῖς. ἔργοις βαρβαρικοῖς Anom., em. Holstenius et Let-
ronnius.

*11 Letronne ...Κερκασοῦς ...καθ' ἣς ἔρημος κειμένη.

Meineke 914. Τιβερηνοὶ ...ὁμοχώριοι

*16 [μεγίστην] εἶδος.

Letronne ἐκ τῆς Κιλικίας εἰς' ὁδὸν πείθ' ἡμερῶν εἰς Πόντον.

Meineke 929—931 εἶδος.

ნების მიერ არის დაფუძნებული და [იქვეა] კეპოსი¹, მილეტელთა მიერ დაარსებული.

900

მოსინიკები...

თავისი ჩვევების, კანონებისა და საქმიანობის მიხედვით ყველაზე უფრო ბარბაროსები [არიან]. ამბობენ, რომ ისინი ყველანი ცხოვრობენ ხის ძალიან მაღალ კოშკებში და ყველაფერს მუდამ ცხადლივ აკეთებენ. ხოლო თავის მეფეს შეკრულსა და კოშკში ჩაკეტილს, გულმოდგინედ იცავენ; იგი ჰყავთ სულ ზემო სართულში, ხოლო მისი დარაჯები ზრუნავენ იმისთვის, რათა ყოველივე მისი განკარგულება კანონიერი იყოს. ხოლო თუკი მან გადაუხვია [კანონს], ამბობენ, რომ მას უდიდეს სასჯელს ადებენ — არ აძლევენ საკმელს². კერასუნტი, სინოპელთა კოლონია; აქამდე ვრცელდება უდაბური კუნძული, რომელსაც არესისა ეწოდება.

915

მეზობლად ცხოვრობდა ტომი — ტიბარნები. ისინი ძალიან ცდილობენ, ყოველნაირად, რომ იცინონ, რადგან ეს კარგი მდგომარეობის მომასწავლებლად მიაჩნიათ³. ამისო ლევკოსირების ქვეყანაში მდებარე ფოკეელთა კოლონიაა. იგი ოთხი წლით ადრე დასახლდა, ვიდრე იონიელებმა შეჰქმნეს კოლონია პერაკლეაში. ამ ქალაქის ქვემოთ არის აზიის უეიწროვესი ყელი, რომელიც ისიკოსის უბისკენ ვრცელდება — მაკედონელის მიერ აშენებული ალექსანდრუპოლისკენ. [აქედან] სრული შვიდი დღის სავალი გზა არის კილიკიამდე.

925

ამბობენ, რომ ამ ადგილს აზიის ყელის შესახედაობა აქვს და მას მიჰყავს მასთან არსებულ უბემდე. პეროდოტეს ემლება, როდესაც ამბობს, რომ მსუბუქად შეიარაღებული კაცი კილიკიიდან პონტონში გზას ხუთ დღეში გაივლისო.

¹ ВДН: Обычно в множественном числе Керы (Сады): об этом пункте см. прим. к Aesch., contra Ctes., § 171.

² ВДН: О мощниках и их образе жизни см. подрубное Хел., Ан., V. 4, § 1 сл. к данным которого и восходит в конечном счете повествование псевдо-Скимна (ср. Diol., XIV, 30) и прим. к указанным текстам.

³ ВДН: О Керасунте и об острове Ареса см. схол. и прим. к Apoll. Rhod., II, 373-сл. О тибаренах и их обычаях см. Хел., Ан. V. 5, § 1 сл.

- 930 πένθ' ἡμερῶν εἰς Πόντον εἶναι τὴν ὁδόν.
 Ἔθνη δ' ἔχει: τὰ πάντα] πεντεκαίδεκα
 ἢ χειρρόνησος, ὧν τρία μὲν Ἑλληνικά,
 Αἰολικὸν εἶπ' Ἴωνικὸν καὶ Δωρικόν,
 τὰ λοιπὰ τῶν μιγάδων δὲ χωρὶς βάρβαρα
- 935 Κίλικες μὲν οὖν Λύκιοί τε πρὸς τοῦτοισι ἕμα
 Κᾶρες Μαριανδυνοί τε παραθαλάττιοι
 οἰκοῦσι· Παφλαγόνες τε καὶ Παμφύλιοι·
 Σάλυβες δὲ τὴν μεσόγειον οἱ τε πλησίον
 Καππάδοκες οἱ τε νεμόμενοι τὴν Πισιδίην
- 940 Λυδοί τε καὶ πρὸς τοῖσδε Μυσοί καὶ Φρύγες.
 Εἶπεν Σινώπη πόλις ἐπώνυμος μᾶς
 Ἄμαζόνων, ὧν πλησίον τὸ χωρίον,
 ἦν ποτε μὲν ἦκουν εὐγενεῖς ὄντες Σύροι,
 μετὰ ταῦτα δ' ὡς λέγωσιν. Ἑλλήνων ἕστοι
- 945 ἐπ' Ἄμαζόνων διεβήσαν, Αὐτόλυκός τε καὶ
 σὺν Δηλέοντι Φλόγιος, οἵτινες Θετταλοί,
 ἔπειτα δ' Ἀβρώνδας γένει Μιλήσιοι·
 ὑπὸ Κιμμερίων οὗτος δ' ἀναρρεῖσθαι δοκεῖ·
 μετὰ Κιμμερίουσ Κῶος, πάλιν δὲ Κρητίνης,
- 950 οἱ γινόμενοι φυγάδες ὄρων Μιλησίων·
 οὗτοι συνοικίζουσι δ' αὐτήν, ἠνίκα
 ὁ Κιμμερίων κατέδραμε τὴν Ἀσίαν στρατός.
 Καταντικρὺ δὲ Καράμβεως ἐν τῇ πέρην
 κεῖται μέγιστον
- 955 ἀπότομον εἰς θάλατταν ὑψηλὸν τ' ὄρος,
 Κριῶ μέτωπον λεγόμενον,
 νυχθήμερον πλοῦν ἀπέχον ἐκ Καράμβεως.

⁹³¹ Letronne *χρησία*.

⁹³² Letronne *Μάκασος, Μαριανδηνοί*.

⁹³³ Letronne *Κρητίνης*.

ამ ნახევარკუნძულზე ბევრი ტომია, თხუთმეტი, რომელთაგან სამი ელინურია: ეოლიური, იონიური და დორიული, ხოლო დანარჩენები შერეულთა გარდა, ბარბაროსულია.

[ესენი არიან] კილიკელები და ლიკიელები. მათ მიყოლებაზე კარიელები და მარიანდინები, ხოლო ზღვის ნაპირას ცხოვრობენ პაფლაგონელები და პამფილიელები. ხალიბები ქვეყნის შიგნით არიან და [ცხოვრობენ] კაპადოკიელების მახლობლად. [კაპადოკიელები] კი ცხოვრობენ პიზიდიის ქვეყანაში.

[შემდეგ არიან] ლიდელები და მათ აკრავენ მიზიელები და ფრიგები. შემდეგ არის ქალაქი სინოპე, ერთი ამადონის თანამოსახელე, [ამადონთა] მახლობლად გამაგრებული ადგილი. ამ [ქალაქში] ოდესღაც ცხოვრობდნენ კეთილშობილი სირიელები, ხოლო ამის შემდეგ, როგორც ამბობენ, ელინთაგან [ცხოვრობდნენ] ისინი, ვინც ამადონებზე გადაიარეს. [ესენი იყვნენ] ავტოლიკოსი და ფლოგიოსი დეილეონტთან ერთად, რომლებიც თესალიელები არიან, შემდეგ კი ჰაბრონდა, წარმოშობით მილეტელი. ფიქრობენ, რომ ის კიმერიელთა მიერ იქნა მოკლული. კიმერიელთა შემდეგ კოსი, შემდეგ კრეტინე, რომლებიც მილეტელთა საზღვრებიდან იყვნენ ლტოლვილნი. ამათ დაასახლეს [სინოპე], როდესაც კიმერიელთა ლაშქარი აზიას თავს დაესხა. კარამბისის პირდაპირ [ზღვის] საპირისპირო ნაპირზე მდებარეობს დიდი და მაღალი მთა, რომელიც ზღვისკენ ციცაბოდ [ეშვება].

მას კრიუმეტოპონი (ე. ი. ვერძის წებლი—თ. ყ.) ეწოდება და ის დამორებულია კარამბისისაგან [ერთი] დღე-ღამის საზღვაო სავალზე ¹.

¹ ВДИ: Карамбис — современный Керемпе-бурну, небольшой мыс на пѣлагоном побережье, расположенный приблизительно напротив Крымского полуострова (несколько западнее). Бараний лоб отождествляется со скалой Ай-Тодор к западу от Ялты, на которой находилась римская крепость Харакс.

დონისიოს ჰერეკეტი

თანამედროვე მეცნიერებაში დიონისიოს პერიეგეტი მაინცაღა-
 მაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. იგი სპეციალური
 კვლევის საგანი კარგახანია არავისთვის გამხდარა არც ჩვენში და
 არც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მისი ცნობებით ანტიკური
 ხანის საქართველოს შემსწავლელნი შეიძლება ითქვას, რომ არ სარ-
 გებლობენ მაშინ, როდესაც ბევრი ბერძენი და რომაელი ავტორი
 (როგორცაა ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, დიონ კასიუსი,
 პლინიუსი, ტაციტუსი და სხვ.) საქართველოს ისტორიის საკითხე-
 ბის კვლევისას აუცილებელ წყაროს წარმოადგენს ხოლმე.

მაგრამ დიონისიოს პერიეგეტის ხედრი ყოველთვის ასეთი არ
 ყოფილა. ის გარემოება, რომ ცნობილმა ბიზანტიელმა მოღვაწემ,
 ვესტათი თესალონიკელმა ჰომეროსისა და პინდარეს გვერდით
 დიონისიოსის ნაწარმოების კომენტარებიც დაწერა, იმის მუწყე-
 ბელია, რომ ანტიკურსა და ბიზანტიურ ხანებში ამ ავტორს დიდი
 მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამის დამადასტურებელია ის გარემოებაც,
 რომ სტეფანე ბიზანტიონელი მას ხშირად იყენებდა.

ბიოგრაფია

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს შესახები
 ცნობები ნაწარმოებში: *Οἰξασμῆτης Περσῆγης* („დედამიწის აღწე-
 რილობა“), რომლის ავტორის, დიონისიოსის საკითხი უძველეს
 ხანაშიც დასადგენი იყო.

მაგ., ლექსიკოგრაფ სვიდას მოხსენიებული ჰყავს ერთი ეპოქის
 სამი დიონისიოსი, რომელთაც *Οἰξασμῆτης Περσῆγης* აქვთ დაწე-
 რილი¹. ესენი არიან: *Δἰοῦστος Κερῆς*; *ἔπιπαιος* (დიონისიოს
 კორინთელი, ეპიკოსი); *Δἰοῦστος Μελῆς*; *Ἰσθαιος* (დიონისიოს
 მილეტელი, ისტორიკოსი); *Δἰοῦστος Μουσωνίος*, *Ῥόμιος* ἢ *Σάμιος*,
Ἰσθαιος (დიონისიოს მუსონიოსის ძე, როდოსელი ან სამოსელი,
 ისტორიკოსი). *Περσῆγης*-ის ავტორად არ ცხადდება, მაგრამ აქვე
 სვიდასთან არის მოხსენიებული კიდევ ერთი დიონისიოსი — *Δἰοῦσ-*

¹ Suidae Lexicon edidit Ada Adler, Pars II, Lipsiae 1931, გვ. 110,
 №№ Hesy 1177, 1180, 1181.

თაჲ 'Αλεξανδρῆς, ὁ Πλάκωσ σὶδῆ, γρᾶμματιζὸς (დიონისიოს ალექსანდრიელი, გლავკოსის ძე, გრამატიკოსი), რომელიც სავარაუდო ავტორთა რიგს განეკუთვნება და რომელიც რომში იყო ბიბლიოთეკარად და კეისრის მდივნად ნერონის ხანიდან ტრაიანემდე².

დიონისიოსის „აღწერილობის“ სქოლიასტს უფრო დაწვრილებითი ცნობები აქვს ავტორის შესახებ: „Διοσυσος ὁ περὶ ἡγεῖν γέγονεν σὶδῆ Διοσυσίου Ἀλεξανδρῆως· γέγονε δὲ ἐπὶ τῶν Ῥωμαίων ἡρώων μετὰ Ἀβγυστον Καίσαρα ἢ ἐπὶ αὐτοῦ· φέρονται δὲ αὐτὸν καὶ ἄλλα σαγγρᾶμματα, Λιθιακὰ τε καὶ Ὀργισιακὰ καὶ Βασσαρικὰ.“³ (დიონისიოს პერიეგეტი იყო შვილი დიონისიოს ალექსანდრიელისა. იგი ცხოვრობდა რომაელთა ხანაში ავკუსტუს კეისრის შემდეგ ან მის დროს. ჰქონდა მას სხვა ნაწერებიც: „ქვათა შესახებ“, „ფრინველთა შესახებ“ და „ბასარიკა“).

ამ ძველი წყაროების ცნობების მიხედვით მეცნიერებაში იყო აზრი იმის შესახებ, რომ დიონისიოს პერიეგეტი შვილი იყო დიონისა, თუ დიონისიოსისა და რომაელი კეისრების ხანაში ცხოვრობდა.

ავტორის ცხოვრების თარიღის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობდა: გავრცელებული აზრის თანახმად იგი რომაელი კეისრების ეპოქაში ცხოვრობდა (ჩვეულებრივ იმოწმებდნენ ხოლმე მისი პოემის 355 და 1052 ტაეპებს) და ძირითადად ავგუსტუსისა და ნერონის თანამედროვედ იყო ხოლმე მიჩნეული. შემდეგ ამ თარიღის საზღვრები უფრო გაფართოვდა და ავგუსტუსიდან დიოკლეტიანეს ხანამდე გავრცელდა. მიღრეკილება იყო მისი კიდევ აქეთ გადმოტანისაც, რის საბუთადაც 730 ტაეპის Ὀνήοι იყო გამოყენებული⁴. მაგრამ ამ მოსაზრებამ ფეხი ვერ მოიკიდა, რაკილა ცნობილი იყო Arriani-ის პარაფრაზი, IV საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებული.

მეორე უკიდურესობაში იყო გადავარდნილი ტ. მომზენი, რომელიც ფიქრობდა, რომ დიონისიოსი ძვ. წ. ა. I ს-ის მეორე ნახევრის (92—83 წწ.) მოღვაწე იყო. მას ამის საბუთად მოჰყავდა 920-ე ტაეპი (Ἀντιόχοιο γὰρ)⁵.

² შდრ. C. Müller, GGM, II, გვ. XVI.

³ იქვე, გვ. 427.

⁴ თვით ეს წაკითხვა G. Knaack-ის უარესი ხელნაწერებიდან მომდინარედ მიაჩნია და მის მაგიერ სწორად მიიჩნევს სხვა ხელნაწერების Ὀνήοι-ს ამ ადგილისათვის: RE, 9. Halbband, Stuttgart, 1903, გვ. 916.

⁵ T. Mommsen, Dionysios der Perieget, Frankfurt, 1879.

კ. მჟულერი⁶ და გ. უნგერი⁷ დიონისიოსს ტრაიანესა და დომიციანეს თანამედროვედ მიიჩნევენ, რის საფუძველსაც ხედავდნენ 208 და 1051 ტაეპებში, სადაც ნასამონთა განადგურებასა და პართების დამარცხებაზე არის ლაპარაკი.

უზენერი აპიანეს Prooimium-ში დიონისიოსზე მინიშნებას ხედავს და ამის მიხედვით ამ უკანასკნელს ახ. წ. ა. II ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევს⁸. უ. ვილამოვიც-მელენდორფი დიონისიოსს ახ. წ. ა. I ს-ის მწერლად თვლიდა⁹.

საკითხი გადასწყვიტა G. Leue-მ, რომელმაც ნაწარმოებში აღმოაჩინა 2 აკროსტიხი, რის მიხედვითაც ავტორი წარმოშობით ალექსანდრიელად გამოცხადდა, ხოლო მისი ცხოვრების ხანა ადრიანეს კეისრობის დროით განისაზღვრა¹⁰; უფრო დაზუსტებით — ადრიანეს კეისრობის დასაწყისით (123—124 წწ.-ით)¹¹.

ეს აკროსტიხებია: $\Xi\pi\eta \Delta\iota\sigma\upsilon\alpha\upsilon\tau\iota\epsilon\iota\varsigma \tau\acute{\alpha}\nu \chi\upsilon\tau\acute{\alpha}\varsigma \Phi\acute{\alpha}\rho\alpha\varsigma$ (ტაეპი 109—134; დიონისიოსის ეპოსი მათ შესახებ, ვინც ფაროსის შიგნითაა)¹² და $\Phi\acute{\alpha}\tau\epsilon\tau\acute{\alpha}\varsigma \epsilon\pi\iota \Delta\acute{\alpha}\rho\chi\alpha\upsilon\sigma\epsilon\upsilon\varsigma$ (ტაეპი 513—532, ღმერთი ჰერმესი ადრიანეს დროს).

უნგერის გარდა ყველამ მიიღო Leue-ს მინაკვლევო. უნგერი მაინც იმ აზრისა დარჩა, რომ დიონისიოსი დომიციანეს დროს მოღვაწეობდა, ხოლო აკროსტიხში დადასტურებული საიელი „ადრიანე“ რომელიც მაგისტრატის სახელად მიიჩნია¹³.

დღესდღეობით Leue-ს მოსაზრება საყოველთაოდ აღიარებულია და ამის მიხედვით დიონისიოსს პერიეგეტი ახ. წ. ა. II ს-ის მწერალია; ის არის შეილი ალექსანდრიელი გრამატიკოსის დიონისიოსის, რომელიც თვითონ გლავკოსის ძე იყო და ავტორია პირველ რიგში პოემის, $O\iota\gamma\alpha\mu\acute{\alpha}\tau\eta\varsigma \text{ } \text{H}\epsilon\pi\iota\tau\acute{\epsilon}\gamma\eta\varsigma$.

⁶ C. Müller, GGM, II, გვ. XVIII.

⁷ G. F. Unger, Jahrbuch für classischen Philologie, 125 (1882) გვ. 449 და შმდ.

⁸ Rhein. Museum, № 25, გვ. 613 და შმდ.
Antig. von Karyst. გვ. 174.

¹⁰ G. Leue, Philologus, № 42 (1884), გვ. 175 და შმდ.

¹¹ Knaack, RE, 9. Halbband, გვ. 917: U. Bernays, Studien zu Dionysios Periegetes, Diss. Heidelberg, 1905.

¹² მჟულერის გამოცემულ ტექსტში ამ ადგილას გამოდის $\epsilon\pi\iota$ და ასეც ჰქონდა Leue-ს, მაგრამ Nauck-მა შეასწორა 110-ე ტაეპის $\mu\alpha\delta\alpha\sigma\iota\sigma$, მის მაგივრად ჩასვა სიტყვა $\alpha\sigma\lambda\lambda\iota\sigma$, რაც აკროსტიხში იძლევა სიტყვა $\Xi\pi\eta$ -ს, რომელიც გასაგებია და მისაღები: A. Nauck, Hermes, № 24, გვ. 325.

¹³ Jahrbuch für classischen Philologie, № 135 (1877), გვ. 53 და შმდ.

ლიონისიოსს *Περγηνας* შეერქვა უძველეს დროშივე, რაც იმას ნიშნავს. რომ ეს პიროვნება—მწერალი საზოგადოების მიერ მიღებული იყო პირველ რიგში როგორც *περγηνας*-ის ავტორი (შდრ. პონეროსი არის *παινας*—ე. ი. პომპის ავტორი, სიმონიდე არის *β. παπας*, ე. ი. ლირიული ნაწარმოების მწერალი). მეცნიერებაში მიღებული აზრის მიხედვით ამავე დიონისიოსს ეკუთვნოდა შემდეგი პოემები: *Διοσημίας*, რომლის შესახებაც დღეს არაფერი ვიცით, *Αΐσιμαχία*—3 წიგნად, რომელიც ორჯერ არის მწერლობაში დამოწმებული და *Όπιμαχία*—3 წიგნად, რომლის ბიზანტიური ხანის პროზაული პარაფრაზი ჩვენამდე არის მოღწეული¹⁴.

ნანარმოები

დიონისიოსის „პერიეგესი“ ე. წ. სკიმნოს ქიოსელის (ძვ. წ. ა. III—II სს.) „პერიეგესისა“ არ იყოს, არსებითად განსხვავდება ამ ჟანრის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტული თუ მთლიანად დაცული ნაწარმოებებისაგან. დიონისიოსის პოემაში გვაქვს მისთვის ცნობილი ნთელი მსოფლიოს აღწერილობა (და არა მხოლოდ რომელიმე კუთხისა), სიძველეებისა და ხელოვნების ძეგლების შესახებ საერთოდ არ არის მსჯელობა და ამას გარდა, ზოგადი გეოგრაფიული ხასიათის ცნობების გვერდით (რაშიც შედის ზოგადი გეოგრაფიაც, ხოროგრაფიაცა და ტოპოგრაფიაც) არის პოეტური და მითური-კოსმოგრაფიული წიაღსვლებიც.

Οΐσιμαχίας *Περγηνας* წარმოადგენს ჰეგზამეტრებით დაწერილ პოემას. რომელიც შედგება 1187 ტაქისისაგან. ტექსტი ჩვენამდე მთლიანად არის მოღწეული. რომაულსა და ბიზანტიურ ხანებში მას მიიჩნევდნენ გეოგრაფიის ძირითად სახელმძღვანელოდ, ბევრს კითხულობდნენ, იწერდნენ, თარგმნიდნენ და კომენტარს ურთავდნენ.

დღესდღეობით ამ პოემის 100-ზე მეტი ხელნაწერია ცნობილი, მათ შორის 33 მარტო პარიზის სიძველეთა საცავებში არის. საუკეთესო ხელნაწერად ითვლება პარიზისა, ფრ. 388, X ს-ისა. ხელნაწერთა შორის ბევრია XII—XVI სს-ით დათარიღებული და ერთი ხელნაწერი დაცული ყოფილა მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში № 30. იგი დათარიღებულია XII ს-ით და შეიცავს დიონისიოსის „აღწერილობის“ ფრაგმენტებს: 278—350; 470—524¹⁵.

¹⁴ W. Christ's, *Geschichte der griechischen Litteratur*. VII, Zweiter Teil. Zweite Hälfte. München. 1913, გვ. 520. K u a a c k, *RE...* გვ. 925.

¹⁵ *Dionysius Periegetes...* cum annotatione Godofredi Bernhardy, Lipsiae. MDCCXXVIII, Index codicum...

დიონისიოსის „პერიეგესის“ ხელნაწერების შესახებ ცნობები მოაოვებული მაქვს მის ორ გამოცემაში (ე. ი. ბერნჰარდისა და მჟულერის გამოცემებში) არსებული აღწერილობების მიხედვით¹⁶ და როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ხელნაწერი ერთნაირი დაცულობისა და ღირებულების არ ჩანს: ზოგი ხელნაწერი სრულ ტექსტს შეიცავს, ზოგი ნაკლულს, ზოგან ტექსტი კრებულშია შესული, ზოგან ის ცალკეა და ა. შ.

გამოსაქვები

დიონისიოსის *Οὐχισίτης* *Περὶ ἱεροῦ*-ის უამრავი გამოცემა ცნობილი, მაგრამ არცერთი არ არის სრულყოფილი და შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი კრიტიკული გამოცემა ჯერ კიდევ არ არსებობს.

ტექსტი პირველად გამოიცა 1512 წელს ერთდროულად Ferrara-სა და ვენაში¹⁷.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრი ძველი გამოცემა მოკლებული არ არის მეცნიერულ ღირებულებას. მაგ., ეს შეიძლება ითქვას XVII ს-ის რამდენიმე პუბლიკაციის შესახებ: 1679 წლის ლონდონის გამოცემა ბერძნულ ტექსტს გარდა შეიცავს ლათინურ თარგმანს, ლათინურ კომენტარებს, ინდექსებს, რუკებს და ერთი სიტყვით. იმ დროისათვის მაინც შესანიშნავ აპარატს. ასევე სერიოზულია 1697 წლის ოქსფორდის გამოცემა: იგი შეიცავს ბერძნულ ტექსტს, მის ლათინურ თარგმანს, იქვე ბერძნულსავე განმარტებებს, ყოველ გვერდზე, ქვემოთ, ბერძნულ პროზაულ პარაფრაზს, შემდეგ ცალკე ევსტათის კომენტარებს, სქოლიოებს, პრისკიანუსის ლათინურ *Periegesis*-ს, ხელნაწერთა და გამოცემათა მიმოხილვას, ინდექსებს და რუკებს. გამოცემათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ორი, ბერნჰარდისა და მჟულერისა, რომლებიც სხვა ქეშმარიტად კრიტიკული და ნამდვილი მეცნიერული გამოცემის უქონლობის გამო დასაყრდენს წარმოადგენენ დიონისიოსის კვლევისას.

¹⁶ C. Müllerus, GGM, II. გვ. XXXVI. № 45.

¹⁷ ლენინგრადის აკადემიის ბიბლიოთეკაში დიონისიოსის თხზულების ბევრი ძველი გამოცემაა დაცული. მაგ. 1512 წლის ფერარის გამოცემა, ბაზელის 1523 და 1547 წლის გამოცემები, 1553 წლის ანტვერპენისა და ა. შ. მოსკოვის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში უძველესი არის 1561 წლის გამოცემა. შესული სახელმძღვანელო კრებულში, სადაც სხვა ავტორებთან ერთად არის დიონისიოსის *Περὶ ἱεροῦ*-ი ლათინური თარგმანითურთ.

ბერნჰარდის გამოცემა 1828 წლისაა და იგი დაახლოებით 1100 გვერდს შეიცავს. მას ეწოდება: *Dionysius Periegetes graece et latine cum vetustis commentariis et interpretationibus ex recensione et cum annotatione Godofredi Bernhardy, Lipsiae, 1828*. შრომას აქვს 30 გვერდიანი Praefatio, შემდეგ 8 გვერდიანი Index codicum. შემდეგ არის ბერძნული ტექსტი ქვემოთ ლათინური თარგმანით. პოემის შემდეგ არის ეესტათის კომენტარები, მერე სქოლიოები, შენდეგ *Παράφρασις*-ი. ამას მოსდევს: *Nicephori Blemmidae Paraphrasis*; შემდეგ — *Rufi Festi Avieni et Prisciani Periegeses e Dionysio* (ტექსტები), ბოლოს არის *Annotatio* (518—832 გვერდებზე. აქ გარჩეულია ყოველი სტრიქონი და ყოველი გამოთქმა ცალკე). 833 — 975 გვ-ზე არის: *Annotatio ad Eustathii commentarios* (აქაც ასევეა გარჩეული ეესტათის ტექსტი) და 976 — 1010 გვ-ზე არის: *Annotatio ad Scholia*. მცირე *Annotatio* არის დანარჩენი ტექსტების მიმართ. 1017 გვ-დან არის *Indices*. ჯერ *Index verborum Dionysii* (1019 — 1046 გვ.) და შემდეგ — *Index rerum* (1046 — 1074 გვ. გვ.).

ამ მხოლოდ ჩამოთვლითაც აშკარაა, თუ რამოდენა შრომა გაუწევია ბერნჰარდის დიონისიოსის გამოსაკვლევად. მაგრამ ჩვენი მოთხოვნილება მაინც უფრო შორს მიდის და რაკილა უძველესი ხელნაწერები ჯეროვანი სისრულით არ არის გამოყენებული და ტექსტი საბოლოოდ დადგენილი, ამიტომ ბერნჰარდის გამოცემით იძულებით ვკმაყოფილდებით.

არსებითად ბერნჰარდის გამოცემას ეყრდნობა (და მეტ წილად იმეორებს) C. Müller-ი, რომელმაც თავის სერიაში *Geographi Graeci minores* სათანადო ადგილი დაუთმო დიონისიოს პერიეგეტს (*GGM, vol. secundum, Parisiis, 1882*).

25 გვერდიანი (XV — XL) გამოკვლევის შემდეგ მჯულერი აქვეყნებს: პოემას გვერდზე ლათინური თარგმანით და ქვემოთ მრავალი შენიშვნებითურთ, ამას მოჰყვება აფიენუსისა და პრისკიანუსის *Paraphrasis*-ები, შემდეგ — ეესტათის კომენტარები პარალელური ლათინური თარგმანით, შემდეგ ანონიმური ბერძნული *Paraphrasis*-ი, ბოლოს სქოლიოები, ყველა ამათ — შენიშვნები ყოველ გვერდზე, ქვემოთ.

დიონისიოსის „აღწერილობის“ ტექსტის მჯულერისეული გამოცემა ოდნავ არის ბერნჰარდის გამოცემისაგან განსხვავებული. პირველ რიგში ეს ეხება სასვენ ნიშნებს (ძძიმესა და ორწერტილს — რასაც ზოგჯერ შესაძლოა შინაარსეული განსხვავებაც სდევს), შემდეგ სიტყვათა რიგს (მაგ. 679 *Τῶν αἰῶν πρῶτων*, თუ პირიქით —

παραμυθὸν Ἰάναον) და ზოგჯერ სიტყვათა მონაცვლეობასაც (მაგ. 35 ან: ერთგან, მეორეგან *πῶτερ*; 308 'Αγχαῖον და 'Αλαχῶν).

ყველა ასეთი შემთხვევა ჩემს მიერ მხედველობაში არის მიღებული და გათვალისწინებული იქვე დართულ ხელნაწერთა კითხვა-სხვაობასთან ერთად.

დიონისიოსის „პერიეგესის“ შესახებ მსჯელობა არ იქნება სრული, თუ არ გავითვალისწინებთ რამდენიმე ბიზანტიური ხანის ნაშრომი, რომელთა გარეშეც ამ ავტორს ჩვეულებრივ არ განიხილავენ ხოლმე: ეს არის: Paraphrasis-ები, ბერძნულივე, პროზაული — ზოგადად ბიზანტიური ხანით დათარიღებული და ანონიმურად ცნობილი¹⁸.

არსებობს ორი ლათინური პარაფრაზისი, ანუ თარგმანი: ერთი Rufius Festus Avienus-ის, შესრულებული IV ს-ის მეორე ნახევარში, 1393 ჰეგზამეტრისა და ზოგიერთი წიაღსვლის შემცველი და მეორე შემოკლებული, მხოლოდ 1087 ჰეგზამეტრიანი — Priscianus-ისა, VI ს-ისა¹⁹.

ჩვენამდე მოღწეულია Περσική γῆ-ის სქოლიოები, რომელთა ძირითადი ნაწილი IV — V სს-ით თარიღდება (მათ იცნობდა და იყენებდა ჯერ კიდევ ოროსი V ს-ის დასაწყისში)²⁰.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი XII ს-ის ცნობილი მოღვაწის. ეპისკოპოსის, ეესტათის კომენტარები²¹.

აი, ყველა ეს ნაშრომი (პარაფრაზისები, სქოლიოები, კომენტარები) აუცილებლად არის გასათვალისწინებელი დიონისიოსის „პერიეგესის“ დამუშავებისას.

Περσική γῆ-ს გამოცემულია ბერნარდისა და მელერის მიერ (იხ. GGM. II, გვ. 409—425). იგი გადამუშავებულია A. Ludwich-ის მიერ შრომაში Aristarches homerische Textkritik, II ტ. სადაც არის თავი: Paraphrase, Scholien und Text der Periegesis des Dionysios. გვ. 553—574.

¹⁸ ორთვე ლათინური ძველი ბევრჯერ არის გამოცემული, აქვს ისინი ბერნარდისა და მელერსაც (GGM, II, 177—199). მათ შესახებ უკანასკნელი დროის შრომებია: Woestijne Paul. Notes critiques sur la „Descriptio orbis terrae“ d' Avienus: Antiquité classique, Bruxelles, 1954, T. 23. Fasc. 1, p. 29—46; მისივე. La périégèse de Priscien. édition critique. 1953. Brugge (Belgique). Woestijne პირველ შრომაში წერს: „Avienus, comme Priscien, a eu sous les yeux un texte de Denys différent de celui que nous connaissons. texte apparenté à celui dont disposait l'auteur de la Périégèse latine“ (გვ. 46).

¹⁹ სქოლიოები გამოცემულია აქვთ ბერნარდსა და მელერს (GGM. II, გვ. 427—457); სქოლიოები გადამუშავებული აქვს Ludwich-ს, დასახ. ნაშრომი, გვ. 576—597.

²¹ ეესტათის კომენტარები გამოცემულია კ. მელერის მიერ (GGM. II, გვ. 201—407), სადაც ის გადმოღებულია ბერნარდის გამოცემიდან.

შენახვა

დიონისიოსის „პერიეგესი“ ბიზანტიურ ხანაში რომ დიდად იყო ყურადღებაშიქცეული, ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული უამრავი ბელნაწერი, პარაფრასისები, თარგმანები, სქოლიოები და კომენტარები.

XIX ს-ისა და შემდგომი ხანის მკვლევართა შორის საგანგებოდ აღსანიშნავია დამსახურება: ტუხო მომზენისა, რომელსაც ეკუთვნის განმაზოგადებელი შრომა: Dionysius der Perieget, 1879 წ., გამომცემელთა გ. ბერნჰარდისა და კ. მჟულერისა (იხ. ზემოთ) და ა. ლუდვიხისა (Paraphrase, Scholien und Text der Periegesis des Dionysios, რაც მოთავსებულია მის კრიტიკულ შრომაში: Aristarches homerischen Textkritik, II ტომში), რომელიც ასევე ტექსტების დადგენის საკითხს ემსახურება.

დიონისიოსის პიროვნება საბოლოოდ დაადგინა და მისი ცხოვრება დაათარია Leue-მ (ამის შეს. ზემოთ), ხოლო დიონისიოსის „პერიეგესის“ წყაროები სპეციალურად გამოიკვლია A. Götthe-მ — De fontibus Dion. Perieg. Diss. Göttingen, 1875.

დიონისიოსის შესახებ ერთერთი საუკეთესო, ასევე განმაზოგადოვებელი და შემაჯამებელი შრომა არის G. Knaack-ისა (RE, 9. Halbband, 1903, გვ. 915 — 924). ძირითადი მონაპოვარი ამ საკითხში გათვალისწინებულია W. Christ-ის შრომაში, Geschichte der griechischen Litteratur, II, 2, 1913 წ., გვ. 519 — 520.

უკანასკნელი ხანის გამოკვლევათაგან სპეციალურად დიონისიოსის შესახებ არაფერი გვაქვს, მაგრამ სხვა ავტორებთან ერთად მასაც ეხება გ. შნაიდერი ნაშრომებში: Periegeza w literaturze greckiej... 1946 წ. და De periegetarum graecorum reliquiis, 1950 წ.

წყაროები

დიონისიოსის „პერიეგესის“ წყაროების შესახებ არსებობს ერთი სპეციალური დისერტაცია A. Götthe-სი (იხ. ზემოთ) და ამას გარდა ყველა ავტორი, ვინც კი ამ ნაწარმოებსა და მის ავტორს იკვლევს, გაკვირვებით მაინც ეხება წყაროების საკითხსაც. დღესდღეობით წყაროთა შესახებ შემდეგი შეიძლება ითქვას: დიონისიოსის პოემის გულდასმით გაცნობა უეჭველს ხდის, რომ მისი ავტორი განათლებული კაცია, რომელმაც ზედმიწევნით იცის ძველი ბერძნული ლიტერატურა და მთელი ის მონაპოვარი, რაც ალექსანდრიელ მოღვაწეებს ჰქონდათ ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგში. დიონი-

სიოსი ზედმიწევნით იცნობს ჰომეროსს, ჰესიოდეს, ნიკანდრეს, არატეს. განსაკუთრებით დიდია მასზე გავლენა კალიმაქესი და აპოლონიოს როდოსელისა²². თავისი ნაწარმოების აგებაში დიდად ბაძავს ის ეფესელი მოღვაწის, ალექსანდრე ლიხნოსის პოენას.

დიონისიოსის „პერიეგესის“ ერთერთ უშუალო წყაროდ ჯერ კიდევ ევსტათის (და შემდეგ — ახალი დროის მკვლევართ) ერთოსთენე მიაჩნდათ. ასეთი ადგილები იყო პოემაში (აღნუსხული სხვადასხვა მეცნიერის მიერ): 311, 331, 606, 638, 730, 905. 956, 977 — 986, 992, 1005 ტაეპები. დღესდღეობით დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ერთოსთენეს დიონისიოსი უშუალოდ კი არ იყენებს, არამედ მის მიერ დაცული ცნობები მისთვის ხელმისაწვდომი იყო ალექსანდრე ლიხნოსის პოემის მეშვეობით.

უფრო დიდი ჩანს გავლენა პოსიდონიოსისა (აქაც დაძვნილია ბევრი საერთო ადგილი, მაგ. 4 — 7, 10, 16, 45, 157, 175, 185, 211, 275 — 278, 281, 287, 403, 561 — 563, 570 — 574, 620 — 622, 951, 962). ამის შესახებ დასკვნა ასეთია, რომ დიონისიოსი უშუალოდ იხე: 'Ωσεχων-თი და 'Ισεοφ'α-თი კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ მას ხელთ ჰქონდა ან რაიმე ამონაკრები პოსიდონიოსის თხზულებათაგან, ან კიდევ ისევ ალექსანდრე ლიხნოსის პოემის მეოხებით იცნობდა პოსიდონიოსს. ეს მეორე მოსაზრება უფრო სარწმუნოდ არის მიჩნეული.

ამგვარად, ორი დიდი ავტორის, ერთოსთენესა და პოსიდონიოსის ცნობები, უხვად გამოყენებული დიონისიოსის მიერ. მის „პერიეგესში“ შესულია ალექსანდრე ლიხნოსის პოემის გზით²³.

მეორე ავტორი, რომელსაც უშუალოდ იყენებს დიონისიოსი, არის მეტროდორე სკეპსისელი და მისი კომპილატორული ხასიათის შრომა²⁴.

მეტროდორე სკეპსისელი არის სტრაბონის ერთერთი წყაროც. სტრაბონი წერს: „ხოლო სხვები (ადრე თეოფანეს აზრი იყო გადმოცემული — თ. ყ.), რომელთა შორის იყვნენ მეტროდორე სკეპსისელი და პიფისკრატე, რომლებიც არიან უცოდინარნი ან ადგილებისა, ამბობენ, რომ [ამაძონები] გარგარეველების მეზობლად

²² აპოლონიოს როდოსელი მისი პოემის მთელი ნაწილისათვის (762—796) პირდაპირ უშუალო წყარო ჩანს არა მარტო არსებითად, არამედ ენობრივ-დაც კი.

²³ დიონისიოსს და სტრაბონს რომ საერთო ადგილები აქვთ, ორივე-ათვის ამ შემთხვევაში წყარო პოსიდონიოსია.

²⁴ წყაროთა შესახებ, იხ. RE. 9. Halbband, გვ. 919—921. W. Christ's, Geschichte der gr. Lit., II, 2, გვ. 520.

ცხოვრობენ კავკასიონის მთის ფერდობებზე ჩრდილოეთისაკენ, რომელიც იწოდება კერავინად* (XI — 5, 1) და ამას მოჰყვება მერე ამაძონების ყოფის დახასიათება, ჩანს ისევ ამ ავტორების მონაცემების საფუძველზე (XI, 5, 1—4). კავკასიის ყოფასთან დაკავშირებით სტრაბონი არსად ასახელებს მეტგან მეტროდორეს (თუმცა ისე უთუოდ იყენებს მას სხვაგანაც). რაც შეეხება დიონისიოსს, ისიც ანსენებს ამაძონებს ჩრდილო კავკასიაში, საერომატების წინაპრად (652 — 658 ტაეპები) და მისი აოეშაც თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც ისეთსავე ცნობებს შეიცავს, როგორსაც სტრაბონის „გეოგრაფია“.

შეჯამება

ამრიგად, ორი უშუალო წყარო, რასაც იყენებს დიონისიოსი თავისი „პერიეგესისათვის“ არის: ალექსანდრე ლიხნოსის პოემა და მეტროდორე სკეპსისელის ნაშრომი იმ საერთო განათლებასთან ერთად, რომელიც ავტორს ჰქონდა.

რამდენადაც ავტორი არის განსწავლული პოეტი და არა რომელიმე პრაქტიკოსი მოღვაწე (როგორც მაგ., ფლავიუს არიანე), ანდენად მის პოემაში ძირითადად მოიპოვება ლიტერატურული ცნობები და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ძველი, ან შეიძლება კიდევ მოძველებული მისი დროის მიღწევათა ფონზე. მაგ., ჰომეროსისეული სახელწოდებებით იხსენებს ის შავიზღვისპირეთის ზოგიერთ ტომს (მაგ., ჰიპემოლეებს, ჰიპოპოდებს), ან კიდევ — კიმერიელები ჩრდილოკავკასიის ტომთა შორის არიან ნახსენები. ამ ძველი და საინტერესო ცნობების გვერდით არის მთელი რიგი შეცდომები და უზუსტობანი. როგორც მაგ., კასპიის ზღვა ოკეანის უბედ არის გამოცხადებული, საბერძნეთის აღწერილობისას ათენი არაა ხსენებული, იტალიის აღმოსავლეთი სანაპირო საერთოდ გამოტოვებულია, გალიისა და ბრიტანეთის შესახებ მოძველებული გადმოცემა აქვს. ხოლო ლიგურია, კარია და პალესტინა უნებლიედ, თუ განზრახი უყურადღებოდ არიან დატოვებული²⁵.

დიონისიოსი ძლევამოსილი, ყოვლისშპყრობელი რომის დიდად დამფასებელი და განმადიდებელი ჩანს (255 ტაეპი: *μητρεα πααααυ πααααυ αααααα αααααα*), ხოლო ე. წ. ბარბაროსთა ცხოვრებას იგი ნუქ ფერებში გვიხატავს. მაგ., ხალიბებისას (768 — 771), მასაგეტებისას (739 — 745), სკეითებისას (666 — 678), აფრიკის ნომადებისას (186 — 194) და სხვ.

* ნ. რ. RE. 9. Halhsaal. გვ. 919.

დიონისიოსის „პერიეგესი“, როგორც ლიტერატურული ძეგლი მალალი ღირსებისაა, იგი დაწერილია კარგი ენით, მხატვრული ხერხების ზომიერი გამოყენებითა და მეცნიერულ-გეოგრაფიული ხასიათის შინაარსი ისეა გადმოცემული, რომ ნაწარმოები მოსაწყენი და დამიძებული არ არის.

ეს ძეგლი, როგორც საინტერესო წყარო უეჭველად საყურადღებოა, რადგან მასში, ახ. წ. ა. II ს-ის ნაწარმოებში, დაცულია ბევრი უძველესი ცნობა, რაც უშუალოდ ფენს ამა თუ იმ ქვეყნის წარსულს.

ჩვენთვის დიონისიოსის „პერიეგესი“ საინტერესოა, როგორც საქართველოსა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული ქვეყნების შესახებ მასალის შემცველი ნაწარმოები. ამ მხრივ დიონისიოსი პირველად შეისწავლა ვ. ლატიშევა (Сведения греческих и римских писателей о Скифии и Кавказе, I, გვ. 178 და შმდ. დიონისიოსის ტექსტი და ეგსტათის კომენტარები ი. პ. ცვეტკოვის თარგმანებითა, ხოლო სქოლიოები — თვით ვ. ლატიშევის თარგმანილია), რაც, შეიძლება ითქვას, უცვლელად გადატანილია B.II-ს დამატებაში (1948 წ. № 1), მხოლოდ ბერძნული ტექსტის გარეშე.

ჩემი ნაშრომი განსხვავებით ამ 2 გამოცემისაგან დიონისიოსის ტექსტს სხვა მოცულობით შეიცავს და ზოგი საკითხიც სხვაგვარად არის დაყენებული.

„პერიეგესის“ სწოებები საქართველოს შესახებ

პერიეგესი საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ შეიცავს სხვადასხვა რიგის ცნობებს. ერთი რიგი წმინდა გეოგრაფიული ხასიათისაა, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს შექდეგი: დიონისიოსი მატერიკებს შორის საზღვრად ირჩევს წყლებს (მაგ., ტანაისი და ჰელესპონტი ჰყოფს ევროპასა და აზიას, ხოლო ნილოსი — აზიასა და აფრიკას), მაშინ როდესაც მეორე მიმართულება (რასაც არ იზიარებს დიონისიოსი) მატერიკებს გამოჰყოფს უფრო პატარა ხმელეთებით (მაგ., კავკასია — პონტოსა და კასპიის ზღვის შორის მდებარე ხმელეთი — არის საზღვარი ევროპისა და აზიისა, ხოლო აზიისა და აფრიკის საზღვარი არის ყელი, მდებარე არაბეთის უბესა და ეგვიპტეს შორის. ტაეპი 14 და შმდ.).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სქოლიასტის შენიშვნა: „ამ ყელს ზოგიერთები უწოდებენ კავკასიას; ხოლო სხვები თრენეს დაბლობს (ἡ Ἐθρῆνη πεδιάς), მაგრამ უმჯობესია მას აღმოსავლეთი იბერია ვუწოდოთ...“. თუ არ ვცდებით, Ἐθρῆνη πεδιάς კავკასიის სხვაგან არსად ეწოდება. საქუთარ სახელთა ლექსიკონში Ἐθρῆνη

არსად ვგვხვდებით. თუ შეეცდომა არაფერია, ის უნდა იყოს აპოკრიფი (რაც „ტირილსა“ და „ცრემლს“ აღნიშნავს) ან აპოკრიფი (აპოკრიფი—გრძელ სკამს, რუს. *каноника* აღნიშნავს).

ევქსინის პონტოს დიფინიციის არა ერთგზის ახსენებს. ამასთან დაკავშირებით მისი სქოლიასტი და ევსტათი შემდეგ შენიშვნებს აკეთებენ (ტაეპი 19-ე და შმდ. და ტაეპი 146 და შმდ-); ევსტათი წერს: ევქსინის პონტო, რაკილა მას არ იცნობდნენ, ყველაზე დიდ ზღვად იყო მიჩნეული—ამიტომაც ეწოდა მას „პონტო“ (ე. ი. ზღვა); და იქ გამგზავრება ნიშნავდა ქვეყნის კიდევ წასვლას. მისი არასტუმართმოყვარეობის გამო ამ ზღვაზე წასვლა დიდი უბედურებისათვის თავგანწირვას მოასწავებდა (ტაეპი 147-სათვის). სქოლიასტი წერს (ტაეპი 19-ე და 146-ე: „ევქსინს ეწოდებოდა აქსეანოსი (= არასტუმართმოყვარე) იმიტომ, რომ დასახლებული იყო პირატებით და იქ უცხოელთაგან არავინ მიდიოდა. ეხლა კი მას ეწოდება ევქსეანოსი (= სტუმართმოყვარე) ამის საწინააღმდეგოდ, ან როგორც ზოგიერთები ამბობენ იმიტომ, რომ ჰერაკლემ გადაევა აქედან მეკობრეები და ვილაცა სტუმართმოყვარე [სალხი] დაასახლა“. ევსტათი ამავე ადგილის გამო (ტაეპი 146) ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ევქსინს, რაკილა ცუდი იყო საცურაოდ, ოდესღაც უწოდებდნენ არასტუმართმოყვარე ზღვას, ხოლო შემდეგ მას გადაარქვეს ევქსინი ეფემიზმის მიხედვით, ხოლო არასტუმართმოყვარე მას ეწოდებოდა... ან იმიტომ, რომ არა აქვს კუნძულები მისადგომებით, ანდა მის ირგვლივ მცხოვრები სკვითების გამო, რომლებიც არიან უღმური (*ἀναμύητοι*) ბარბაროსები, რომლებიც მსხვერპლადაც კი სწირავდნენ [უცხოელებს] და სჭამდნენ მათ ხორცს, ხოლო ადამიანთა თავისქალებს იყენებდნენ სასმისებად, სივები კი ამბობენ, რომ ჰერაკლემ გასწმინდა ეს ადგილები და არასტუმართმოყვარე [ზღვა] აქცია სტუმართმოყვარედ. ზოგიც ამ დამსახურებას მიაწერს იონიელებს, რომელთაც [ამ ზღვის] სანაპიროზე მრავალი ქალაქი დააფუძნეს“.

აქ მსჯელობას არ ვმართავ ამ მოსაზრების მეცნიერულობის შესახებ, ცნობილია, თუ საიდან წარმოსდგა აქსეანოსის ეს ეტიმოლოგია (ძვ. სპარსულის *axšācīna*-საგან), მაგრამ მაინც საინტერესოა, თუ როგორ გაიაზრეს შემდეგ ბერძნულ ენაზე ამ ზღვის რეალური პირობები (არ არის მისადგომებიანი კუნძულები, ირგვლივ ველური სკვითები ცხოვრობდნენ და სხვ.).

ყურადღებას იპყრობს ცნობები კასპიის ზღვის შესახებ. დიონისიოსი მას აღიქვამს როგორც ოკეანის ნაწილს, მიაჩნია მრგვალი ფორმისად და მისი გაცურვა ხომალდით მთვარის 3 მოქცევის მან-

ძილზე, ე. ი. 3 თვეში, საეგებოდ მიაჩნია (718 ტაეპი), მაგრამ სქოლიასტი და ევსტათი პტოლემეაძოსის მოშველიებით ამბობენ, რომ იგი კუნძულის მსგავსად ირგვლივ ხმელეთებით არის გარშემორტყმული, ტბის მსგავსია და მისი ირგვლივ ხმელეთით შემოვლა შეიძლება ფეხითაო (49 ტაეპი და შმდ.). ე. ი. დიონისიოსის თანამედროვეებმა (მაგ. პტოლემეაძოსმა) უკვე იცოდნენ ნამდვილად რა ვითარება იყო.

დიონისიოსი მდ. ფასისის შესახებ წერს (ტაეპი 691 და შმდ.): აქვეა ფასისი, რომელიც კირკეს დაბლობზე ზიიკლაკნება და ევქსინის წყლებში ანთხევს თავის სწრაფ ქაფს, სათავე კი მას არმენიის მთებში აქვს. არმენიის მთები, როგორც ფასისის სათავე სხვა ავტორებთანაც (მაგ. სტრაბონთან) ჩანს. ამასთან დაკავშირებით ევსტათის აქვს ასეთი კომენტარი: ეს მთები ტაეროსის განტოტეცაა და ისინი აღწევენ თვით არმენიამდე. ტაეროსი ძველ მწერლებთან ჩანს ორგან: ერთი ყირიმის ნახევარკუნძულზე ტაერიდაში და მეორე — მცირე აზიაში (აქ ის გადაჭიმულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით). დიონისიოსთანაც იხსენიება ტაეროსი, მაგ. ნაპ-ე ტაეის კავკასიონის მთებთან დაკავშირებით ევსტათი ამბობს რომ კავკასიონად უნდა ვიგულისხმოთ ტაეროსის უკიდურესი ჩრდილო ნაწილი, რომელიც აღწევს კრონოსის ზღვამდე (ე. ი. ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანემდე). სქოლიასტიც შენიშნავს, რომ დიონისიოსი აქ გულისხმობს კავკასიონს, რომელიც მდებარეობს კრონოსის ზღვასთან და რომელიც არის ტაეროსის განტოტება²⁰. ისე, რომ ჩვენ ვერ ვიტყვიტ დაბეჯითებით, რომელი ტაეროსის განტოტებაა ეს არმენიის მთები (ხომ არაა იგივე კავკასიონი): ინავე ევსტათის კომენტარის მიხედვით დიოდორესთან (XIV, 29) და სხვა მწერლებთან ფასისის ირგვლივ მდებარე ადგილები იწოდებიან ფასიანთა ქვეყნად (შდრ. ქსენოფონტის ტომი — ფასიანები); ხოლო ფრინველებმა — ლახებმა თავისი სახელი (ფაჰა-ნის) უთუოდ აქედანვე მიიღეს, რადგან ისინი ბლომად მოიპოვებიან ამ ადგილებში. ევსტათის დაკვირება (ფასისთან დაკავშირება ადგილის სახელისა და შემდეგ ფრინველთა სახელწოდებისა) უეჭველად სწორი ჩანს (ამას დაეუმატებოტ ტომის სახელსაც ფაჰა:ანის, რაც ნიშნავს „ფასისელს“).

В.И. დიონისიოსის აღნიშნული ადგილის გამო აკეთებს შენიშვნას: „Он истоках Фасея (Риона) в Армении можно заключить также из Strabo (XI, 14, 7), хотя в другом месте (XI, 3, 4)

²⁰ ჰალისის სათავედ დიონისიოსს ასევე არმენიის მთები მიაჩნია (ტაეპი 786).

ონ ძრავილიყო უკაზვსაჲს სე ვერხოვსაჲს ვა გორაჲს იბერიის (გუჯიის). ოშიბოკა ძრავიის ობჟასვსაჲს თჳს, ჟო ჯა ისოკიჲს ფასისაჲს პრინმალისჲს ისოკიჲს პრითოკა რიონაჲს კენრილსაჲს, დეისვიტელისჲს ვითეკაიოშიჲს პა არმენიისაჲს. (სტრ. 240).

ეს შენიშვნა რამდენიმე მძიმე შეცდომას შეიცავს: ჯერ ერთი იბერია და გუჯია ერთი და იგივე არ არის. შენიშვნა — სტრაბონი არსად უჩვენებს რიონის სათავეს იბერიაში (კოლხიდის აღწერისას იგი ამბობს, რომ ზემოთ მთებში იწყება ფასისიო XI, 3, 4) და ბოლოს — ყვირილის სათავე განა არმენიაშია? ერთი სიტყვით შენიშვნა, რომელიც ორი წინადადებისაგან შედგება, სამ სერიოზულ შეცდომას შეიცავს.

საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს დიონისიოსი სკვიითის კლიმატს (668 — 678 ტაბეები): „უბედურები არიან ისინი, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ, რადგან აქ მუდამ ცივი თოვლი და ძლიერი ყინვა არის. ხოლო როდესაც ქარების შედეგად დიდი სიცივე დგება, შენი თვალთ დაინახავ რომ იხოცებიან ან ცხენები, ან ჯორები, ან მინდვრებში მოზინადრე ცხვრების მოდგმა. ის კი არა, თვით ხალხიც ვერ გადაურჩებოდა უვნებელი, რომ დარჩენილიყვნენ ამ [ქარების] ქროლვაში. მაგრამ ისინი აბამენ თავის ოთხთვალა ურმებს (ἀσπίδας) და მიდიან სხვა ქვეყანაში, ხოლო თავის მიწა-წყალს უტოვებენ ცივ ქარებს, რომელთა საშინელი ქროლვა აზანზარებს დედამიწასაც და ფიქვოვან მთებსაც“.

დიონისიოსის ეს აღწერილობა ჯერ კიდევ ევსტათის მიუჩნევია გადაქარბებად. თუმცა კი შენიშნავს, რომ σχῆλιος: სკვიითების მიმართ აქ გაკიცხვის მნიშვნელობით კი არ არის, არამედ შებრალებისაო. ევსტათი იმწმებს პესიოდეს (სამუშაონი და დენი, 516 ტაბეი) — ცხვრებზე სიცივე არ მოქმედებს მათი მატყლის სიხშირის გამოო. კომენტატორი არ ეთანხმება პეროდოტეს (IV, 28), რომლის აზრითაც სკვიითიაში წელიწადში 8 თვე ყინვებია, ხოლო 4 თვე — სიცივეები.

ევსტათის აზრით, ეს შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ჩრდილოეთ სკვიითას, თვით სკვიითების ყოფაცხოვრების შესახებ ევსტათი ეტყობა არ იზიარებს დიონისიოსის ცნობას და იმწმებს არიანეს, რომელიც წერდა, რომ სკვიითები უწინ ქალაქებისა და სახლების პატრონები იყვნენ და ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, ხოლო მას მერე, რაც თრაკიელებმა ისინი დაამარცხეს, ისინი მომთაბარე ცხოვრებაზე გადავიდნენო. ევსტათი სხვათა სიტყვით გადმოსცემს იმასაც, რომ მომთაბარე სკვიითებმა ოდესღაც (დარიოსმა რომ სკვიითიაში ილაშქრა) თრაკიის ხერსონესსაც კი მიაღწიეს.

სკვირების სხვა მეზობელ ტომებთან შედარებითი უპირატესობის საილუსტრაციოდ ევსტათი იხსენებს ჰეროდოტეს (IV, 46), რომელიც წერდა: ევქსინის ირგვლივ ცხოვრობენ დიდად უმეცარი ხალხები (ἄσχυροι) და ერთადერთი შესანიშნავი — ადამიანი, რომელიც წარმოიშვა ამ მხარეში არის ანაქარსისი (სკვითი და არა რომელიმე სხვა ტომისაგანი).

დიონისიოსის „აერიეგესში“ ვხვდებით ძველ ბერძნულ თქმულებებს. ასეთებია: არგონავტების მითი, რომლის შემდეგი ადგილები აქვს გამოყენებული ავტორს: აფსირტეს კუნძულებს ოდესღაც კოლხთა შეილებმა შეაფარეს თავი, როდესაც დაიღალნენ აეტესაგან გაქეულთა კვალის ძებნაში (487 — 490).

სამხრეთისაკენ ცხოვრობენ კეთილშობილი მიდიელების ტომები, რომლებიც ჩამომავლები არიან სახელოვანი აეტეს ასულის, უნაკლო გმირი ქალისა. როდესაც მან დამლუპველი წამალი შეუმზადა მდინარე ილისოსთან პანდიონიდეს (ე. ი. ეგევისი) ჩამომავალს (ე. ი. მის ძეს, თეზევსს), მას შეეშინდა და ის ქვეყანა (ე. ი. ატიკა) დასტოვა და წავიდა, დაეხეტებოდა სხვადასხვა ქვეყნებში და მიაღწია თავის მოსახელე ქვეყანას, არც თუ შორს კოლხებისაგან. კოლხთა მიწის მიღწევა კი მას არ შეეძლო, რადგან თავისი ნამის რისხვისა ეშინოდა. ამიტომაც, რომ მოავალი წამლის მცოდნე ხალხი ცხოვრობს ამ ქვეყანაში (ე. ი. მიდიაში, ტაეპები 1020—1030).

დიონისიოსი ახსენებს ანტიკაპოსის წყლებს (ტაეპი 314). ამასთან დაკავშირებით ევსტათი შენიშნავს: „მდინარე პანტიკაპოსის მიხედვით იწოდება იქაური დიდი ქალაქი პანტიკაპეონი, აეტეს შეილის მიერ დაფუძნებული... იქაური ბოსფორანების დედაქალაქი“. ევსტათის კომენტარი უზრადლებას იპყრობს ამ მხრივ. რომ ის წარმოადგენს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს და კოლხიდის ურთიერთობის ერთგვარ ანარეკლს (ბოსფორანების დედაქალაქი დაარსებულია კოლხი მეფისწულის მიერ)²⁷.

დიონისიოსი ახსენებს ერთერთ არგონავტს, ჰილასს: მდინარე კიოსის შესართავთან ოდესღაც ნიმფემ მოიტაცა ჰილასი, საოცარი ჭერაკლეს მკვირცხლი მსახური (ტაეპი 807 და უმდ.). ევსტათი ჰილასს უწოდებს „ჭერაკლეს ამხანაგს“ (Ἐρακλῆς Ἰππάρχης) და ანბავს გადმოსცემს თეოკრიტეს მიხედვით, ხოლო კიოსთან დაკავ-

²⁷ აქვე არ წვიძლება არ გაგვახსენდეს არგონავტებია თქმულებიდან ერთი ადგილი, სადაც შეილინევილები ეუბნებიან აეტეს, იახონი დაგეჟმავოება წენ შენი მტრების, სავრომატების წინააღმდეგ ბრძოლაშიო (აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა). აქაც ასახულია კოლხებისა და სავრომატების ურთიერთობა (ამ შემთხვევაში — მტოული).

შირებით უმატებს სტრაბონის ცნობას (XII, 4, 3): პრუსიადან უწინ კიოსი ერქვა, ის დააფუძნა კიოსმა, ჰერაკლეს ამხანაგმა, რომელიც მისი თანამგზავრი იყო და ბრუნდებოდა კოლხიდიდან. ამბობენ, რომ ჰილასსაც აქ შეემთხვა თავისი თავგადასავალი.

დიონისიოსის მიერ ტინდარიდების ხსენებასთან დაკავშირებით (688 ტაეპი და შმდ.) ევსტათი იმოწმებს ხარაქსს, რომელიც ამბობს, რომ არგონავტები ერთი ხომალდით კი არ მოვიდნენ ევქსინის პონტოში, როგორც გადმოსცემენ ხოლმე ჩვეულებრივ არგოს შესახებ, არამედ მრავალი ხომალდით. ერთერთ ასეთ ხომალდზე იყვნენ ტინდარიდების ანუ დიოსკურების მეეტლეები (ἡΰιοχοι), რომელთაგანაც მიიღეს სახელწოდება ტომებმა: ჰენიოხებმა და ტინდარიდებმა და თვით ქვეყანამ — დიოსკურიაამ... სქოლიასტი კი წერს, რომ არგონავტები მრავალი ხომალდით გამოვიდნენ ზღვაში და ერთ-ერთი ხეტიალისას მიგდებულ იყვნენ მეოტისთან. ამ ხომალდზე ცურავდნენ მეეტლეები, რომლებიც იქ დარჩნენ და ხელთ იგდეს ძალა-უფლება. მათგან მიიღეს იქ მცხოვრებლებმა სახელად ჰენიოხები და მათგანვე ეწოდა იქ მდებარე ქალაქს დიოსკურიადა (ამის შეს. კიდეე ქვემოთ). კოლხებთან დაკავშირებით ევსტათი იხსენებს სვანებს (ფორმით Φοίνες, ὕ და Θ-ს აღრევაა უთუოდ. აღრევა შეიძლება იყოს პალეოგრაფიული: ὕ და Θ; ან კიდეე იმის შედეგი, რომ Θ ზიზანტიურ ხანაში არსებითად იკითხებოდა როგორც ინგლისური th. რაც თავისი გამოთქმით ახლოს არის „ს“-სთან) და მათ მიერ ოქროს მოპოვების წესს — ისინი ცხერისტყავებით კრეფენ მდინარიდან ოქროს, აქედან წარმოიშვა მითი ოქროსმატყლოვან საწმისზე, რის გულისთვისაც შედგა არგონავტების ლაშქრობა. ხარაქსი კი ამბობს, რომ ოქროს საწმისი არის მეთოდი [ოქროს მოპოვებისა] ოქროთი დაწერილი ტყავებზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიონისიოსი პრომეთევის მითს თვითონ არსად ახსენებს. სამაგიეროდ მას გაკვრით, მაგრამ მაინც ორჯერ იმოწმებს ევსტათი; მე-20 და შემდეგ ტაეპში დიონისიოსი ლაპარაკობს ყელზე, რომელიც გადაკიმულია კასპიისა და ევქსინის ზღვის შუაში. ევსტათი შენიშნავს, რომ ამ ყელზე სხვა მრავალ ადგილთან ერთად იმყოფება პრომეთევის საყოველთაოდ ცნობილი კავკასიონი... 663-ე ტაეპში ხსენებულ კავკასიონის მოებთან დაკავშირებით (სადაც სათავე აქვს ტანაისს) ევსტათი მსჯელობს ამ მთის შესახებ და (როგორც ზემოთაც ვთქვით) იგი ტავროსის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილად მიაჩნია და დასძენს: ხოლო ია კავკასიონი, რომელსაც უკავშირებენ პრომეთევის მიჯაჭვას, ძველების თქმით არ არსებობს პერიევესების პინაკებზე (ე. ი. რუ-

კებზე), ხოლო გეოგრაფოსი კი (ე. ი. სტრაბონი) ამბობს, რომ ის ვრცელდება ტიბარენებამდე. 695 და შმდ. ტაეებთან დაკავშირებით ევსტათი იმოწმებს სტრაბონს, რომ კავკასიონი ზღუდესავით არის გავლებული ყელზე და საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანებსა და იბერებს, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატებს. ეს მესამე ცნობა ევსტათისა მეორე ცნობასთან ერთგვარ წინააღმდეგობაშია.

ევსტათის კომენტარი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მას პრომეთესის მიჯაჭვა ჩვენს კავკასიონზე მთლიანად მითად მიაჩნია და მისივე აზრით ჩვენი კავკასიონი, მისი რეალური ადგილმდებარეობა, ძველს რუკებზე თითქოს არსად ყოფილა აღნიშნული.

ევსტათი თავისი კომენტარების შედგენისას ყველგან იყენებს ძველ ავტორებს (ჰესიოდე, ჰეროდოტე, სტრაბონი, დიოდორე, ლიკოფრონი და სხვ.) და რის საფუძველზე აცხადებს ასეთ რამეს, ჩემთვის გარკვეული არ არის.

დიონისიოსის „პერიეგესში“ ვხვდებით დიონისეს ხსენებასაც (ტაეი 700 და შმდ.): კამარიტების ტომმა ოდესღაც ბაკხუსი სტუმართმოყვარულად მიიღო ინდოელებთან ბრძოლის შემდეგ და ლენებთან (ე. ი. ბაკქელ ქალებთან) ერთად წმინდა ფერხული გაუმართა; მათ სარტყელები გაიკეთეს, შელის ტყავეები გადაიფარეს მკერდებზე და „ვეოჲ ბაკხუსს“ გაიძახოდნენ. ბაკხუსმა გულით შეიყვარა იმ ადამიანთა მოდგმა და ამ მიწაწყლის ჩვევები.

კამარიტებთან (დიონისიოსის აღწერილობით იბერების აღმოსავლეთით მცხოვრებ ხალხთან) ღმერთ დიონისეს კავშირი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ ქვეყანაში ბევრი მოდიოდა ღვინო, კარგად ხარობდა ვაზი (იხ. ამის შესახებ სხვა ავტორებთანაც), ე. ი. ღვინის ღვთაებამ მართლაც შეიყვარა ეს მოდგმა.

დიონისიოსი იგონებს ამადონებს (ტაეი 652 და შმდ.): სავრომატები ხომ წარმოიშვნენ ამადონების იმ ძლევამოსილი სიყვარულისაგან, რომლითაც ისინი ოდესღაც სავრომატ მამაკაცებს შეუერთდნენ, როდესაც დაეხეტებოდნენ შორს თავისი სამშობლო თერმოლონტიისაგან. ამათგან წარმოიშვა მამაკი შთამომავლობა, რომელიც ცხოვრობს უსაზღვრო ტყეში...

„პერიეგესში“ ვხვდებით მითს იოს შესახებ (ტაეი 140 და შმდ.), ჰერაკლეს გამირობათა ერთ ეპიზოდს (ჰერაკლე და კერბერი — ტაეი 788 და შმდ.), ნიმფე სინოპეს (ქალაქ სინოპეს ეპონიმის) თავგადასავალს (ტაეი 775 და შმდ.) და სხვა.

დიონისიოსის „აღწერილობაში“ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები ცალკეული ტომების შესახებ. გადმოვცემ მხოლოდ ზოგიერთს: ტაეი 695 და შმდ. კასპიის და ევქსინის ზღვის შორის

მდებარე ყელზე ცხოვრობს იბერთა აღმოსავლური ტომი, რომელიც ოდესღაც პირენეიდან მოვიდა აღმოსავლეთში და ჰირკანიელებთან სასტიკი ბრძოლა ჰქონდა²⁸. დიონისიოსის ცნობას იბერთა გადასახლების შესახებ კომენტატორი ეესტათი არაფერს უმატებს. ამას გარდა არის ისევე მხოლოდ სტრაბონის მასალა (XI, 3, 3), რომ იბერები ეწყობიან არმენიელთა და მიდიელთა ყაიდაზე და რომ იბერთა შორის მთიელები საგანგებოდ კარგი მებრძოლები არიან (μαχημασφοει). 74-ე ტაბთან დაკავშირებით, სადაც ლაპარაკია აზიის გალატებზე, რომლებიც ევროპიდან გადმოსულებად არიან მიჩნეული, სქოლიასტს ანალოგიისათვის მოჰყავს აზიის იბერები, როგორც ევროპიდან გადასულები აზიაში. იბერთა შესახებ მეტი ცნობები არ არის ამ ნაწილში და მის კომენტარებში. ტაეპი 688 და 702. — ტინდარიდების მიწის შემდეგ პონტოს უკიდურეს უბესთან ცხოვრობენ კოლხები, ეგვიპტიდინ მოსულები. ისინი კავკასიონის მახლობლად არიან... აქვეა ფასისი, რომელიც კირკეს დაბლობზე მიიკლავება და ევქსინის წყლებში ათხევეს თავის სწრაფ ქაფს.

თვითონ დიონისიოსი კოლხების შესახებ მეტს არ წერს. სამაგიეროდ ვრცელი კომენტარი აქვს ეესტათის: იგი იმ აზრისაა, რომ დიონისიოსი ჰეროდოტეს მიხედვით (II, 104) ამბობს, კოლხები ეგვიპტიდან არიან გადმოსულებიო (აქ მთელი ნაწყვეტია ჰეროდოტედან). ეესტათი იმოწმებს სტრაბონს (XI, 2, 1), რომ კოლხები ცხოვრობენ ჰენიოხების შემდეგ კავკასიისა და მოსხური მთების ქვემოთ. კოლხები მათ ეწოდებათ კოლხოსის მიხედვით, რომელიც იყო ფასისის ძე (კოლხოსი რომ ფასისის ძეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეესტათის ცნობებში კოლხოსი—კოლხიდა უკავშირდება ფასისის მიდამო ტერიტორიას, ე. ი. ანტიკური და შემდეგი ხანებისათვის ნავარაუდევ ძირითად ტერიტორიას). მდ. ფასისთან დაკავშირებით ეესტათის ისევე სტრაბონის ცნობები მოჰყავს (100 ხიდი...), კირკეს დაბლობთან დაკავშირებით მსჯელობს ეესტათი, რომ სახელწოდება მომდინარეობს კოლხიდის მეფის, აეტესის დის, კირკეს სახელისაგან — კირკე ამ დაბლობზე აგროვებდა ხოლმე ბალახებს. ქ. კვტაჰას ეესტათი ახსენებს სხვა კონტექსტში: 76-ე ტაეპის კომენტარში იგი წერს: ეტრუსკების მეზობელმა ლიგურებმა სახელწოდება მიიღეს მდინარე ლიგუროსისაგან. უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი კოლხი ლიგიელები გამოსულები არიან ევროპელთაგან.

²⁸ ეს ლიტერატურული ცნობა იბერთა და ჰირკანიელთა შორის რეალურად არსებული ურთიერთობის გამომახილი უნდა იყოს.

ამას ცხადჰყოფს ლიკოფრონი, რომელიც მოგვეთხრობს კოლხებში ლიგიური ქალაქის კვტაძას შესახებ. ე. ი. ამ ვერსიის თანახმად კოლხები ევროპელი (და არა ეგვიპტელი) კოლონისტები არიან. ქ. ტრაპეზუნტის ხსენება ევსტათის კომენტარებში ძალიან საინტერესო კონტექსტშია: 687 ტაეპში და შმდ. დიონისიოსი ასახელებს ჰენიოხებს და ტინდარიდებს. ამასთან დაკავშირებით ევსტათი წერს: დიოსკურიდა იმყოფება ევქსინის უკიდურეს ყურენი, რაც არის უკიდურესი წერტილი კოლხური ტრაპეზუნტისაკენ ნინავლისათვის (τὸν ἑσχατὸν πόντος ἐπὶ Κολχίᾳ Ἰσθμῷ Τραπεζούντου: ვარ. — Τραπεζούντου — ἄκρον)... დიოსკურიდას ემეზობლება ტრაპეზუნტი; სინოპელთა მიერ დაფუძნებული დიდი სავაჭრო ნავსადგური, რომლის ირგვლივაც არის ტრაპეზუნტის ქვეყანა.

ევსტათის ამ კომენტარის მიხედვით უეჭველია, რომ ის ტრაპეზუნტი, რომელსაც კომენტატორი ახსენებს, არის დიოსკურიდის მახლობლად, მასზე უფრო ჩრდილოეთით. ეს ჩანს დაახლოებით იქ, სადაც არის არიანეს Περσικὴ Ἀκρότις (Περσικαὶ, 28) ანდა პტოლემეაძის Περσικὴ Ἀκρότις კერკეტიდის უბეში (V, 8). დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ევსტათის ეს კომენტარი ამ 2 ცნობასთან არის დასაკავშირებელი. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (VIII, 4, 3) წერია: „ტავერების მთიანეთში არის მთა ტრაპეზუნტი, თანამოსახელე იმ ქალაქისა, რომელიც მდებარეობს ტიბარანიასა და კოლხიდასთან“ (ეს ტრაპეზუნტი არის თანამედროვე Μανκυი-ი ან Dschatyr—Dagli-ი). აქაც, მაშ, ამ ტერიტორიაზეა ეს სახელწოდება (ამჯერად მთის სახელად).

ევქსინის პონტოს მიდამოში მცხოვრებ ტომთა შორის დიონისიოსი ასახელებს (ტაეპი 681 და შმდ.) კერკეტეებს, ტორეტებს, მამაც აქეელებს, რომლებიც ნოტოსისა და ზეფირის ქროლვამ ოდესღაც გამოსდევნა ქსანიოსიდან და იდას სიმონტიდან, ბრძოლის შემდეგ მემარ ('Αρηΐται) მეფეს რომ გამოჰყვნენ და ჩრდილოეთ კავკასიაში სავრომატების მეზობელ სინდებს, ვიდრე სხვა ტომებსაც ჩამოეთვლიდით, მინდა ყურადღება შევაჩერო იმ საინტერესო შენიშვნებზე, რომლებიც აქვთ ევსტათისა და სქოლიასტს.

სქოლიასტი შენიშნავს, რომ სინდები ცხოვრობენ ისტროსზე და იმოწმებს აპოლონიოსს (არგონავტიკა, IV, 322), ხოლო ევსტათის კომენტარის თანახმად სინდებს ზოგიერთები ზიკხებსაც (Ζιχῆται) უწოდებენ. კერკეტეების ქვეყანას ევსტათის თქმით ეწოდება Κεραετός-ი. ტორეტების სახელი ევსტათის აქვს ფორმით 'Ιπῆται: (და მსჯელობს, რომ σ-ით დაწერილი ეს სიტყვა, ე. ი. 'Ιπῆται არის ევროპელი ტომის სახელი). რაც შეეხება „მამაც აქეელებს“.

ისინი ტროადიდან არიან მოსული, თავის მეომარ (არეტიადე) მეფეს მოჰყენენ თან. „არეტიადეს“ მიმართ არსებობს სხვადასხვა კონენტარი, სქოლიასტი წერს: „არეტიადე“, ე. ი. არესის ჩამომავალი. დიონისიოსი აქ გულისხმობს აგამემნონს, რადგან ის პელოპისა და ჰიპოდამიას ჩამომავალია. ჰიპოდამია კი ოენომასის ქალი იყო. ხოლო ოენომასი — არესის ძე. ე. ი. დიონისიოსი ამბობს: მამაცი აქეელები გამოჰყენენ მეომარ აგამემნონს, არესის ძეს. იმავე სქოლიასტს სხვათა აზრებიც მოჰყავს. მაგ. ფერეკიდესი, და ამბობს, ასპლედონიელები, ქარიშხლის მიერ მიმოფანტულები იალმენოსთან ერთად ასახლებენ ამ ადგილებს. ხოლო სხვები კი ამბობენ, რომ მირმიდონელები, ტროიდან წამოსულები რომ დაეხეტებოდნენ, აქილევსთან ერთად დასახლდნენ აქ.

ევსტათის კომენტარის მიხედვით ძლიერი აქეელები მოჰყვებოდნენ მეფე არეტიადეს, ე. ი. პელოპიდ აგამემნონს, რომელსაც დიონისიოსი არეტიადეს უწოდებს, ე. ი. არესის ჩამომავალს, არესის ასულის, ჰიპოდამიას მიხედვით, რომელიც ცოლად შეირთო პელოპსმა, აგამენონის წინაპარმა.

სხვები კი ამბობენ, რომ ეს აქეელები მოჰყვებოდნენ მეფე არეტიადეს, ე. ი. მეომარ აქილევსს და მისი ხელმძღვანელობით შეკობრებოდნენ, უფრო სარწმუნოა ის, როდესაც ამბობენ, რომ ისინი მოჰყენენ იალმენოსს არესის ძეს, ასპლედონიელების მეფეს. ხოლო ისინი ორქომენელები იყვნენ. გეოგრაფოსი კი ამბობს (ე. ი. სტრაბონი, შდრ. XI, 2, 12), რომ იაზონის კოლხებში ლაშქრობის შემდეგ ფთიელთა აქეელებმა დაასახლეს აზიაში ფთია... ზოგიერთები კი ნეფე არეტიადედ მიიჩნევენ პომპეუსს (რომელსაც მოკავშირეებად ჰყავდა სკვითები, ამათთან ერთად იყვნენ ეს აქეელებიც), რომელიც კეისართან აწარმოებდა სამოქალაქო ომს...

დიონისიოსის ცნობით (686 და შმდ. ტაეპი) აქეელების მეზობელი ქვეყანა უჭირავთ და მათ გვერდით ცხოვრობენ ჭენიოხები და ნიგიები, პელაზგიდების ქვეყნის ჩამომავლები. აქვეა ტინდარიდების ქვეყანაც — რომლის შემდეგაც უკვე კოლხები არიან (პონტოს უკიდურეს უბესთან). პროზაულ პარაფრაზისში ეს დაზუსტებულია — ტინდარიდების მიწის იქით — ე. ი. დიოსკურიადის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით სქოლიასტი წერს, რომ მრავალ ხომალდთან, რომლებითაც არგონავტები წამოვიდნენ ზღვაში, ერთერთზე სცურავდნენ დიოსკურების მეეტლები (ἑταῖροι), ტელხისი და ამფიტოსი. ნათი ხომალდი ხეტიალისას მიგდებულ იქნა მეოტისთან. ესენი ღარჩნენ ამ ადგილას და ხელთ იგდეს ძალა-უფლება. მათგან მიიღეს იქ მაცხოვრებლებმა სახელად ჭენიოხები და მათგანვე ეწოდა

იქ მდებარე ქალაქს დიოსკურიადა. ეს შენიშვნა საყურადღებოა ჰენიოხების ლოკალიზაციის თვალსაზრისით. იგი მეოტისთან არის ახლოს, მაგრამ დიოსკურიადაც იქვეა!

ჰენიოხებთან კავშირში ევსტათი იხსენებს სტრაბონის ცნობას, სახელდობრ ჰენიოხია დაასახელეს ლაკონელებმა, რომელთაც მართავდნენ რეკასი და ამფისტრატოსი, ტინდარიდების ანუ დიოსკურების მეეტლეები (XI, 2, 12). ამათგან მიიღო სახელწოდება აქაურმა ტომმა — ჰენიოხებმა და ქვეყანამ — ჰენიოხიამ, ტინდარიდებმა და თვით ქვეყანამ დიოსკურიადამ, რომელიც იმყოფება ევქსინის უკიდურეს ყურეში.

დიონისიოსის ტექსტის ამ ადგილს ВДН უკეთებს ასეთ შენიშვნას: „Имеется в виду милетская колония Диоскуриада, на месте нынешнего Сухуши, названная по имени Диоскуров“... (გვ. 240). მთელი ეს შენიშვნა უაპელაციო განცხადების სახისაა. ჯერ ის არის საკითხავი, რამდენად სახელი „დიოსკურია“ ნამდვილად დიოსკურებისაგან მოდის და მერე — სუხუმი — დიოსკურია მილეტის კოლონია იყო, თუ საერთოდ რა ვითარება იყო ამ მხრივ ანტიკურ ხანაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე; ეს ყველაფერი ჯერ შესასწავლი და დასადგენია. ВДН-ს ასეთი ლაკონური და კატეგორიული შენიშვნისათვის საფუძველი არ ჰქონდა.

ევსტათის ცნობის თანახმად ძიგიები, ფრიად ველური ტომი, გადმოცემის მიხედვით პელაზგების ჩამომავალია, ამას აღნიშნავდა თვით დიონისიოსიც, მაგრამ იგი ამას ორივე ტომზე (ჰენიოხებსა და ძიგიებზე) ამბობდა. ჰენიოხების მიმართ ეს გასაგებია (ძველი საერთო ტრადიციის საფუძველზე), მაგრამ ძიგიების მიმართ ეს გასარკვევია. ევსტათისათვის ხომ ძიგიები სხვები არიან და ზიკხები კიდევ სხვები (ზიკხები — სინდები არიან).

ერთად განიხილავს დიონისიოსი ე. წ. პონტოელ ტომებს (Πόντος) (ტაეპი 762 და შმდ.): „ეხლა კი მიხედე პონტოელ ტომებს, რომლებიც შეგჯუფთულად ცხოვრობენ ევქსინის სანაპიროზე კოლხებისა და ფასისიდან დასავლეთისაკენ, ვიდრე თრაკიის სრუტემდე. სადაც ქალკიდის მიწებია. პირველები არიან ბიძერები, მათ მახლობლად არიან ბექირთა ტომები (φνίχ), მაკრონები, ფილირები და ისინი, ვისაც ხის მოსინები აქვთ. ამათ მახლობლად არიან ცხვრით მდიდარი ტიბარენები. ამათ მეზობლად უხეშსა და მკაცრ მიწაწყალზე ცხოვრობენ ხალიბები, მძიმე რკინის დამუშავების მცოდნენი. ისინი დგანან მძიმედ მელერად გრდემლებთან და არასოდეს ისვენებენ ჯაფისა და საშინელი გასაჭირისაგან. ამათ შემდეგ გადა-

კომულია ასირიის მიწები... 798 ტ.—ესენი არიან სკვითიის რჩეულა ტომები (Σαυθιηζ... φηλα).

ეგსტათი შენიშნავს, რომ ბექირები პონტოელი, სკვითური ტონია. მისივე კომენტარის მიხედვით მაკრონები აონტოელი ხალხია, რომელიც ბექირების სამხრეთით ცხოვრობს. „ებლა მათ ჩვენ სანებს (Σανυσζ) ვუწოდებთ, ხოლო უმეცართა ენაზე (ἰδη:αυ:ζα:τειου) მათ ქანები (Τζανოსζ) ჰქვიათ, ისევე. როგორც კელსენეს (Κελσηνγι) Κελζჟიჯი. ხოლო სანების ქვეყანას ქანიკეს (Τζანი:ჯი) უწოდებენ ისინი, ვინც მდაბიოდ მეტყველებს (οἱ τῆς φρασευ ἰδη:αυ:ζανου:ζε)“.

უფრო ქვემოთ ეგსტათი შენიშნავს, რომ მაკრონები იმ სირიელების მეზობლები არიან, რომლებიც თერმოდონტან და პართენიონთან ცხოვრობენ.

დიონისიოსისეულ ხსენებას მოსინიკების შესახებ ეგსტათი უნატებს ქსენოფონტისა (ანაბ. V, 4. 28) და სტრაბონის (XII, 3, 18) კარგად ცნობილ მასალას, რასაც აღარ გავიმეორებ.

ეგსტათის შენიშვნის თანახმად ტიბარენებს (Τιβαρηνας) მის დროს ეწოდებათ ტივრანები (Τιβρανοι). ისინი ხალდებისა არ იყოს, ცხოვრობენ მცირე არმენიამდე (შდრ. სტრაბონი).

ეგსტათის მოჰყავს ხალიბთა სახელწოდების 2 ვარიანტი: Χάλιαჰჰჰ და Χάλιαჰი. ესენი პონტოელი ხალხია, თერმოდონტან მცხოვრები (აქვეა ქსენოფონტის ცნობებიც მათ შესახებ).

დიონისიოსის ტექსტისა და მისი კომენტატორის შენიშვნათაგან საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამხრეთის პონტოსპირეთის ტომები სკვითურ ტომებად არიან გამოცხადებული (შდრ. ქსენოფონტის „სკვითინები“ რომლებიც ამავე ტერიტორიაზე ივარაუდებიან 8, 1 და დიოდორე XIV, 29).

სხვა ტომთაგან, რომელთაც დიონისიოსი ახსენებს ყურადღებას იპყრობენ კამარიტები²⁹ (700 ტ.—კამარიტების დიდი ტომი φηλαჰ, რომელმაც ოდესღაც ბაკუსის სტუმართმოყვარულად მიიღო), რომელთაც ავტორი უშუალოდ იბერიელთა შემდეგ ახსენებს და მერე გადადის კასპიის ზღვის აღწერილობაზე.

სქოლიასტის განმარტების თანახმად ამ ყელზე მცხოვრები კამარიტები ასე იწოდებიან მრგვალი ნაგების მიხედვით, რომელთაც კამარები ეწოდებათ და რომლებითაც ისინი მეკობრეობდნენ. ეგსტათის დიონისიოსის ცნობებს გარდა კიდევ სტრაბონის აღწერილობა მოჰყავს (XI, 2, 12), რაც, როგორც ვიცით ეხება ჰენიოსებს, იციენსა და აქეელებს. ვის გულისხმობს დიონისიოსი ამ სახელით.

²⁹ ვარიანტებში: მაკარიტები, მაკარიტატები.

ჩვენ არ ვიცით, ერთი უდავოა, რომ ისინი მას იბერიის აღმოსავლეთის მეზობლად მიაჩნია და მათი ქვეყანა—დიონისეს მიერ ყურადღებაშიქცეულად (ე. ი. ლვინის ქვეყნად). სხვა აღწერილობა მას არ მოჰყავს. კომენტატორებმა კი სიტყვის მსგავსების მიხედვით ესენი გააიგივეს სტრაბონისეულ მეკობრეებთან (XI, 2, 12), რომელთაც კამარიტები არა ჰქვიათ (ესენი ძიგები, აქეელები და ჰენიოხები არიან), მაგრამ რომელთაც აქვთ ნავები—*αγαυα*. საერთოდ ასეთი ტომის ხსენება (*Καυαριται*) ბერძნულ ენაზე მწერალ სხვა ავტორებთან არ გვაქვს. იგი მარტო დიონისიოსის მოჰყავს.

ლათინურად მწერალ ისტორიკოსთა შორის კამარიტებს ახსენებს ამიანე ნარცელინუსი (22, 8, 23), რომელიც წერს: „ხსენებული ადგილების გავლის შემდგომ (იგულისხმება, ბიზარების, საპირებისა, ტიბარების, მოსანიკებისა და სხვათა საცხოვრისი—*თ. ყ.*) არის ავლონის გამოქვაბული და მდინარე კალიხოროსი, რომელსაც იმიტომ ჰქვია [ეს სახელი], რომ ლიბერი [ბახუსი] სამ წელიწადს ინდოეთის ერების დაძლევის ნერე იმ მხარეში დაბრუნდა და ამ აწვევანებულსა და ჩრდილოვან ნაპირებზე ძველებური ლხინები და ფერხულები განაახლა. ზოგი ფიქრობს, რომ ამისთანა წმინდა საწესო ჩვეულებას „ტრიეტერიკა“ ეწოდება... 24. შემდეგ ამათ ესაზღვრება კამარიტების ხალხმრავალი (*celebres*) თემები (*pagi*) და ფაზისი ხმაურიანი დენით ჩამოუდის კოლხებს, ეგვიპტელთა ძველ მოდენას“³⁰. კამარიტების ადგილსამყოფელი აქ გარკვეული ჩანს, იგი არის ფაზისის მიდამოში—კოლხთა და ტიბარენ-მოსინიკ-მაკრონთა შორის, განსხვავებით დიონისიოსისგან, რომელიც კამარიტებს იბერთა აღმოსავლეთით ათავსებს.

კასპიის ზღვის მიდამოში მცხოვრებ ტომთა შორის დიონისიოსი ასახელებს ალბანებსაც (ტაეპი 731): „მე მოგიტბრობ ყოველივეს, თუ რა ტომები (*φύλαξ*) ცხოვრობენ [კასპიის ზღვის] ირგვლივ. დავიწყებ მის ჩრდილო-დასავლეთ გვერდიდან. პირველები არიან სკვითები, რომლებიც ცხოვრობენ სანაპიროზე კრონოსის ზღვის მახლობლად კასპიის ზღვის შესართავის აყოლებით. მათ მეზობლად არიან თუნები (?), შემდეგ კასპიები, მათ მერე მეომარი ალბანელები (*Ἀλβανοί*; *ἀρῆται*), ხოლო მთავორიანი ქვეყნის იქით ცხოვრობენ კადუსიები“.

ვესტათის კომენტარში არის დამატებითი ცნობები სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ (XI, 4, 1): უნებისა (*resp.* თუნებისა) და კასპიების ახლოს—უფრო ზუსტად—იბერებსა და კასპიის ზღვას შორის ცხოვ-

³⁰ ვსარგებლობ ალ. გამყრელიძის თარგმანით.

რობს ალბანთა ტომი, რომელიც არის მწყემსი და ზომიერად მეონარი ბუნების (დიონისიოსი მათ გარკვეულად მეომარს უწოდებს და არა „ზომიერად მეომარს“). ამბობენ, რომ ალბანები კიკლოპურ ცხოვრებას ეწევიან, ე. ი. ბედნიერსა და უშრომელს, რაკილა მიწა ბევრ ადგილას, თუ კი ის ერთხელ არის დათესილი, ორჯერ ან სამჯერ იღებს ნაყოფს დაუთესავად. ისინი უბრალოები არიან, კანონები არ იციან და თვლაც არ იციან ასზე ზემოთ. გეოგრაფოსის მიხედვით ენა მათ 26 აქვთ და ა. შ.

ბერძნულ წყაროებში ალანთა (Ἀλανοί) ხსენება თითქოს ახ. წ. ა. 1—11 საუკუნემდე არ ჩანს. ისე რომ დიონისიოსი ერთი უძველეს ავტორთაგანია, რომელიც მათ ასახელებს. დიონისიოსი წერს (ტაეპი 302 და შმდ.) ისტროსის შესართავიდან „ჩრდილოეთისაკენ მრავალი ტომია გადაჭიმული ერთიმეორეს მიყოლებით, მეოტისის ტბის შესართავამდე [ესენი არიან]: გერმანები, სამატები, გეტები და ამასთანავე ბასტარნები, დაკების უსაზღვრო მიწა და მამაცი ალანები, ტავრები, რომლებიც სახლობენ... აქილევსის სარბიელზე და თვით ტბის შესართავამდე“.

სხვა ადგილის გამო (ტაეპი 167) სქოლიასტი წერს, პტოლემეაძოსის დამოწმებით, რომ კუნძულის (? კინეერიის ბოსფორის) ჩრდილოეთით ცხოვრობენ ალანები, ჰამაქსობიები და ხუნები.

302 — 310 ტაეპების კომენტარს წარმოადგენს ევსტათის შრომის შემდეგი ადგილი: „ისტროსის ჩრდილოეთით ცხოვრობენ შემდეგი ტომები: გერმანები, სამატები ანუ სარმატები (უცვლელი *p*-ს ამოვარდნის შედეგია [ფორმა სამატები], როგორც პირველად სწერიან), გეტები, ბასტარნები, დაკების უსაზღვრო მიწა, ალანები, ტავრები, რომლებიც არიან როსები, რომლებიც აქილევსის სარბიელზე ცხოვრობენ, მელანხლენები, ჰინემოლგები... ნევრები, პიპოპოდები, რომლებიც ზოგიერთების [აზრის] მიხედვით ხაზარები არიან, გელონები და ავათირსები“. „ალანოსი სარმატიის მთაა და ჩანს აქედან მიიღო სახელწოდება ალანთა ტომმა, რომელსაც დიონისიოსი უწოდებს მამაცსა და ცხენებით მდიდარს“.

ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ 305-ე ტაეპში მართლაც არის ხსენება „მამაცი ალანებისა“, ხოლო 308 ტაეპში არის „ცხენით მდიდარი ავაგების ტომი“. ამ უკანასკნელის მიმართ ეტყობა თავიდანვე არსებობდა სხვადასხვა აზრი, მაგ., ბერნჰარდი დადგენილ ტექსტში წერს Ἀλανων-ს, ვარიანტებშიც ბევრი სხვადასხვა ფორმაა დაცული. ევსტათის, ჩანს, ერთი და იგივე ტომი ჰგონია ორივე (Ἀλανοί—305 ტაეპისა და Ἀγασων—308 ტაეპისა). ამასთან დაკავშირებით В.И. წერს: „Агавы (ἀγασαί) в качестве эпитета,

характеризующего гиесмогтов („дивных донтелей кобылиц“) встречается у Гомера (II, XIII, 5), откуда их несомненно, и берет Дионисий, обращая эпитет в племенное наименование“ (გვ. 238).

დიონისიოსს აქვს ორი სახელწოდება: სარმატი და სავრომატი. ეს ორი სხვადასხვა ტომია მასთან, თუ ერთი და იგივე ტომის ორი სახელწოდება, ვერ ვიტყვით; ორივეს შესახებ წერია, რომ ისინი არიან ტერიტორიაზე, რომელიც მეოტისის მიდამოშია²¹.

304 ტაეში ნახსენებია „სამატები“ Σαρμαται, რაც იწვევს სქოლიასტისა და ეესტათის შენიშვნებს; სქოლიასტი წერს: „უნდა ითქვას სარმატები და არა სამატები: მეტრის გამოა, რომ [პოემაში] ამოგდებულია ρ, როგორ ამის წინ სიტყვაში Βραχμα: ρ პოეტმა ამოაგდო ერთი ρ“. ეესტათის აზრი ამის შესახებ ზემოთ მოვყვანე, დამატებით იგი ამბობს: „სარმატები სკვითური ტომიაო“. სხვაგან სავრომატების შესახებ დიონისიოსი აღნიშნავს (ტაეი 652 და 656.): „მეოტისის ტბის მახლობლად ცხოვრობენ თვითონ მეოტები და სავრომატული ტომები, მეომარი არესის სახელოვანი გვარი“ ისინი წარმოშობილი არიან სავრომატი მამაკაცებისა და ანაწონებისაგან... ეს მამაცი შთამომავლობა „ცხოვრობს უსაზღვრო ტყეში, რომლის შუაზე მიიზღაზნება ტანაისი“ (ასეთია ლოკალიზაცია სავრომატების საცხოვრისის). ეესტათის სიტყვით—სავრომატები სკვითური ტომია.

მათ ახლოს იმყოფებიან სინდები, კიმერიელები, კერკეტები, ტორეტები etc.

დიონისიოსი ხშირად ლაპარაკობს სკვითების შესახებ. ეს სკვითები სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ. ამასთანავე — ბევრი ტომი, რომელსაც ჩვენ (და თვით ავტორიც) სხვა სახელით ვიცნობთ, მისი განსაზღვრით არის სკვითური ტომი. მაგ. 163 ტაეში და 666. მეოტისის ტბის ირგვლივ სკვითები ცხოვრობენ. უანრავი

²¹ ამ სახელწოდებათა შესახებ მსჯელობს უკანასკნელ ხანებში L. Zaluska ნაწროში: Die Personennamen griechischer Städte der nördlichen Schwarzmeerküste, Praha, 1955, (გვ. 25—26, 264—265), სადაც იგი ამბობს, რომ ფორმები Σαρμαται და Σαυρομαται ერთიდაიგივეა, ისინი ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია: α || εσ (და ადარებს პარალელურ ფორმებს: Ἄλαρις და Ἄλαθρις). საფუძველი ამ მოვლენისა (ე. ი. პარალელური ფორმების არსებობისა) მისთვის მთლად ნათელი არ არის და ერთგვრთ ასინად უცხო ფონემის ბგერულად ხუსტად გადმოცემის ძიება არის მიჩნეული. ძველ ავტორებთან დაბრუნებული Σαρματαის დაკავშირებასა და გაიგვებას Σαρμαται || Σαυρομαται: სთან L. Zaluska ჯერაც გაუზრკვეველ საკითხად აცხადებს.

ხალხია. არ ჩამოვთელი ყველა ცალკეულ ტომს, რომელიც აქ შედის. კინერიას პოსტორზე კიმერიელები ცხოვრობენ—ესენი ეგსტათის კომენტარის მიხედვით სკვითები არიან. სხვა ადგილას (681 ტაეპი) კიმერიელება სინდებისა და კერკეტიების შორის იხსენიებიან²². (თვითონ ღიონასიოსი მათ სკვითებს არ უწოდებს). ამის შემდეგ არის ფართოდ გაშლილი სკვითიის ველები (664 ტაეპი და შმდ.), რომელზედაც სკვითები სახლობენ. ამათი ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კლიმატური პირობების შესახებ ზემოთ მქონდა ლაპარაკი. შემდეგი ჯგუფი სკვითებისა ცხოვრობს კასპიის ზღვის მიდამოში (728 ტაეპი). დიონისიოსი მათზე წერს: „ისინი ცხოვრობენ სანაპიროზე კრონოსის ზღვის მახლობლად, კასპიის ზღვის შესართავის აულოებით“. ВДII-ს შენიშვნის მიხედვით: „Имея в виду так называемую Азиатскую Скифию, т. е. кочевнические племена в низовьях Волги, Дионисий упоминает о Кропийском море... расширяет понятие Скифии до пределов Северного океана“ (გვ. 241).

გარდა ამ ორი დიდი ჯგუფისა (ერთი—მეოტისის მიდამოში და მეორე კასპიის ზღვასთან) სკვითები ეწოდებათ პონტოსპირეთის ტომებსაც (რომლებშიაც შედიან: ბიძერები, ბეჭირები, მაკრონები, ფილირები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები, პაფლაგონები, მარიანდინები, ბითინები). ამის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ „სკვითები“ ჩვენი ავტორისათვის კრებითი ცნებაა და არა კონკრეტული ტომის ან ტომების სახელი.

სხვა ცალკეული ტომების შესახებ (არმენიელები, მიდიელები etc.) სიტყვას აღარ გვაგვრძელებ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ დიონისიოსს პერიეგეტისა და მისი კომენტატორების ცნობები საქართველოს შესახებ უეჭველად საინტერესოა და მათი გამოყენება სხვადასხვა ხასიათის ისტორიული შრომების დამუშავებისას ძალიან სასურველია.

ახალი და საგანგებოდ საინტერესო, რაც მის ნაშრომში მოიპოვება შენდევია: აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ტომთა ურთიერთობის აღმნიშვნელი ცნობა ევროპიდან მოსული იბერებისა და ადგილობრივი ჰირკანიელებს შორის ბრძოლის შესა-

²² ამის შესახებ ВДII კიდევაც შენიშნავს: „Карта расселения племен по Дионисию, исходящая, несомненно, к понтийским стихотворным периплам типа сочинений Скилака и Скимпа, интересна тем, что наряду с традиционным Веспором Киммерийским, киммерийцы показаны в числе северокавказских племен, что вполне согласуется с локализацией их на основании древневосточных данных“ (გვ. 237).

ხებ, კამარიტების ხსენება და მათთან დიონისეს დაკავშირება, ხალიბთა ტომის ყოფის აღწერა, პონტოელი ტომების სკვითებად გამოცხადება.

ვესტაჰის იმ კომენტართაგან, რომელიც დიონისიოსის მიმართ არის გაკეთებული, ყურადღებას იპყრობს შემდეგი: ქალაქი პანტიკაპეონი აეტეს შვილის მიერ არის დაფუძნებული: კოლხები ევროპიდან არის მოსული. კოლხური ტრაპეზუნტის ხსენება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. სინდებს ზოგი ზიკხებსაც უწოდებს. ზიკხები სხვები არიან და ძიგიები კიდევ სხვები. ძიგიენი აელაზგების ჩამომავლები არიან. ძველ მაკრონებს ვესტათის დროს „სანები“ ეწოდებოდათ, რაც ადგილობრივი გამოთქმის მიხედვით უდრის „ქანებს“.

DIONYSIUS PERIEGETES

ORBIS DESCRIPTIO

ბერძნული ტექსტი გადმოწერილია შემდეგი გამოცემიდან:

Geographi graeci minores
e codicibus recognovit... Carolus Müllerus,
vol. II, Parisiis, 1861.
გვ. 103—176.

გათვალისწინებულია 1. *Bernhardy*-ს გამოცემა და მისი
Annotatio ad Dionysium Periegeten (გვ. 518—832).

2. *Ludwich, Ar. Aristarchs homerische Textkritik,*
II, გვ. 553—597 (პარაფრაზისის ტექსტი).

ΟΙΚΟΥΜΕΝΗΣ ΠΕΡΙΗΓΗΣΙΣ

- Εὐρώπῃν δ' Ἀσίης Τάναϊς διὰ μέσσον ἑρῖζε:
 15 ὅς ῥά θ' ἐλισσόμενος γαίης διὰ Σαυροματάων
 σέρεται: εἰς Σκυθίην τε καὶ ἐς Μαίωτιδα λίμνην,
 πρὸς ῥορέην· νότιον δὲ μεσσόριον Ἑλλητῶπωντος·
 σῆμα δ' ὑπερέταται· νοτιώτερον ἐς στόμα Νείλου·
 Ἄλλοι δ' ἰπείροισι διὰ χθόνα νοσφίζουσιν.
 20 Ἰσθμὸς ἄνω τέταται· τὴν ὑπέριτατος Ἀσίδος ἀΐης,
 Κασπίης τε μεσηγὺς καὶ Εὐξείνιοι θάλασσης·
 27 πάντη δ' ἀκαμάτου φέρεται· ῥόος Ὀκεανοῖο,
 εἰς μὲν ἔων, πῶλλητ'· δ' ἔπωνσμήτησιν ἀρηγρῶς·

¹⁴ ვარ. *Εὐρώπης δ' Ἀσίην.*

¹⁵ ვარ. *νοτιώτατον μέσα.*

¹ ВДИ-ს შენიშვნის მიხედვით: „Этимн словом Д. обозначает западные границы Азии: с Северной Европой А. граничит по реке Танаису (Дону), на юге Европы ее границей (у берегов Малой Азии) является Гелеспонт (Дарданельский пролив), и, наконец, с Либней (Африкой) Азия граничит по реке Нилу“.

ევსტათის კომენტარის მიხედვით (მე-19 ტაქსისათვის და შემდეგ) დიონისიოსს სამ მატერიკს, ლიბიას, ევროპასა და აზიას ერთმანეთისაგან გამოყოფს წყლებით, როგორც ყველაზე უფრო ცხადი და გარკვეული საზღვრებით. ხოლო სხვები, რომელთაც დიონისიოსი არ ეთანხმება, მათ საზღვრავენ სხვა, უფრო პატარა ხმელეთებით. მაგ., აზიისა და ევროპის საზღვრად მათ მიაჩნიათ ყელი მდებარე კასპიისა და პონტოს ზღვებს შორის. ამ ყელზე სხვა მრავალ ადგილთან ერთად იმყოფება პრაქტიკურად საყოველთაოდ ცნობილი კავკასიონი და იბერთა აღმოსავლეთის ქვეყანა, რომელიც არის კოლხთა და ალბანიის შორის (... *περὶ οὐ ἰσθμὸν οὐκ ἰσθμῶν ἀλλ' ἰσθμῶν ἐστὶν καὶ ὁ θύσιον μὲν ἔστι τῶν Προιαυθῶν Καύκασου καὶ ἡ ἑρῶ γῆ Ἰβήρων, ἡ μετὰ τὴν Κόλχων καὶ Ἀλβανίας*). მეორე ყელი კი, არაბეთის უბეა და გვიპტეს შორის მდებარე — მიჩნეული აქვთ ლიბიისა და აზიის საზღვრად.

დიონისიოსის სქოლიოებში ვკითხულობთ: „ამ ყელს ზოგიერთები უწოდებენ კავკასიას, ხოლო სხვები თინენს* დაბლობს. მაგრამ უმჯობესია აღმოსავლეთი

* უფრადღებას იპყრობს ფორმა: *τῆς Θρηύης πέδιδα*. საკუთარ სახელთა ლექსიკონში ეს სიტყვა *Θρηύη* არ გვხვდება. თუ შეცდომა არაფერია, ის უნდა

მსოფლიოს აღწერილობა

- 15 ევროპას აზიისაგან შუაზე ჰყოფს ტანაისი, რომელიც მიიკლავ-
ნება სავრომატების ქვეყანაზე და მიემართება სკვითიისა და მეო-
ტისის ტბისაკენ, ჩრდილოეთისაკენ. ხოლო სამხრეთის საზღვარი
[ამ ორ მხარეს შორის] არის ჰელესპონტი. კიდევ უფრო სამხრე-
თის საზღვარი კი გადაჭიმულია ნილოსის შესართავისაკენ. სხვები
20 ხმელეთს ქვეყნების მიხედვით ჰყოფენ [ასეთია მაგ.] ერთი ყელი,
რომელიც აზიის მიწის კიდებზეა, კასპიისა და ევქსინის ზღვის
შუაში¹.
- 27 დაულალავი ოკეანე ყველგან მიედინება, იგი ერთი არის, მაგ-
რამ მრავალი სახელწოდება ჰქვია: მას, რომელიც ლოკრების ზეფი-

იბერია ეწოდვოთ, რომელიც არის კოლხთა და ალბანიის შორის და ჰყოფს
ევქსინსა და ჰირკანიის ზღვას. ამ ყელის შესახებ ამბობს [დიონისიოსი]. რომ ის,
ცხადია, კასპიის ზღვისა და ევქსინის ზღვის შორის იწყობება და ჰყოფს აზიას
ევროპისაგან. და ნთავრდება არაბეთთან და ეგვიპტესთან².

აქვე არის მსჯელობა *Εβξείσιον*-ს შესახებ: „ევქსინს ეწოდებოდა აქსენოსი
(=არასტუმართმოყვარე) იმიტომ, რომ დასახლებული იყო პირატებით და იქ
უცხოელთაგან არავინ მიდიოდა. ეხლა კი მას ეწოდება „ევქსენოს“ (=სტუმართ-
მოყვარე) ამის საწინააღმდეგად, ან როგორც ზოგიერთები ამბობენ. იმიტომ,
რომ ჰერაკლემ გააძევა აქედან მეკობრეები და ვილაცა სტუმართმოყვარე (ხალხი)
დაასახლა“.

ამავე მსჯელობას იმეორებს სკოლიასტი 146-ე ტაბთან დაკავშირებით. ხოლო
146-ე ტაბთან ვესტათის აქვს შენაღები შენიშვნა: „ევქსინს. რაკილა ცუდი იყო
საცურაოდ, ოდესღაც უწოდებდნენ არასტუმართმოყვარე ზღვას. ხოლო შემდეგ
მას გადაარქვეს ევქსინი ეფემიზმის მიხედვით. ხოლო არასტუმართმოყვარე მას
ეწოდებოდა... ან იმიტომ, რომ არა აქვს კუნძულები შისადგომებით, ანდა მის
ირგვლივ მცხოვრები სკვითების გამო, რომლებიც არიან უქჟური (*ἀνεπίματος*)
ბარბაროსები. რომლებიც მსხვერპლადაც კი სწირავენ [უცხოელებს] და აკამდ-
ნენ მათ ხორცს, ხოლო ადამიანთა თავისკალებს იყენებდნენ სასმისებად. სხვები
კი ამბობენ, რომ ჰერაკლემ გასწმინდა ეს ადგილები და არასტუმართმოყვარე
[ზღვა აქცია] სტუმართმოყვარედ. ზოგიც ამ დამსახურებას მიაწერს იონიელებს,
რომელთაც [ამ ზღვის] სანაპიროზე მრავალი ქალაქი დააფუძნეს“.

იყოს ან *მიდი-ძირისაგან* (რაც „ტირილსა“ და „ცრემლს“ აღნიშნავს) ან *მიდი-ძირისაგან* (=სკამი).

- ἦτο: ὁ μὲν Διοκροῖο παρ' ἔσχατιν ζεφύροιο
 30 Ἄτλας ἑσπέριος κικλήσκειται, αὐτὰρ ὑπερβην
 πρὸς βορέην, ἵνα παῖδες ἀρεμινέων Ἄρμασπῶν,
 πόντον μιν καλέουσι πεπηγότα τε Κρόνιον τε·
 ἄλλοι δ' αὖ καὶ νεκρὸν ἐφήμισαν εἶνεκ' ἀφαιρουῶ
 ἡλείου· βράδιον γὰρ ὑπεῖρ ἄλα τήνδε φαεῖνει,
 35 αἰεὶ δὲ σκιερῆσι παχύνεται ἐν νεφέλῃσιν·
 47 δεῦτερον αὖτ' ὀλίγον μὲν, ἀτὰρ προφερέστατον ἄλλων,
 ὅστ' ἀποκιδνάμενος Κρονίης ἄλλος ἐκ βορέαο
 Κασπίη αἰπὺν ῥέεθρον ἐπιπροΐησι· θαλάσση,
 50 ἦντε καὶ Ἰρκανίην ἕτεροι διεφημίζαντο.
 Ἰῶν δ' ἄλλων, οἷτ' εἰσὶν ἀπαι νοτίης ἄλλος ἄμφω,
 εἷς μὲν ἀνώτερός ἐστι, τὸ Περσικὸν οἴδημα προχέων,
 ἀντίᾳ Κασπίης τετραμμένος ἀμφιτρίτης·
 ἄλλος δ' Ἀράβιος κυμαίνεται ἐνδοθι· κόλπος,
 55 Εὐξείνου πόντου νοτιώτερον ὀκλὸν ἔλισσων.
 140 Ἰῆ δ' ἐπὶ Θρηάκιου στόμα Βοσπόρου, ἕν πάρος Ἰῶ
 Ἡρηξ ἐννεσίησιν ἐνήξατο, πόρτις ἐοῦσα.
 Στεινότητος δὴ κείνος ἀπάντων ἔπλετο πορθιμὸς
 τῶν ἄλλων, οἷτ' εἰσὶ πολυκλύστοιο θαλάσσης,
 Κυανέας ὄθι μύθος ἀναιδέας εἰν ἄλλ' πέτρας
 145 πλαζομένας καναχηθὸν ἐπ' ἀλλήλησι φέρεσθαι.
 Ἴκ δὲ τοῦ οἰγόμενος παραπέπταται ἀνδράσι Πόντος·
 πολλὸς ἐὼν καὶ πολλὸν ἐπ' ἀντολίης μυχὸν ἔρπων.
 Τοῦ δ' ἦτο: λοξαὶ μὲν ἐπιπροχάουσι κέλευθοι,
 αἰεὶ πρὸς βορέην τε καὶ ἀντολίην ὄρωσσαι·

³⁰ ვარ. πέντη.

⁴⁷ ვარ. δεუტეროს აუტ' ὀλίγον μὲν, ἀτὰρ προφερέστατος ἄλλων,

⁴⁸ αἰπὺ] αἰνόν.

⁵⁵ εὐξείνου πόντου; κόλπου, νοτιώτερος.

¹⁴⁸ ვარ. δήτοι.

1 ე. ი. ატლანტიის ოკეანე
 2 ნოდონიის ოკეანე. არსებობდა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ამ ზღვაში იყო ნეტართა კუნძულები, სადაც შეფობდა კრონოსი.
 3 სკოლიასტის შენიშვნის მიხედვით: ამ უბნს პატარა ეწოდება შედარებით იმამან, რომელიც იწყება გადგომასთან, მაგრამ სპარსეთისა და არაბეთის უბნთან შედარებით მარჯანიისა უფრო დიდია და იგი იწყება კრონოსის ოკეანის წყლებით... პტოლემეასის კი ამბობს, რომ კუნძულის მსგავსად ხმელეთით არის გარშემორტყმული [ეს ზღვა]. პტოლემეასისავე იმონებებს ევსტათი, როდესაც

რის კიდებზე არის, ეწოდება დასავლეთის ატლანტი¹, ხოლო ზე-
31 მთ, ჩრდილოეთისაკენ, სადაც არიან მეომარი არიმასპების შეი-
ლები, მას უწოდებენ ყინულოვან ზღვასაც და კრონოსის [ზღვა-
საც]. სხვები კი მასზე მკვდარ [ზღვას] ამბობენ მზის სისუსტის
გამო², რადგან [მზე] ოდნავ ანათებს ამ [ზღვას] და მას მუდამ
35 აფარია ხშირი და ჩრდილოვანი ღრუბლები.

47 მეორე [უბე] პატარაა, მაგრამ სხვებზე უფრო მნიშვნელოვანი,
ეს ისაა, რომელიც ჩრდილოეთიდან, კრონოსის ზღვიდან იწყება
და სწრაფ დინებას მიერეკება კასპიის ზღვისაკენ, რასაც სხვები
50 პირკანიის [ზღვასაც] უწოდებენ³. ხოლო რაც შეეხება სხვა ზღვებს—
ისინი ორივე სამხრეთის ზღვის ნაწილები არიან—ერთი, რომე-
ლიც უფრო ზემოთ არის, სპარსეთის ზღვად იღვრება და გადაჭი-
მულია კასპიის ზღვის საპირისპიროდ, ხოლო მეორე, შიგნითა არა-
55 ბეთის უბედ ლელავს და ევქსინის პონტოზე სამხრეთით ავლებს
ხაზს.

140 ამასთანაა თრაკიული ბოსფორის სრუტე, რომელიც ჰერას გან-
კარგულებით გასცურა წინათ იომ, დეკეულად გადაქცეულმა. ეს
სრუტე ყველა სხვაზე უფრო ვიწროა, რომლებიც კი არიან ამ დიდად-
მღელვარე ზღვაში. აქ მითოსის თანახმად თავებუდი კიანეის კლდეები
მოდკაობენ ზღვაში და ეხლებიან ერთმანეთს დიდი ხმაურით. აქე-
145 დან ხალხის [თვალწინ] უეცრად იშლება ვრცელი პონტო, რომე-
ლიც აღმოსავლეთისაკენ დიდ უბეში გადადის⁴. მისი გზები ირი-
ბად არიან ზიმართული, მუდამ ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლე-
თისაკენ მიემართებიან. ხოლო შუაში, აქა და იქ, ორი კონცხია

ამბობს: პტოლემეაოსი ტბის სახედ აგვიწერს ამ ზღვას და ამბობს, რომ მას
ზეიძლება ჭევითად გარსშემოუარო ხმელეთითაო.

74-ე ტაქთან დაკავშირებით, სადაც ლაპარაკია აზიის გალატებზე, რომელ-
ბიც ევროპიდან გადმოსულად არიან მიჩნეული, სქოლიასტს ანალოგიისათვის
მოჰყავს აზიის იბერები, როგორც ევროპიდან გადასულები აზიაში.

76-ე ტაქის კომენტარში ვესტათი წერს: ეტრუსკების მეზობელმა ლიგურებმა
სახელწოდება მიიღეს მდინარე ლიგუროსისაგან. უნდა ვიცოდეთ რომ ზოგიერთი
კოლხი ლიგიელები გამოსულები არიან ევროპელთაგან. ამას ცხადყოფს ლიკო-
ფრონი, რომელიც მოგვითხრობს კოლხებში ლიგისტური ქალაქის კვტაძას
შესახებ.

⁴ 146-ე ტაქთან დაკავშირებით სქოლიასტისა და ვესტათის შენიშვნები იხ.
ზენოთ 21-ე ტაქთან. 147-ე ტაქის მიმართ ვესტათი შენიშნავს, რომ ევქსინის
პონტო, რაკილა მას არ იცნობდნენ, ყველაზე დიდ ზღვად იყო მიჩნეული (ამი-
ტონაც ეწოდება მას „პონტო“) და იქ გამგზავრება ნიშნავდა ჭეყენის კიდებზე
წასვლას. მისი არასტუმართმოყვარეობის გამო ამ ზღვაზე წასვლა დიდი უბედუ-
რობისათვის თავგანწირვას მოასწავებდა.

- 150 μέσσα· δ' ἐγὼ καὶ ἐγὼ δῶ ἀνέχουσι· κολῶναι,
 ἢ μὲν ὑπερνότη, τὴν τε κλείουσι· Κάρκιμιν,
 ἢ δὲ βροσιότερη γαίης ὑπὲρ Εὐρωπέης,
 τὴν ἅ περικτίονες Κριῶν καλέουσι· μέτωπον·
 αἴτ' ἄμφω ξυνίασιν ἐγαντία, οὐ μὲν εἶναι·
- 155 ἐγγύθεν, ἀλλ' ὅσον ὀκλάς ἐπὶ τρίτον ἤμαρ ἀνύσται.
 Ἐκ τοῦ δ' ἂν καὶ Πόντον ἴδοις διθάλασσον ἐόντα,
 τόρῳ εἰσθόμενον περιηγέος ἄμματα· τόξου·
 ἀλλ' εἴη νευρῆς σημήϊα δεξιά Πόντου,
 ἴθ' ὀρθογράφοντα, μόνη δὲ τοῖ ἐστὶ· Κάρκιμβις,
 γραμμῆς ἐκτὸς εἶσα καὶ ἐς βορέην ὀρόωσα·
 σῆμα δ' ἔχει κεράων σκαῖος πόρος, ὅστ' ἐπὶ δισσίγ
 εἰλείται στροφάλιγγα, βιοῦ κεράεσσιν ἐοικώς.
 τοῦ καὶ πρὸς βορέην Μαίωτιδος ὕδατα λίμνης
 ἐγκέχυται· Ἐγὼ μὲν τε πέρι Σκύθαι ἀμφινέμονται,
 165 ἄνδρες ἀπειρέσιοι, καλέουσι δὲ μητέρα Πόντου·
 ἐκ τῆς γὰρ Πόντου· τὸ μυρίον ἔλκεται ὕδωρ.
 ἔρθ' ὅν Κιμμερίου διὰ Βοσπόρου, ὅ ἐν πολλοῖ
 Κιμμέριοι· ναίουσιν, ὑπὸ ψυχρῷ ποδὶ Ἰαύρου,
 Τοίη μὲν μορφή κυναυγέος ἀμφιτρίτης·
- 170 νῦν δὲ τοι· ἠπείρου μυθήτομαι εἶδος ἀπάσης
 ἔφρα καὶ οὐκ ἐσιδῶν περ ἔχοις εὐφραστον ὀπωπίν·
- 298 Ῥήνῳ δ' ἐξείης ἐπιτέλλεται ἱερὸς Ἰστρός,
 Ἰστρός, ἐς ἀντολίην τετραμμένος ἄχρι θαλάσσης

150 γα. δοιαί, δύο.

151 γα. ὑπαινοτή; ὑπαι νοτή; ὑπονοτή. δὲ καλέουσι· καὶ καλέουσι· περ καλέουσι; περ κλείουσι; δὴ καλέουσι.

156 γα. συνίασιν.

158 γα. εὐθῦ.

161 γα. εἰς.

161 γα. σχῆμα.

162 γα. ὕδατα] οἶδατα.

161 γα. ἀγκέχυται.

166 ἔλκεται] ἔρχεται.

167 ἐν] παρὰ.

171 γα. ἔχης.

298 Ἰστρός] αὐτὸς; ἄχρι] ἄχρη

- 150 აღმართული, ერთი, სამხრეთისა, რომელსაც უწოდებენ კარამ-
ბისს, ხოლო [მეორე] ჩრდილოეთისა, რომელიც ევროპის მიწის
ზემოთ არის, და რომელსაც ირგვლივ მცხოვრებნი კრიუ პეტო-
პონს¹ უწოდებენ. ესენი ორივენი ერთმანეთისაკენ მიემართებიან,
მაგრამ ძალიან ახლოც არ არიან [ერთმანეთთან], არამედ [იმ ზან-
155 ძილზე], რასაც საბარგო ხომალდი სამ დღეში გადის. აქედან
დინახავ, რომ პონტო თითქოს ორი ზღვისაგან შედგება. და
[თავისი სანაპიროს] შემონახავით ემსგავსება მოღუნული მშვილ-
დის მარჯუეს, რადგან პონტოს მარჯვენა ნაპირი [მშვილდის]
ლარივით არის და პირდაპირ ხაზს ავლებს, მხოლოდ კარამბისია,
160 რომელიც ამ ბაზიდან გამოდის და ჩრდილოეთისკენ იყურება².
ჩქების შესახედაობა აქვს მარცხენა ნაპირს, რომელიც ორგზის
იკლავება და მსგავსია მშვილდის ჩქებისა. [პონტოს] ჩრდილოე-
თისკენ მეოტისის ტბის წყლები დგას, მის ირგვლივ სვეითები
სახლობენ, აურაცხელი ხალხი, [მეოტისის ტბას] კი პონტოს დედან
165 უწოდებენ, რადგან აქედან გამოდის პონტოს უამრავი წყალი პირ-
დაპირ კიმერიის ბოსფორზე³. აქ ცხოვრობენ ბევრი კიმერიელები,
ტავროსის ცივი მთის ძირის ქვემოთ⁴.

ასეთია შესახედაობა მუქი ლურჯი ზღვისა. ახლა მთელი ხმე-
ლეთის შესახედაობის შესახებ მოგითხრობ, რათა უნახავადაც გკონ-
170 დეს [მის შესახებ] ნათელი წარმოდგენა.

298 რენოსის⁶ მიდევნებით იწყება წმინდა ისტროსი, ისტროსი,
რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიემართება ვიდრე ექსინის ზღვა-

¹ *Κριον αἰεταον* ნიზნავს „ვერძის შებლს“.

² ВДИ-ს შენიშვნის თანახმად: „Сравнение Черного моря с изогнутым скифским луком отмечается впервые у Гекатея, fr. 163. См. об этом почти в тех же словах, что и у Дионисия, Strabo, II, 5, 22*, (стр. 234).“

³ ВДИ-ს შენიშვნის თანახმად: „Ложное представление о том, что Черное море питается за счет Меотиды, разделяет также Полибий (IV, 39, 2 и прим.)“ (стр. 238).

⁴ ВДИ: „Дионисий переносит название малоазиатского горного хребта Тавра на Крымские горы (современная Ялта) и населяет подножие их киммерийцами (о которых см. Her. I, 103 и прим.) и то, и другое, несомненно, лишь на основании топоимических данных“ (стр. 238).

163 ტაქთან დაკავშირებით სკოლიასტი და ვესტათი სწერენ, რომ პეტრები სვეითური ტომები არიან. ხალხმრავალი და მანატი, მიწათმოქმედი და ნეონარი.

167 ტაქის კიმერიელთა შესახებ წერს ავტორი, რომ ისინი სკვითები არიან. სკოლიასტი პტოლემეაძლის დაპოვნებით ამბობს, რომ კუნძულის ე. ი. კიმერიის ბოსფორის — 7) ჩრდილოეთით ცხოვრობენ ალანები, პანასკობები და ზღნები.

⁵ რაინის ე. ი.

- 300 Ἐὐξείνου, τὸθι: πᾶσαν ἐρέυγεται ὕδατος ἄχνην,
 πενταπύροις προχοῇσιν ἐλισσόμενος περὶ Πεύκην.
 Τοῦ μὲν πρὸς βορέην τεταυσμένα φύλα κέχυνται:
 πολλὰ μάλ' ἐξείης Μαίωτιδος ἐς στόμα λίμνης,
 Γερμανοὶ Σαμάται: τε Γέται θ' ἄμα Βαστάρναι: τε,
- 305 Δακῶν τ' ἄσπετος αἶα καὶ ἀλκίεντες Ἄλανοί.
 Τάρροι: δ' οἱ ναίουσιν Ἀχιλλῆος δρόμον αἰπύν,
 στεῖνον ἕμῳ δολιχόν τε, καὶ αὐτῆς ἐς στόμα λίμνης.
- 305 Τῶν δ' ὑπερ ἕκτεται: πολυῖππων φύλον Ἀγασῶν
 ἔνθα Μελάγχλαινοί: τε καὶ ἀνέρες Ἴππημολγοί,
 310 Νευροί: θ' Ἴππόποδες τε Γελωνοί: τ' ἡδ' Ἀγάθυρσοι:
 ἡγ: Βορυσθένης ποταμοῦ τεταυσμένον ὕδωρ
 μίσγεται: Ἐὐξείνω, Κριῶν προπάροιθε μετώπου,
 ἔρθεν ἐπὶ γρομμῆ κατεναντία Κυαναέων.
 Κεῖθι: καὶ Ἀλθῆσοιο καὶ ὕδατα Παντινάπασο
- 315 Ἰ:παίρις ἐν ὕρεσσι: διάνδο:χα μορμύρουσι.

³⁰² κέχυνται] νέμονται.

³⁰¹ ვბ. Σαμάται. Γαίται.

³⁰⁶ αἰπύν] ὄξυν.

³⁰⁵ Ἀγασῶν] Ἀγαθῶν, Ἀγανῶν, Ἀλανῶν.

³⁰⁶ Ἴππημολγοί] Ἴππμολγοί.

³¹⁰ Νευροί] Νεβροί.

³¹⁴ Ἀλθῆσοιο] Ἀλθῆσοιο. Ἀθῆσοιο. Ἰλθῆσοιο.

¹ ВДИ: „т. е. Сарматы, ср: язматы (по Эфору — Савроматы) у Ps Scyl. 579“ (стр. 238).

² ВДИ-ს შენიშვნის თანახმად: „Помещая тапров на Ахилловом Беге, Дионисий совершает ту же ошибку, что составитель Страбоновской хрестоматии (из VII книги)“ (стр. 238).

